გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული" ეხმიანება

ვერსია

№13 (769) 6 - 7 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი
40 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი: „ყველაფერს ვაკონტროლებ"!

ვიცე-პრემიერის პოსტის შესახებ ჯერ არ მითქვამს ჩემი გუნდისთვის, გიორგი მარგველაშვილზე ვფიქრობ, რომელიც ჩემი მეგობარია"

„აღასანიას გადაბირების მცდელობაც აქვთ. თავად ირაკლის ვკითხე და მითხრა, არავითარი კონსულტაციები არ მაქვსო...
აღასანია საპრეზიდენტო ინსტიტუტის ეტალონს ვერ ერგება...
რეალური კანდიდატების შესახებ კოალიციაში გავერკვევით..."

„არ ვაპირებ ქუთაისში ჩასვლას! საკაშვილი ათას სიცრუეს იტყვის... თუ ის გახდება რეალური ოპონენტი, მაშინ ჩვენ შევალთ მასთან და მის გუნდთან პოლემიკაშიც, კოჰაბიტაციაშიც..."

გვ. 3-4

ნესტან კირთაძე პოლიტიკაში ბრუნდება

„გაზაფხულზე ივანიშვილი მთავრობას შეცვლის, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად კი, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც დანიშნავს"

გვ. 5

„პროცესი ბადრიმ დაიწყო და ბიძინამ გააგრძელა"

როდის მოითხოვს ოჯახი ბიზნესმენის გარდაცვალების საქმის გამოძიებას, რა იყო ბადრი პატარკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა და რისთვის უხდის მადლობას საკაშვილს ნათელა პატარკაციშვილი

გვ. 7

ანი მიროტაძე

„ივანიშვილი სხვების მოსაზრებას ისმენს, აანალიზებს და თავად იღებს გადაწყვეტილებას!"

ვინ ჩაშალა „ოცნებისა" და „ფორუმის" გაერთიანება და იქნება თუ არა კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი კახა შარტავა

გვ. 10

თემურ ჭკუასელის წიგნის მიხედვით ფილმს გადაიღებენ

„ეს არის საგა, რომელიც თაობებს გადაეცემა და მიუხედავად ეროვნებისა, ყველასთვის ერთნაირად ახლობელია"

გვ. 11

ექსკლუზივი

სკანდალური დოკუმენტები „სითი პარკის" საქმიანობის შესახებ

გვ. 9

საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების მიღება დაიწყო

თავდაცვის სამინისტროში 18-დან 35-წლამდე საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების მიღება დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქაროსანიძემ გაავრცელა და აღნიშნა, რომ საბუთების მიღება, როგორც კრწანისის სასწავლო ცენტრში, ასევე ქუთაისის სამხედრო ბაზაზეა შესაძლებელი.

სამხედრო მოსამსახურეებთან კონტრაქტი 4 წლის ვადით ფორმდება და ისინი ამ ხნის განმავლობაში, ყოველთვიურად ანაზღაურებას 700 ლარის ოდენობით მიიღებენ. ახლო მომავალში კი, ხელფასების 20 პროცენტით ზრდაც იგეგმება.

გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს სამინისტრო ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს სთავაზობს.

ცნობილი გახდა ისიც, რომ სამხედრო საკონტრაქტო გაწვევასთან დაკავშირებით, საინფორმაციო პიარკამპანიას საქართველოს მასშტაბით სამხედრო პირები და ქართველი კალათბურთელები აწარმოებენ. ისინი სამხედრო სამსახურით დაინტერესებულ მოქალაქეებს მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რა საბუთებია საჭირო და რა პირობებს სთავაზობს სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეებს.

„ყველა ის ცვლილება, რაც იგეგმება და ხორციელდება თავდაცვის სამინისტროში, მიმართულია იმისკენ, რომ გაუმჯობესდეს სამხედრო ბაზაზე არსებული პირობები და თითოეულმა სამხედრომ იგრძნოს, რომ მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებაა, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან“, – განაცხადა თამარ ქაროსანიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

ზაზა გაბუნია: „ქდმ-ს დატოვება არჩევნებამდე მქონდა განზრახული“

თბილისის საკრებულოს დეპუტატის, ზაზა გაბუნიას თქმით, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის დატოვება ჯერ კიდევ არჩევნებამდე ჰქონდა განზრახული, **„თუმცა ეს არ გავაკეთე, რომ არჩევნების წინ პარტიისა და მისი წევრების ინტერესები არ დამეზარალებინა“,** — განაცხადა გაბუნიამ.

საკრებულოს დეპუტატი მადლობას უხდის მის ყოფილ კოლეგებს ერთად გატარებული პერიოდისთვის: **„აღნიშნულ გადაწყვეტილებას კი ვიღებ იმისთვის, რომ გიგი უგულავასა და მისი მმართველობის დროს დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომების წინააღმდეგ ჩემს მიერ დაწყებული პრინციპული პოლიტიკური ბრძოლა მივიყვანო ბოლომდე“.**

გაბუნია საკრებულოში ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე იყო. აღნიშნული ფრაქცია უკვე დატოვა ჯაბა სამუშიამაც. როგორც სამუშიამ განაცხადა, იგი თვენახევარია, საკრებულოში უპარტიო დეპუტატია. ამავე ფრაქციაში იმყოფებოდა ასევე კიდევ ერთი დეპუტატი კახა ბროკიშვილი, რომელმაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საკრებულოში ინგა გრიგოლია ჩაანაცვლა.

„ინტერპრესნიუსი“

„უმრავლესობა სააკაშვილის უფლებამოსილების ათი თვით გახანგრძლივებას მხარს უჭერს“

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად არ მიიღო

ირმა ინაშვილი

რუსულიდან შელია
პოლიტიკა

ირმა ინაშვილის, დავით თარხან-მოურავისა და სოსო მანჯავიძის სარჩელი, პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების სამართლებრივად შეწყვეტის შესახებ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად არ მიიღო.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა საკონსტიტუციო სასამართლოს, 2006 წლის 26 დეკემბერს მიღებული კანონის ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართეს, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადა 10 თვით გაიხანგრძლივა. საკონსტიტუციო სასამართლომ 6 იანვარს გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში განმარტა, რომ მას კონსტიტუციური ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილება არ გააჩნია: **„საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანო არის უფლებამოსილი, კონსტიტუციური კანონის მიღების გზით, კონსტიტუციის ტექსტში შეიტანოს შესწორებები, ცვლილებები და დამატებები. ამდენად, არასწორი იქნება, თუ სასამართლო „უცვლელ“ კონსტიტუციურ ნორმებს თავად შექმნის. იგი ვერ იქნება იმის შემფასებელი და განმსაზღვრელი, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის კონსტიტუცია. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღო“.**

საქმეში მოპასუხე მხარე საქართველოს პარლამენტი იყო. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელმა, 30 იანვარს, ბათუმში ჩატარებულ პროცესზე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სარჩელი კონსტიტუციურ ნორმას არ შეესაბამება და მისი გადაწყვეტის კომპეტენცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია. პარლამენტის წარმომადგენელმა, ზურაბ დეკანოსიძემ პროცესზე ერთ-ერთი არგუმენტიც მოიყვანა — 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ამომრჩეველი უკვე ინფორმირებული იყო, რომ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში დაინიშნებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას სამართლიანობის პრინციპის უგულებელყოფად მიიჩნევს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე. პარლამენტის პოზიციას კი, „ვერსიასთან“ საუბრისას, მანჯავიძემ „სამარცხვინო“ უწოდა:

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ქვეყანაში არ არსებობს. თუ სასამართლო სარჩელებს არ განიხილავს, უმრავლესობა საკუთარ თავს ხომ არ დასჯის? პარლამენტმა სამართლიანობის პრინციპი პოლიტიკური ინტერესების მიზნით უგულებელყო. სიმართლე გითხრათ, გამკვირვებია საპარლამენტო უმრავლესობის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც საჯაროდ ერთს საუბრობენ და საქმე საქმეზე რომ მიდგა, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის საკითხი გააფთრებით დაიცვეს. ნაციონალური მოძრაობის დროსაც, ფაქტობრივად, იგივე ხდებოდა. კონსტიტუცია პოლიტიკური მიზნების მსხვერპლი იყო. თუ საზოგადოება არ იაქტიურებს, იგივე პრეცედენტს მივიღებთ, რაც წინა ხელისუფლების პირობებში ხდებოდა“. „ვერსიასთან საუბრისას, სოსო მანჯავიძემ საქართველოს პარლამენტს პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, პოზიციის ღიად დაფიქსირება და აღნიშნული საკითხის კენჭისყრაზე დაყენება მოსთხოვა: **„საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა დღეს მიხეილ სააკაშვილის უფლებამოსილების ათი თვით გახანგრძლივებას უჭერს მხარს. მაინტერესებს, ეთანხმება თუ არა უმრავლესობა პარლამენტის წარმომადგენელს, რომელიც პროცესზე გააფთრებით იცავდა მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილებას. ამასთან, საკუთარი პოზიცია ხმამაღლა, საჯაროდ უნდა დააფიქსირონ და ისიც გაითვალისწინონ, რომ ხალხს კოალიცია „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის გასაგრძელებლად არ აურჩევია“.**

„ვერსიამ“ ისიც გაარკვია, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ არ მიიღებს მონაწილეობას იმ აქციასა თუ პიკეტში, რომელსაც სხვადასხვა ძალები პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დღეს გეგმავენ.

მარიკა ვერულაშვილმა უმცირესობა დატოვა

მარიკა ვერულაშვილის მიერ საპარლამენტო უმცირესობის დატოვება ოფიციალურად დადასტურდა. შესაბამისი განცხადებით, მან პარლამენტის ბიუროს მიმართა. ვერულაშვილის განცხადებაში ნათქვამია, რომ ფრაქცია „რეგიონებს“ ტოვებს: **„გავდივარ „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონების“ რიგებიდან“.** მიმართვა 4 თებერვლით თარიღდება.

ვერულაშვილი მიმართვაში ფრაქციიდან გასვლის მიზეზს არ ასახელებს და არც იმას აფიქსირებს, რომელ ფრაქციაში აპირებს გადასვლას.

საპარლამენტო უმცირესობის რიგები 21 ოქტომბრიდან ანუ საშემოდგომო სესიის გახსნიდან დღემდე, 9 დეპუტატმა დატოვა.

„ინტერპრესნიუსი“

მთავარი პროკურატურა გიორგი თარგამაძის დაკითხვას აპირებს

მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განმარტებით, პროკურატურაში 26 მაისის, 7 ნოემბრისა და ასევე აჭარაში 8 ნოემბერს მომხდარ ამბებთან და მოვლენებთან დაკავშირებით ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს.

„ნოემბრისა და 26 მაისის თემა, ისეთი საკითხია, რომელიც ბევრი ადამიანის ჩართულობას გულისხმობს. გამოძიების კუთხით, შეიძლება ითქვას, 26 მაისის მოვლენების გამოძიება უფრო დაწინაურებულია, იქ უფრო მეტი საგამოძიებო მოქმედებაა ჩატარებული, თუმცა ნოემბრის ამბების გამოძიებაც გრძელდება, ლოგიკურია და რასაკვირველია, დაიკითხება გიორგი თარგამაძეც, რადგან ის აცხადებს, რომ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს“, — განაცხადა კბილაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში მონაწილე ყველა თანამდებობის პირი დასახელდება

მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში, ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმე სრული მოცულობით გახსნილად გამოცხადდება და მასში მონაწილე ყველა თანამდებობის პირი დასახელდება.

19 წლის ბუტა რობაქიძე 2004 წლის 23 ნოემბერს მოკლეს.

„პირველი“

ბიძინა ივანიშვილი: „ნურაფრის გეშინიათ, ყველაფერს ვაკონტროლებ“!

ვახტანგ ხმალაძე და ირაკლი ალასანია „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატები არ იქნებიან, გიორგი მარგველაშვილი კი ვიცე-პრემიერის პოსტს დაიკავებს

ბიძინა ივანიშვილის ტრადიციულმა ბრიფინგმა, ტრადიციულად, მღელვარედ ჩაიარა. პრემიერმა ხალხსა და მასმედიას მთავრობის 100-დღიანი მოღვაწეობის შედეგები ჩააბარა. ზუსტად ნახევარსაათიან სიტყვაში ივანიშვილმა, ძირითადად, ეკონომიკური მიღწევების შესახებ ინფორმაცია ჩაატია. ისაუბრა 2013 წლის გაზრდილ ბიუჯეტზე, უახლოეს მომავალში, გაზის 10 თეთრით გაიაფებაზე, ქვეყანაში ფასების შემცირებაზე. მართალია, რიცხვები ბევრს ცოტა გადაჭარბებულად ეჩვენა, მაგრამ პრემიერის მტკიცებით, ელექტროენერგიის ფასი 21-27 %-ით შემცირდა, საწვავისა — 10%-ით. მისი თქმით, შეინიშნება ფარმაცევტული პროდუქციის ფასების 30-დან 70%-მდე შემცირების ტენდენციაც. დასაქმება და სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის დაფინანსება, ის აპოლიტიკური თემები აღმოჩნდა, რაზეც „ოცნების“ პირველ პირს ყველაზე მეტი კითხვები დაუსვეს და სხვათა შორის, ივანიშვილს მასმედიასთან დებატები ლამის კამათში გადაეზარდა: ერთნი კითხულობდნენ, რატომ ასაქმებთ საჯარო სამსახურებში მხოლოდ ნაცნობობით და ისიც მხოლოდ პარტაქტივსო, მეორენი ამავე სამსახურებიდან ძველი, ე.წ. ნაციონალების კადრების გამოყრას მოითხოვდნენ. ბოლოს კი, საქმე იქამდე მივიდა, ივანიშვილმა აღიარა, ასე ვიცით ქართველებმა პროფესიონალების სანაცნობოში მოძიება, მაგრამ ასეთებიც მიყვარხართო. პოლიტიკურ აქცენტებს შორის კი ჩამოქვეითებული ირაკლი ალასანიას თემა ლიდერობდა. მოკლედ, დანამდვილებით ის გავიგეთ, რომ ალასანია თავდაცვის მინისტრის პოსტზე რჩება, ის და ვახტანგ ხმალაძე სულაც არ მოიაზრებიან კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატებად, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი კი, სავარაუდოდ, ახალი ვიცე-პრემიერი გახდება. გთავაზობთ 3-საათიანი პრესკონფერენციის განმავლობაში გაჟღერებულ ყველაზე აქტუალურ და საინტერესო საკითხებს, რომელთა შესახებ განმარტებების მიცემა ბიძინა ივანიშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრით დაიწყო.

— დაუჭერენ თუ არა მხარს „ნაციონალები“ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ეს ქვეყნის რეალობას არ ცვლის. ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამ პროექტებს მხარი დავით ბაქრაძემ რომ არ დაუჭიროს. უბრალოდ, მათ საშუალება აქვთ, ისევ გახდნენ ქართული საზოგადოების წევრები, რაც მხოლოდ მათ და არა ქვეყნის მომავალზე მოახდენს გავლენას. შესაბამისად,

> **კარგად უნდა მოიფიქრონ — დარჩებიან დიქტატორი სააკაშვილის მხარდამჭერები თუ ბოდიშს მოიხდიან და ხალხს კუთვნილ უფლებებს დაუბრუნებენ! ჩვენ მათთან არავითარ ვაჭრობაში არ შევალთ და არცერთ ხმას არ ვთხოვთ! ევაჭრონ საკუთარ თავებს — საკუთარ ოჯახებსა და შვილებს ჩახედონ თვალებში, მერე გამოვიდნენ და ისე დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია. ვერცერთი დეპუტატი გუნდის უკან დამალვას ვერ შეძლებს, რადგან ყველა მათგანს ვაიძულებთ, საკუთარი პოზიცია ღიად გამოხატოს.**

— ხშირად მიდის საუბარი სხვა საკონსტიტუციო ცვლილებებზეც, რაც ოქტომბრამდე უნდა განხორციელდეს — საქმე ეხება პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლას. ამაზე უმრავლესობა უკვე მუშაობს?

— რაც შეეხება სხვა საკონსტიტუციო ცვლილებებს, მათ შორის პრეზიდენტის არჩევის წესს, მაქვს ჩემი პოზიცია და ის ჯერ არ დამიფიქსირებია. კოალიციიდან ცალკეული წევრები ცდილობენ, თავიანთი პოზიცია გამოთქვან, მაგრამ ჩემი აზრი ჯერ გუნდთან არ განმიხილავს და ამის თქმისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, ცალკეულმა დეპუტატებმა, მგონი, ხმალაძემ გამოთქვეს საკუთარი აზრი, მაგრამ გარწმუნებთ, როგორც ასეთი, გუნდის შიგნით განხილვა არ მომხდარა და ჩვენ არაფრის ინიცირებას არ ვაპირებთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგადად, საკონსტიტუციო ცვლილებები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, რადგან დღეს ჩვენი კონსტიტუცია საშინელ დღეშია.

— ამასობაში, ორიოდე დღეში, პრეზიდენტი პარლამენტში, ამ სტატუსით, უკანასკნელად მიდის. როგორც წესი, მის ანგარიშს ესწრება ხოლმე საქართველოს მთავრობა და პრემიერ-მინისტრი. აპირებთ, ჩახვიდეთ ქუთაისში?

> **— რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ქუთაისში ჩასვლას! სააკაშვილი ათას სიცრუეს იტყვის და ალბათ, დრო დასჭირდება მასთან ოპონირების რეჟიმში გადასვლას, ამას საერთოდ თუ მოახერხებს. თუ გახდება რეალური ოპონენტი, მაშინ ჩვენ შევალთ მასთან და მის გუნდთან პოლემიკაშიც, კოჰაბიტაციაშიც და ა.შ. თუმცა ახლა ქუთაისში ჩასვლას არ ვაპირებ, პარლამენტი კი, ალბათ, დახვდება და თუ როგორ, ამას თვითონ გადაწყვეტს.**

— როცა ძლიერ საპარლამენტო რესპუბლიკაზეა საუბარი, საითაც თქვენი გუნდი იხრება, ეს ძლიერ საპარლამენტო ოპოზიციასაც გულისხმობს. იმის ფონზე, რაც ახლა თქვენს ერთადერთ საპარლამენტო ოპონენტზე, ნაციონალურ მოძრაობაზე განაცხადეთ, ვის მოიაზრებთ ძლიერ ოპოზიციურ ძალად და შეიძლება თუ არა, ეს ძალა გახდეს ირაკლი ალასანია?

— ძალიან კარგი იქნება, თუ „ნაციონალები“ მოახერხებენ კონსტრუქციულ ოპონირებას, მაგრამ ამის იმედი არ მაქვს, თუმცა ოპოზიცია, ასე თუ ისე, დაფიქსირებულია და ჩვენ ამას პატივი უნდა ვცეთ — როგორებიც არიან, ისეთები არიან! რაც შეეხება ალასანიას, მე მას შევხვდი და მისი მხრიდან მსგავსი პროცესები არ იგეგმება, თუმცა ნებისმიერ პარტიას, ნებისმიერ დროს შეუძლია, გამოვიდეს კოალიციიდან და დაიკავოს ნებისმიერი ნიშა!

— საერთოდ, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ მომავალს როგორ ხედავთ?

> **— რაც შეეხება „ნაციონალების“ მომავალს, ვფიქრობ, არათუ უახლოეს დროში, არამედ ათწლეულების მანძილზე, ეს სახელიც კი მოსახლეობაში ალერგიას გამოიწვევს! თუ მათ უნდათ, საქართველოში პოლიტიკოსები იყვნენ, ალბათ, ფორმა მაინც უნდა შეცვალონ. მე არ ვფიქრობ, მათ პერსპექტივა აქვთ, მით უმეტეს, როცა ვხედავთ, რომ სიცრუიდანაც ვერ ამოდიან.**

— ისე, ბოლო დროს, ქართულ მედიაში ჩვენი მინისტრების უცხოური ვოიაჟების შესახებ ინფორმაცია აქტიურად ვრცელდება. აქცენტიც უფრო დუბაისკენ აქვთ აღებული — სწორედ ირაკლი ალასანიაზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ იგი ჩავიდა დუბაიში, მერე გაფრინდა საფრანგეთში, მერე — დიდ ბრიტანეთში, გიგი უგულავას მეუღლესა და მის დაქალთან ერთად...

— მთავრობის სხდომაზე ამ თემაზე მქონდა საუბარი და რაც ვიცი, ყველაფერს აგიხსნით. ირაკლისთან კიდევ მქონდა სხვა შეკითხვებიც, მაგრამ ამ თემის აჟიტირება არ მინდა. შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს, ჯერ ახალგაზრდაა ირაკლი. მე, საერთოდ, პირადი ცხოვრების განხილვაში არ შევდივარ, თუმცა ოჯახთან ჩემი დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ საქართველოში ისეც ხდება, რომ ზოგიერთი ჩემი ახლობელიც ღალატობს მეუღლეს. ახლა ირაკლი არ მყავს მხედველობაში. ასეთ ჭორებზე არ მაქვს რეაქცია. ვიცი, მას ჰქონდა წარმატებული ვიზიტი ლონდონში და ამის მერე ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. რაც შეეხება მის მოგზაურობას, მას მოვთხოვ, განმარტოს, სად და ვისთან ერთად იყო, კითხვები რომ აღარ გაჩნდეს. დუბაიში მართლაც მოხდა პატარა გაუგებრობა, ეს დავივიწყოთ...

— ალასანიასთან მიმართებაში ისმოდა ე.წ. ჩანერგილების თემაც.

— დავით საგანელიძის კითხვებს, რაც ირაკლის პარტიასთან დაკავშირებით ისმოდა, ირაკლიმ პასუხი ჩემთან საუბარში გასცა. მან

დასასრული მე-4 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა გერმანიაში იმყოფებიან

საქართველოს პრეზიდენტი გერმანიაში German Marshall Fund of the US-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობს. ამის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული.

ღონისძიების — „საქართველოს მომავლის კვალდაკვალ“ — ფარგლებში, მონაწილეები საქართველოს საშინაო და რეგიონული გამოწვევების საფრთხეებს, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე იმსჯელებენ.

„კონფერენციას, რომელიც ქალაქ ელმაუში იმართება, ესწრებიან სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენლები, მათ შორის, ესტონეთის პრეზიდენტი, შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, კარლ ბილდტი და რადოსლავ სიკორსკი. საერთაშორისო ექსპერტები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები“, — ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ელმაუში საქართველოს პრეზიდენტთან ერთად იმყოფებიან ქალაქის მერი და საპარლამენტო უმცირესობის წევრები. კონფერენცია უკვე მეხუთედ იმართება.

„ინტერპრესნიუსი“

ხათუნა კალმახელიძის მიმართ სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა

ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურორი ავრცელებს. არჩილ კბილაშვილის თქმით, მთავარ პროკურატურაში შემოსულია განცხადებების კოლოსალური რაოდენობა, შესაბამისად, იგი ვერ გამორიცხავს, რომ მათში კალმახელიძესთან დაკავშირებით, რაიმე პრეტენზია არ იყოს გამოხატული, თუმცა ფაქტია, ამ ადამიანის მიმართ დევნა დაწყებული არ არის.

მთავარი პროკურორი, ასევე არ ფლობს ინფორმაციას დეპუტატ გია ბარამიძის მიერ ადამიანთა წამების ფაქტებში პირადად მონაწილეობის შესახებ.

სამაგიეროდ, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის, თინა ბურჯალიანის მეუღლის, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის ნიკა ძიმცეიშვილის წინააღმდეგაა სამართლებრივი დევნა დაწყებული და იგი პასუხისგებაშია მიცემული.

კბილაშვილი გამოეხმაურა დეპუტატ მარიკა ვერულაშვილთან დაკავშირებით, ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც და აღნიშნა, რომ არც ვერულაშვილსა და არც მის ნათესავთან დაკავშირებით არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ მიმდინარეობს.

„პირველი“

„საქართველოში არც ერთი „კანონიერი ქურდი“ ციხის გარეთ არ იმყოფება“

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლება კრიმინალებთან თავს კომფორტულად ვერ გრძნობს.

„ისინი ან უნდა იყვნენ ციხეში, ან არ უნდა იყვნენ საქართველოში. ესა თუ ის ქურდი თუ იმყოფება საზღვარგარეთ, რა საფრთხე უნდა შექმნან, არ ვიცი. ესეც პოლიტიკური ოპონენტების აგორებული თემაა. ისინი მიზანმიმართულად სტრესავენ საზოგადოებას და არ სურთ, ხალხს მისცენ საშუალება, თავისუფლება გაიაზრონ. სასაცილოა, საქართველოდან გაძევებულმა ქურდებმა გარედან რამე მოაწყონ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ლუკა კურტანიძისა და ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილის დაპირისპირების ფაქტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე გამოძიება არ დაწყებულა, რადგან მომხდარზე არც ერთი მათგანი არ საუბრობს. **„შესაბამისად, ეს კერძო კონფლიქტია და შსს-ს არ აქვს დრო, ჩაერიოს ორ ინდივიდს შორის გაუგებრობაში. ამ საკითხს პროკურატურა სწავლობს“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-ს აქვს ვიდეომასალა, რომელზეც ასახულია, როგორ ყრიან ახალ „შპრიცებს“ საღარბაზოებთან

შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, შსს აღნიშნულ ვიდეომასალას სწავლობს და უწყებაში გამოძიება მიმდინარეობს. **„ერთი თვის განმავლობაში, მოხდა 1500 ამპულა ნარკოტიკის გახარჯვა შსს-ში, ჩემი წინამორბედის დროს. საინტერესოა, რა ოპერატიული საქმიანობისთვის იხარჯებოდა ის, როდესაც ოპონენტები ნარკოტიკების ფასზე საუბრობენ, შეიძლება მონოპოლიას ფლობენ და კარგად იციან ეს საკითხი. რამდენიმე ადგილზე დავაფიქსირეთ, რომ ვიღაც ადამიანები ახალ „შპრიცებს“ ყრიდნენ იმ ფონის შესაქმნელად, რაზეც ოპონენტები საუბრობენ. რეალურად ყველაფერი საპირისპირო ხდება. არ ვამბობ, რომ ოპონენტები ყრიან. ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, წინა ხელისუფლების პირობებში, ყველაფერი კონტროლდებოდა და, შესაძლოა, სწორედ ამას უკავშირდებოდეს ოპონენტების განცხადებები ნარკოტიკების ფასებთან დაკავშირებით. **„ისინი კარგად ფლობენ ფასებზე ინფორმაციას. ნარკოტიკების გაიაფებას ან მათი რაოდენობის ზრდას არ ვადასტურებ. ეს არის მოგონილი აბსურდული ბრალდებები. ჩანს, რომ გვყავს არაჯანსაღი პოლიტიკური ოპონენტები. მათ განცხადებებს ყურადღებას აღარ ვაქცევთ და მუშაობას ვაგრძელებთ“,** — აცხადებს ღარიბაშვილი.

„ინტერპრესნიუსი“

ბიძინა ივანიშვილი: „ნურაფრის გეშინიათ, ყველაფერს ვაკონტროლებ“!

მე-3 გვერდიდან

მითხრა, რომ დაიწყებს წმენდას თავის გუნდში, თუ ასეთი „ჩანერგილები“ მართლაც ჰყავს პარტიაში. მეორე საკითხი ისაა, რომ 2 წლის განმავლობაში, იგი თავდაუზოგავად იზრუნებს, რომ თავდაცვის სამინისტრო საუკეთესო უწყება გახდეს. მე ძალიან პირდაპირი კაცი ვარ, მას რაღაც შეეშალა, მგონი, სწორად მიმიხვდა და ახლა დარწმუნებული ვარ, არავითარი პრობლემები და კითხვები არ არის კოალიციიდან მის გასვლასა და შეუთანხმებელ მოქმედებებზე! აქვე, ერთი თემის გაშლა მინდა — თუკი აქამდე სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა და ადეიშვილი ცდილობდნენ, საკუთარი ბედნიერება, ვირტუალურად, დანარჩენ მოსახლეობაზეც გაევრცელებინათ, ახლა, ანალოგიურად, საკუთარ პანიკურ მდგომარეობას ავრცელებენ ხალხზე. რეალურად, მათი ხელისუფლების დროს, მართლა ეს ოთხი ადამიანი იყო ბედნიერი, იყოფდნენ მონაპოვარს და ხალხს ატყუებდნენ. იგივე ხდება ახლაც, როცა ვანო მერაბიშვილი აპოკალიფსზე საუბრობს, მაგრამ რა ქნას, პანიკაშია, პროკურატურაში უკვე ორჯერ დაუძახეს და მესამედ რომ დაუძახონ, არ უნდა.

საპატრიარქოში სააკაშვილმა თქვა, არ ვიცი, რატომ გაიქცა ზურაბ ადეიშვილი, მაგრამ ის, ძირითადად, ტრამვაით დადის ევროპაშიო. ტრამვაი ჩვენ არ გვაქვს, რადგან ხაზები აყარეს, მაგრამ ჩამოვიდეს და ტროლეიბუსის ფულს მივცემთ. ამიტომ მივმართავ საზოგადოებას — დაწყნარდით და ნაციონალური მოძრაობის სიცრუეს ნუ აყვებით!

— ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ალასანიასთვის „ლაჩრის“ წოდების მიზეზი თქვენი და საგანელიძის მიერ „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ, ე.წ. ჩანერგილების შესახებ გაკეთებული განცხადებები ხომ არ გახდა?

— ამ კატეგორიის ადამიანები, შეიძლება, იყვნენ ყველგან და ამაში ირაკლი ალასანიას ბრალეულობა არაა. ნაციონალურმა მოძრაობამ იმარჯვა და მოახერხა მის პარტიაში საკუთარი ხალხის ჩანერგვა, რადგან ამ საქმის, სეთურის სამსახურის ოსტატები არიან.

გასაგებია, რომ ალასანიას გადაბირების მცდელობაც აქვთ, ამაზე ჭორებიც დადის. მე თავად ირაკლისაც ვკითხე, რაც გავიგე და მანუხებდა, მან კი მითხრა, არავითარი კონსულტაციები არ მაქვს არავისთანო და ჩემთვის უკვე გასაგებია, რომ მსგავსი არაფერი ხდება! არის მცდელობა, როგორმე გახლიჩონ კოალიცია. რა თქმა უნდა, ალასანიასთან დაკავშირებული ინციდენტი გაუხარდათ, თუკი მას ლაჩარს საჯაროდ ეძახიან, ე.ი. ცდილობენ, როგორმე, მასთან კომუნიკაცია დაამყარონ და გუნდი გახლიჩონ, ეს მათთვის ნორმალური საქციელია.

მე ერთში გარწმუნებთ — სანამ პოლიტიკაში ვარ, ვინ საითაც უნდა გადახტეს, არაფერი მოხდება და ამით მხოლოდ საკუთარ თავს დაიზიანებს და კისერს თავად მოიტეხს.

— იგეგმება თუ არა ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში და ვინ დაიკავებს ვიცე-პრემიერის პოსტს?

— გაიხსენეთ წინა ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტი, რომლებიც საბავშვო ბაღის მოსწავლეებით მართავდნენ სახელმწიფოს. არც ვიცე-პრემიერის პოსტი იწვევს გადაადგილებებს, ალასანია კი კვლავ თავდაცვის მინისტრია და აგრძელებს მუშაობას. საერთოდ, ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს ძალიან ეფექტური მთავრობა და ხალხის მხრიდან სერიოზული კითხვები არც ჩანს. პატარა ცდომილებები შეიძლება იყოს, ეს ნორმალურია. ვფიქრობ, მთავრობა სწორადაა შერჩეული და კმაყოფილი ვარ მინისტრთა უმეტესობის მუშაობით. ზოგიერთით უფრო კმაყოფილი ვარ, მაგრამ ცუდი არცერთი მინისტრი არ არის.

— საპრეზიდენტო კანდიდატებზეც უნდა გკითხოთ — წინა ორ ბრიფინგზე ასეთად ვახტანგ ხმალაძე დაასახელეთ, ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა რამე?

— ამაზე საუბარი ცოტა ადრეა. მოვითმინოთ, ჯერ შიგნით, კოალიციაში დავიწყებთ მსჯელობას და მერე თქვენც გამცნობთ ყველაფერს, თუმცა საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ალასანიას, ყველაფრის უფლება აქვს. გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია ამის გაკეთება, ოღონდ წესი უნდა დაიცვას — თუ კოალიციაშია, კოალიციას უნდა ჰკითხოს აზრი, თუ გადის კოალიციიდან, მაშინ იმას აკეთებს, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ამის განხილვა არ დაგვიწყია, შესაბამისად, პასუხი არ გვაქვს, თუმცა

ჩემი პირადი გადმოსახედიდან, ალასანია იმ საპრეზიდენტო ინსტიტუტის ეტალონს ვერ ერგება, რაზეც ხშირად გვისაუბრია. ხოლო როცა ხმალაძეზე ვისაუბრე, იმ პერიოდისთვის, პრეზიდენტის პოსტზე, იგი აბსოლუტურად შეგნებულად დავასახელე. ეს იყო სიმბოლური რამ, რათა

საზოგადოებასა და კოალიციის წევრებს კარგად გაეგოთ ახალი ინსტიტუტის მნიშვნელობა. ის ინსტიტუტი, რაც დღეს არის და რაც შემოდის, პრინციპულად განსხვავებულია და ამისთვის ეტალონია ხმალაძე. ახალი მმართველი ინსტიტუტის დროს, პრეზიდენტს კრიზისის შემთხვევაში უფრო მომრიგებლის როლი აქვს. ხმალაძე ძალიან სიმპატიური კაცია, მას ძალიან ვაფასებ და ამას ახლაც ვადასტურებ. რეალური კანდიდატების შესახებ კი ჩვენ ცოტა მოგვიანებით, კოალიციის შიგნით გავერკვევით.

ვიცე-პრემიერის პოსტის შესახებ, სხვათა შორის, ჯერ არ მითქვამს ჩემი გუნდისთვის, მაგრამ შემიძლია, ახლა ვთქვა — გიორგი მარგველაშვილზე ვფიქრობ, რომელიც ჩემი მეგობარია და ძალიან მიყვარს მასთან პოლემიკა.

— ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის დალაგების თემაზე არ გვილაპარაკია — პირველ რიგში, საინტერესოა, დავოსში რაზე ესაუბრეთ პრემიერ მედვედევს?

— ეს ძალიან ხანმოკლე შეხვედრა იყო, ამას საუბარსაც ვერ დავარქმევთ. უფრო საინტერესო იყო, როცა მე მიმიწვიეს ვახშმად, სადაც მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. საოცრად თბილი გარემო იყო, საოცრად თბილი შეხვედრა შედგა. მე ვერ დავრჩი ბოლომდე, რადგან სხვა შეხვედრაზე ვაგვიანებდი, მაგრამ ძალიან კარგად ვიგრძენი, რომ ნოსტალგია და სურვილი არსებობს, არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის მოსახლეობის მხრიდანაც, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები აღდგეს. მე ეს განწყობა ვიგრძენი...

— ამბობთ, რომ პროგრესი იგრძენით, მაგრამ ბოლო 100 დღის განმავლობაში, არც ცხინვალიდან, არც სოხუმიდან აშკარა სიგნალები არ ყოფილა. პრობლემა მხოლოდ მათშია, თუ აქ, თბილისსა და თქვენს მთავრობაშიც, საიდანაც ასევე არ გვინახავს არანაირი კონკრეტული ნაბიჯები?

— აფხაზეთსა და ოსეთში ასე სწრაფად რაიმე რომ მომხდარიყო, არც იგეგმებოდა. ოსეთში გაზის შეყვანას ვცდილობთ და ორი დღის წინ მე და პაატა ზაქარეიშვილი მთელი საათი ვსაუბრობდით ამაზე. ჩვენ მოვახერხეთ და იქ გაზი შევიყვანეთ. ახლა უკვე ფასებზეც მიდის საუბარი. არ დაგიმალავთ, სახალხო დიპლომატიის წყალობით, განწყობებს ძალიან კარგად ვიცნობ. საუბარია რკინიგზაზეც, ახლა მის გახსნაზე ზედმეტია საუბარი. ვთქვი, რომ ეს პოლიტიკურად სწორია, მაგრამ რთულია და ოპოზიციამ გაგვაკრიტიკა, როგორ შეიძლება, აფხაზეთიდან საქართველოში მატარებელი შემოდიოდესო?! მოკლედ, შიდა ინფორმაციებიდან გამომდინარე, განცდები პოზიტიურია. ჩემთვის გადამწყვეტი როლი დღეს ეკონომიკის აღზევებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ეკისრება და ამისთვის ერთ-ერთი აუცილებელი იყო ბაზრის გაფართოება. მაქვს ინფორმაცია, რომ აფხაზებსა და ოსებსაც პოზიტიური განწყობა აქვთ. ჩემი აზრით, რუსეთს არც აწყობს და არც სურს, პროცესი ჩიხში მოექცეს. პრინციპში, არავითარი საოცრებები არ ხდება, უბრალოდ, ამ ინფორმაციების საფუძველზე ოპტიმიზმი გაიზარდა! ვფიქრობ, ტერიტორიულ მთლიანობასაც აღვადგენთ და რუსეთთან ურთიერთობასაც დავალაგებთ. ეს ყველაფერი სწორი, ფრთხილი, გააზრებული ქცევებით უნდა მოხდეს — ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთ, რაც გვეკუთვნის!

— გკითხავთ სოციალურ პრობლემებზეც — თებერვლიდან ერთიანი სადაზღვევო სისტემა უნდა ამოქმედდეს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება იგი და ხომ არ შეიქმნება წინააღმდეგობა კერძო სადაზღვევო სექტორიდან?

— პროცესი დაწყებულია. გარკვეული წინააღმდეგობა იქნება, რადგან ჯერ ძირითად ფუნქციას სფეროში კერძო სადაზღვევო კომპანიები ასრულებენ. დიახ, რა თქმა უნდა, მათ გარკვეული პრობლემები შეექმნებათ, მაგრამ აქვთ დრო, რომ ჩვენს სისტემაზე გადმოეწყონ. არ მინდა, ისინი გაკოტრდნენ ან შემცირდნენ. მესმის, აქამდე სახელმწიფო იყო მორგებული სადაზღვევო კომპანიების დიდ ნაწილზე, ამიტომ იქნებ, ახლა აქეთ გადმოეწყონ. მათ აქვთ ამის საშუალება, დრო, რათა უფრო ეფექტურები გახდნენ. ისინი გადაეწყობიან ახალ სისტემაზე იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო დაზღვევას ხელოვნური წინააღმდეგობები შეუქმნან. ამაზე ჩვენ გვაქვს ჩვენი დაგეგმარების სისტემა და თუ ხელოვნური წინააღმდეგობა მაინც იქნება გაწეული, ჩვენ მათ პასუხს გავცემთ! ესეც ნორმალური პროცესია. ახალი არაფერი არ მოგვიგონია და კარგი იქნება, თუ ამ პროცესს ყველა მოერგება. ვარწმუნებ საქართველოს მოსახლეობას — ნურაფრის გეშინიათ, ყველაფერს ვაკონტროლებ!

ნინო კომახიძე

ნესტან კირთაძე პოლიტიკაში ბრუნდება

„გაზაფხულზე ივანიშვილი მთავრობას შეცვლის, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად კი, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც დანიშნავს“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

პარტიული გადინებები, „ლეიბორისტების“ პოლიტიკური კრახი, ფაქტობრივად, განულებული ოპოზიცია პარლამენტსშიგნით და პარლამენტსგარეთ, მივიწყებული სოციალური მოთხოვნები და „ოცნების“ „შუაგაკრეფის“ პოლიტიკას გადარჩენილი ერთადერთი რეალური ძალა, მთავრობის ალტერნატივა — ხალხი, ძლიერი მემარცხენე პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ნაცვლად კი „შალვა ნათელმხილველი“ — ეს ის თემებია, რაზეც „ვერსიას“ სამოქალაქო საზოგადოებაში გადასული ნესტან კირთაძე, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ესაუბრება და საჭირო დროს, მის პოლიტიკაში დაბრუნებასაც აანონსებს.

— 20 წელია, გალიის ციყვებივით, ბორბალზე ერთსა და იმავე წრეს გავდივართ და ჩვენს დაცოტავებულ ამომრჩეველს ისევ ვატყუებთ! 20 წლისთავზე, ჩვენ შეგვიძლია, ყველაზე ამაზრზენი შეფასება გავაკეთოთ — იმის ნაცვლად, რომ სამოქალაქო საზოგადოება გაგვეზარდა, ხალხი ჯერ მასად და ტაშისმკვრელებად, შემდეგ კი, ინსტინქტების მოპასუხე ბრბოდ ვაქციეთ! ამის ხარჯზე ვიკავებთ სავარძლებს, ასე ვხდებით პოლიტიკური ლიდერები და ვატარებთ პოლიტიკურ შოუებს, მაგრამ ქვეყანა დაგვეშალა! არ ვაპირებდი, ამ ტიპის ანალიზის გაკეთებას, მაგრამ როგორც ჩანს, იმის დრო დგება, ქართველ ხალხს ჩემი სათქმელი ვუთხრა.

— ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესებს უმრავლესობა 2003 წლის პერიოდს ადარებს. ამას თქვენც პროგნოზირებდით?

— ამას დიდი წინასწარმეტყველება არც სჭირდებოდა! ჩვენ 2003 წელს ვიმეორებთ... შარშან, ჟურნალ „შპიგელში“ ერთი ანალიტიკური წერილი გამოქვეყნდა, სადაც ითქვა, რომ ივანიშვილის ფაქტორის შედეგად, ქართული პოლიტიკური სპექტრი დაიწმინდებოდა. იმიტომ კი არა, რომ ივანიშვილი ამ დიდებულ საქმეს ჯადოსნური ჯოხით წარმართავდა, ან პოლიტიკური კათარზისის გზას დაადგებოდა, არამედ იმიტომ, რომ დგება თვითგამოვლენის დრო! 20 წელია, საქართველოში ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული პარტიების შექმნას ვერ მივაღწიეთ. მეტიც, დღეს ჩვენთან პარტიებს კი არა, პატარ-პატარა დუქნებს, მარკეტებს, სუპერმარკეტებს ქმნიან. მათი ლიდერების სტრატეგია კი მხოლოდ საკუთარ თავზე გადის! ახლა მაინც ავირჩიოთ, რა გვინდა. თუ საქართველოში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბება გვსურს და „გავკრიფე“ ეს პარტიები, მაშინ მაგალითი ამერიკული ორპარტიული დემოკრატიიდან მაინც ავიღოთ.

— ამერიკულ ორპარტიულ სისტემაში, პარტიათა კურსს შორის ისეთი კრიტიკული განსხვავებები არაა, როგორც „ოცნება-ნაციონალებს“ შორის.

— ასეა, ამიტომ თუ ჩვენც ამ სისტემით მივდივართ, მაშინ ძლიერი ორპარტიული მმართველობა მაინც მოვითხოვოთ, რაც სულაც არ ნიშნავს დანარჩენი პარტიების განადგურებას. არც ის მგონია, ხვალ-ზეგ ამ ორი სახელწოდების პოლიტიკური ძალა დაგვრჩეს ქვეყანაში. მათ სერიოზული ტრანსფორმირება მოუწევთ: მაგალითად, „ნაციონალებმა“ თვითგანახლება უნდა მოახდინონ, რადგან ხალხი ძველი პათოსითა და ლიდერშიპით აღარ მიიღებს. მეორე მხრივ, „ოცნებაც“ ძალიან პირობითი გაერთიანებაა და ტრანსფორმირება აქაც გარდაუვალია! რაც შეეხება დანარჩენებს:

თამამად ვამბობ, საქართველო აბსოლუტურ პოლიტიკურ კოლაფსშია, თუ ოპოზიციას ახალი სისხლი არ გადავუსხით! ყველას მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, პირდაპირი ვიქნები — ხელში ისევ ეს მყვირალა ლიდერები შეგვრჩა, გულის მოსაფხანად. ფხანა კი ქეცმა იცის და თუ ვინმეს ქეცი აწუხებს, ეს მისი პრობლემაა! ამიტომ, ქართველმა ხალხმა მრავალპარტიული დემოკრატია უნდა მოითხოვოს და ჩვენი ოპოზიცია ან უპასუხებს ამ მოთხოვნას ან გაქრება!

გამოჩნდება ერთი ძლიერი, გაირბენენ მისი მიმართულებით, გამოჩნდება მეორე, ახლა აქეთ გამოირბენენ და ასე, გვრჩება მხოლოდ მმართველი პარტიები, რომლებიც ეტაპიდან ეტაპამდე იშლებიან და მეორე მმართველი პარტიების დონორები ხდებიან! ადრე, ყველა „ნაცმოძრაობაში“ იყო, თავის დონორებიანად და წევრებიანად, რადგან ეს იყო რეალობის გუშინდელი დღე!

— დღევანდელი დღე ბიძინა ივანიშვილი და „ოცნებაა“. შესაბამისად, მისი მიმართულებით გარბიან „ლეიბორისტები“, „ქრისტიანდემოკრატები“, „მემარჯვენეები“ და სხვები?

— „სოციალ-დემოკრატი“ რომ ხარ, გია ჟორჟოლიანი, პარლამენტში ზიხარ და ხმას არ იღებ, ერთხელ მაინც თქვი რამე სოციალურ მოთხოვნებზე, თუ რა ჯანდაბის პარტიული დისციპლინა გაქვს ასეთი ამ კოალიციაში?! კი ბატონო, იყო ქვეყანაში მემარცხენე მიმართულებაც, თუნდაც „ლეიბორისტები“, მაგრამ მისი ლიდერი გახდა ექსტრასენსი საქართველოში და ნათელმხილველების ადგილი დაიკავა. დღეს იგი, პრაქტიკულად, არც ერთ გამოწვევას არ პასუხობს, რაც ქვეყნის წინაშეა, მისი პარტიის გამოწვევები კი მხოლოდ მისი თავსატეხია. ახლა, შეიძლება, მის პროგნოზებს ვუსმინოთ და ვივარაუდოთ, სად რა მოხდა და როგორ მოექცა აბსოლუტურ იზოლაციაში?! ამიტომ ღიად ვამბობ — საქართველოში ოპოზიციური სპექტრი არ არსებობს, რადგან ყველას ინტერესები მხოლოდ საკუთარ დუქნებსა და უცხოურ საბანკო ანგარიშებზე გადის!

დღევანდელი მმართველი გუნდი, რომელიც 2003 წელს სააკაშვილის გუნდიც იყო, მერე კი არ დაიშალა, გაიშალა. დანაწილდა მმართველებისა და ხელოვნური ოპოზიციის როლები. ვფიქრობ, დღევანდელი კრიზისის დროსაც ასე იქნება — მმართველი კოალიცია გაიშლება, გადანაწილებული ადგილებით!

— 2003 წელს როლებს სააკაშვილი ანაწილებდა, ახლა მმართველებსა და ოპოზიციონერებს ივანიშვილი „ნიშნავს“?

— იქიდან დავიწყოთ, რომ 2003 წლის მოქმედებები რევოლუციის შედეგი იყო, რომელსაც ერთი კანონი აქვს — ის კანონგარეშეა! რაღაც „ტრიოები“ და „კვარტეტები“ კი ბინძურ სამუშაოს ასრულებდნენ: ანადგურებდნენ, იჭერდნენ და ეს ყველაფერი რევოლუციის სახელით ხდებოდა, რასაც ხალხი ტაშს უკრავდა.

— ტაშს არ უკრავდნენ „ლეიბორისტები“, „მემარჯვენეები“ და ისინი კრიტიკულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ, თუმცა არ დაშლილან. სამაგიეროდ, ახლა, როცა იგივე ძალები კვლავ კრიტიკულ უმცირესობაში არიან ივანიშვილის წინააღმდეგ, დაშლის პირას მივიდნენ ან უკვე დაიშალნენ. რატომ?

— 2003 წელს ვთქვი, ყველაფერი მზადაა, ხალხო, გაისმება ნოემბრის თეზისები და შეიჭრებიან პარლამენტში-მეთქი. მაშინ ჯერ ეს პროცესი ასეთი თვალნათელი არ იყო. მთავარი ის კი არაა, მე ეს დავინახე, რადგან ამის პროგნოზირება უმარტივესი იყო, არამედ ის, რომ ჩემი ნათქვამი ხალხმა არ მიიღო. ტელეეთერის მერე ვიღაც მოვიდა, შემაფურთხა და მითხრა — მათი გშურს და ასე იმიტომ ლაპარაკობ. 2006 წელს, მიტინგზე იმ ადამიანმა ჩემს წინაშე დაიჩოქა და მომიბოდიშა! თუ პარტიამ არ იცის, რაა მისი მთავარი გამოწვევა, ის არათუ კრიტიკულ უმცირესობაში გადავა, არამედ საერთოდ, გაქრება! ამიტომ სულზე მოგვისწრო „კოჰაბიტაციამ“, როგორც ექსპერიმენტმა დასავლელი დემოკრატი საზოგადოების მიერ — შევძლებდით თუ არა განსხვავებული პოლიტიკური ძალების ერთობლივ თანაცხოვრებას.

— მერე, არ ჩანს, რომ ვერ შევძელით?

— ეს ჩვენთვის უცხო ხილია — შეუთავსებლის შეთავსების მცდელობა! ძალიან რთულია, როცა მეორე პოლიტიკური ძალა გამუდმებით ან პროკურატურაშია, ან მის წინ, ან მის ეზოში და დაკითხვის რიგში. კოჰაბიტაცია ვერშემდგარია, როცა დეპუტატებს იბარებენ პროკურატურაში და მერე დეპუტატი იბარებს პროკურორს პარლამენტში, როცა არჩეულ მერს იბარებენ დაკითხვაზე და მერე მერი მერიაში აქეთ იბარებს — ეს აბსოლუტური გაუგებრობა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში შედის!

— და სად არის გამოსავალი ამ კრიზისიდან?

— კრიზისი პრემიერ ივანიშვილს უკარნახებს, გაზაფხულზე მთლიანად შეცვალოს მთავრობა! ეს გარდაუვალი პროცესია, რომელიც ივანიშვილს იმასაც უკარნახებს, შემოდგომაზე, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც დანიშნოს!

ეს ლოგიკური იქნება, რადგან არ შეიძლება, ხალხი 4 წელი იმ პარლამენტს ელოდოს, რომლის უმცირესობის წევრები მუდმივად პროკურატურაში სხედან. თუ ასეთი უმცირესობა ჰყავს პარლამენტს, არ შეიძლება, ერთპარტიული უმრავლესობის იმედად დავრჩეთ 4 წელი! ამიტომ ფორმულა ასეთია: კოჰაბიტაციიდან ერთი წლისთავზე, არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს, რათა ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის ციკლი გაგრძელდეს. მივმართავ ბიძინა ივანიშვილს — უნდა შექმნას ეროვნული, პროფესიონალური მთავრობა და არა პარტაქტივისტების მმართველობა! დაერქვას ამას კოჰაბიტაციის ერთი წელი, რომელიც ვერ შედგა, მაგრამ დაინიშნოს ხელახალი არჩევნები, თორემ დაგვრჩება ეკლექტური, ხელოვნური მთავრობა, სადაც კოალიციის ლიდერები დასაქმდნენ და ახლა ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი აქტივისტი დაასაქმონ!

— ამ დროს, სად არის პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიცია, რა პროცესები მიდის და საერთოდ, ასეთს თუ იცნობთ, დაასახელეთ!

— ჩემთვის ძალიან დამამცირებელი იქნება პარლამენტსგარეთ დარჩენილ ან მის შიგნით მყოფ ოპოზიციაზე საუბარი. საკუთარ ღირსებასა და პროფესიონალიზმს პატივს ვცემ და ვამბობ — ერთადერთი ოპოზიცია, ვინც დღეს შეიძლება არსებობდეს, ხალხია, თავისი ინტერესებითა და მოთხოვნებით! ვიდრე ქვეყნის მართვა ქვემოდან ზემოთ არ დაიწყება, არაფერი გვეშველება!

— მაშინ რა ახალ სისხლსა და „მესამე ცენტრზეა“ საუბარი, თუკი ხალხიცა და მმართველი უმრავლესობაც იმაზე თანხმდება, რომ მეორე, ალტერნატიული ძალა არ არსებობს და ის „ნაცმოძრაობა“ ვერ იქნება?

— დიახ, არ არსებობს ალტერნატივა, არ არსებობს არანაირი მეორე ცენტრი, შესაბამისად, ვერც მესამის შექმნის საჭიროებაზე ვისაუბრებთ! წელიწადზე მეტია, საერთაშორისო დიპლომატის სტატუსით ვმუშაობ. ამ ერთი წლის განმავლობაში, თბილისიდან მთელმა მსოფლიომ სამშვიდობო ინიციატივები გაიგო, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლების შესახებ. ეს გაიგონა უცხოურმა საექსპერტო წრემ, პარიზმა, ბერლინმა, ბრიუსელმა და მოსკოვმა, სადაც ორჯერ ვიყავი! ამ ინიციატივების დელეგირება გაზაფხულზე ევროპარლამენტში იგეგმება.

— პოლიტიკაში თქვენი დაბრუნებაც ხომ არ იგეგმება?

— დასრულდება ეს გარდამავალი ეტაპი და დიახ, მე ვაპირებ დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას! აქამდე არ მინდოდა, ჩვენი სამშვიდობო ინიციატივები მარტო წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი ყოფილიყო. ეს დილეტანტიზმი უნდა დასრულდეს, სავარძელთმაძიებლობის, აქტივისტების დასაქმების პოლიტიკა უნდა დასრულდეს!

ვანო მერაბიშვილი: „მათ ნაცვლად მე დამკითხეთ“

უმრავლესობას არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და ვერ შეძლებს, ჩამოაყალიბოს საქართველოში ერთპარტიული მმართველობა, დიქტატურა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ უმრავლესობა ვერც კი გაბედავს საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრაზე დაყენებას, — ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა, ვანო მერაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის გამოხმაურებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ნათელია, რომ ივანიშვილის გუნდი ვერ მოაგროვებს საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად, დეპუტატების საკმარის რაოდენობას: **„აქედან გამომდინარე, ივანიშვილი ბრაზობს და ემუქრება პარლამენტის წევრებსა და მათ ახლობლებს, ასევე კოლეგებს. მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, რომ მისი მუქარა ვერ შეგვაშინებს და ხელს ვერ აგვაღებინებს იმ გზაზე, რომელიც ავირჩიეთ“.**

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის თქმით, ბიძინა ივანიშვილი აპირებდა, 100 დღის შედეგებზე ესაუბრა, თუმცა სამსაათიანი გამოსვლის 90% ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო:

„მის მაგივრად შევეცდები, მოკლედ შევაფასო მისი 100-დღიანი მმართველობა. ეს არის კრიმინალის მკვეთრი ზრდა, ჩამოშლილი ეკონომიკა და შეუსრულებელი დაპირებები. ივანიშვილი საუბრობს სამართლიანობაზე მაშინ, როცა ციხიდან გამოუშვა ტერორისტები, მეამბოხეები, ჩახალიანი, კრიმინალები, ამის პარალელურად, ის არნახულ რეპრესიებს ახორციელებს ქვეყანაში და მსგავსი რეპრესიები ქვეყანაში არ განხორციელებულა“.

მერაბიშვილმა დასძინა, რომ დაკითხულია თბილისის მერიის 885, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის 1425 თანამშრომელი, 4450 სოციალური აგენტი და „ნაცმოძრაობის“ 1200-ზე მეტი აქტივისტი. მათ შორის არიან ექიმები, მასწავლებლები და სხვა პროფესიის ადამიანები: **„ივანიშვილი საუბრობს გაიაფებაზე, მაგრამ ერთადერთი რაც გაიაფდა, ესაა ნარკოტიკები, რასაც ყოველდღე ვამჩნევთ ჩვენს ქუჩებში, სადარბაზოებსა და სხვადასხვა ადგილებში“,** — ასევე მიმართა მთავრობას, ნაცვლად სოციალური აგენტებისა და იმ ყოფილი პოლიციელებისა, რომლებსაც კითხავენ პოლიციის შენობების აშენებასთან დაკავშირებით, ის დაკითხონ, რადგან სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა დასაქმების სამინისტრო და სწორედ მისი ინიციატივით შენდებოდა პოლიციის შენობები.

„ივანიშვილის გამოსვლები ჩავესისა და კასტროს გამოსვლებს მახსენებს“

ბიძინა ივანიშვილის გამოსვლები ჩავესისა და კასტროს გამოსვლებს მახსენებს, — ამ განცხადების ავტორი საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი მინაშვილია. მან აღნიშნა, რომ ივანიშვილის ყველა გამოსვლა დემაგოგიითაა გაჯერებული, პრემიერი კრიტიკული კითხვების მიმართ აგრესიულია, რაც ბევრჯერ დაფიქსირდა.

მინაშვილის შეფასებით, ივანიშვილი არის ადამიანი, რომელიც მუდმივად იტყუება და გაცემულ დაპირებებს არ ასრულებს: **„ის საზოგადოებას ჰპირდებოდა, რომ საწვავის ფასი განახევრდებოდა, განათლება და ჯანდაცვა უფასო იქნებოდა, მაგრამ მათი არც ერთი დაპირება არ სრულდება. ამასთან, ამ ადამიანს არ აქვს წარმოდგენა, როგორ აპირებს ქვეყნის მართვას და დაპირებების შესრულებას. პრემიერის არასერიოზული განცხადებები ქვეყნისთვის სახიფათოა“.**

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტმა პარლამენტს ელჩობის კანდიდატურები წარუდგინა

ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობაზე ნატალია საბანაძის, უნგრეთში საქართველოს ელჩად კი ზაზა კანდელაკის კანდიდატურაა წარდგენილი.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა ლატვიის რესპუბლიკაში ელჩად თეიმურაზ ჯანჯალიას კანდიდატურა წარადგინა. ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩობის, ევროპის უსაფრთხოების თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის კანდიდატი კი, კონსტანტინე ზალდასტანიშვილია.

აშშ-ში საქართველოს ელჩობის კანდიდატია არჩილ გეგეშიძე, ჩეხეთის რესპუბლიკაში — ზაალ გოგსაძე, უკრაინაში კი — მიხეილ უკლება.

ასევე, საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და რომში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კარლო სიხარულიძის კანდიდატურა წარადგინა.

„ინტერპრესნიუსი“

გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი, შესაძლოა, კიდევ დაკითხონ

მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, თბილისის მერ გიგი უგულავას, შესაძლოა, დაკითხვაზე დაბარება სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც მოუწიოს: **„თემა, რომელზეც გიგი უგულავა იქნა დაკითხვაზე დაბარებული, არ არის ერთადერთი. შესაძლოა, კიდევ სხვა საქმეები იყოს მის მიმართ წამოწეული. მაგალითად რიყის ტერიტორიის გასხვისების საკითხი და ესეც არ არის ბოლო“.**

ამასთან, მთავარი პროკურორის ინფორმაციით, ანალოგიური სიტუაციაა ყოფილ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან მიმართებაშიც: **„არსებობს სხვადასხვა საქმეები, რომელზეც პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს და რომელთა მიმართებაში მერაბიშვილის დაკითხვის აუცილებლობა დგას, მათ შორისაა გირგვლიანის საქმე, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებული გამოძიება და არა მხოლოდ ესენი“.**

თბილისის მერი გიგი უგულავა მერიაში 2 თებერვალს, „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოწმის სტატუსით დაკითხეს. ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი კი, 2012 წლის დეკემბერში ყალბი პასპორტის საქმეზე ორჯერ დაიკითხა.

„ინტერპრესნიუსი“

„ნაციონალებს“ „ოცნებაში“ ზვიად ძიძიგურის გუნდი „ავერბოვკებდა“

„მიშა მაგარია“ თუ „მიშა წასულია“ — „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის უმრავლესობა არ ჰყავს?!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს!“ — ასე საინტერესოდ იწყება საკმაოდ ვრცელი მიმართვა, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობის 4 ლიდერი მოსახლეობას ჩავარდნილი სახალხო-საჯარო განხილვების შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე უგზავნის. საქმე იმ ცვლილებას ეხება, რომლის მიხედვით სააკაშვილი, პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში, მთავრობის ფორმირებისა და არჩევნების მათ პირობებში ჩატარების უფლებას კარგავს. ამავე მიმართვაში საუბარია პრეზიდენტის ცდუნებებსა და „ნაციონალების“ პოლიტიკურ ვნებებზე: „თუ ნაციონალური მოძრაობის თვალთახედვიდან ეს ნოვაცია რაიმე საფრთხეს შეიცავს, თანახმა ვართ, ვიმსჯელოთ და გავიზიაროთ მათი წინადადება. არჩევანი მათზეა... რა უნდა უთხრან ამ ცვლილებებისთვის ხმის არმიმცემებმა ქართველ ხალხს? დღეიდან, საჯარო-სატელევიზიო და საპარლამენტო დებატებში ვიწვევთ პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის თითოეულ წარმომადგენელს, თემაზე — სააკაშვილი თუ საქართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა. მათ მოუწევთ პერსონალური პასუხისმგებლობა და აზრის მკაფიოდ დაფიქსირება კონკრეტულ საკითხზე — უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს, ხალხისა და პარლამენტის თანხმობის გარეშე, მთავრობის შეცვლის უფლება... შესაბამისად, მათ პასუხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი: ვინც იტყვის „კი“, მასთან ჩვენ ვხედავთ თანამშრომლობისა თუ ოპონირების აზრს სხვა საკითხებზე, ვინც იტყვის „არა“, მის მოსმენასა და მასთან დებატებზე ჩვენ დროს ვერ დავკარგავთ ვერც ერთ სხვა საკითხზე“.

მოკლედ, საკონსტიტუციო ცვლილებებამდე 2 დღით ადრე, 4 კაცი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი, ფრაქცია „რესპუბლიკელების“ ლიდერი დავით ბერძენიშვილი, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ჩიქოვანი და ფრაქცია „კონსერვატორების“ ლიდერი გიგა ბუკია იდგა და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, „ნაციონალებს“ ხმის მიცემას ეხვეწებოდა! სად გაქრა კობა დავითაშვილის მიერ ნახსენები „ოქროს 100 კაცი“ და თავდაჯერებული ტონი საკონსტიტუციო უმრავლესობის მოგროვებაზე, ამაზე მხოლოდ მკითხაობა შეიძლება. ფაქტი კი ისაა, რომ, როგორც ჩანს, „ოცნებამ“ „ნაციონალები“ ისე ეფექტურადაც ვერ „დაავერბოვკა“, როგორც ამაში სრული ერთი თვე გვარწმუნებდა გვარწმუნებდა!

საჯარო განხილვები თემაზე, დავუსუსტოთ თუ არა პრეზიდენტს უფლებამოსილება, მეორე, პარლამენტის თბილისში დაბრუნების ინიციატივასთან ერთად, დაახლოებით, ერთი თვის წინ დაიწყო და, კაცმა რომ თქვას, არც ისე ეფექტურად ჩაიარა. ზუგდიდში შეხვედრებს გაწევ-გამოწევა და პირდაპირი მნიშვნელობით, კვერცხების სროლა მოჰყვა. ქუთაისში განხილვებისას, ორ ნაწილად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს გვარიანად „ამკობდა“. გამოსვლებს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი „ოცნებიდან“, გუბაზ სანიკიძე საერთოდ არ დაესწრო. სხვა ქალაქებში ჩატარებულ განხილვებს, მაგალითად, აპოლიტიკურ რუსთავში, უკვე „ნაციონალები“ გამოეთიშნენ, ოღონდ დიდი აჟიოტაჟით — „ოცნება“ გვდევნის, გვავიწროებს და ხალხს გვიქეზებსო! ერთი სიტყვით, უმრავლესობა-უმცირესობა ერთხმად შეთანხმდა, რომ ეს საჯარო განხილვები წყლის ნაყვა იყო და მთელი აქცენტი კულუარულ მუშაობაზე გადაიტანა. კულუარებში მიღწეული წარმატება-წარუმატებლობების შესახებ კი „ვერსიას“ ინფორმაციები თავიდანვე ჰქონდა.

როგორც პარლამენტის „ღრმად მოკოჰაბიტე“ ლიდერები გვარწმუნებდნენ,

„ნაციონალების“ გუნდზე, ამ ხნის განმავლობაში, ზვიად ძიძიგურის ჯგუფი აქტიურად მუშაობდა. საუბარი იყო „კონსერვატორების“ ფრაქციის ლიდერ გიგა ბუკიაზე, რომელმაც მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებული მეტოქე, გოდერძი ბუკია „გადმოიბირა“. „ოცნების“ დეპუტატები, „ვერსიას“ კიდევ რამდენიმე გვარს უსახელებდნენ, რომელთა შორის ისეთი ბობოლა „ნაციონალებიც“ იყვნენ, როგორიც გია ბარამიძე და დავით ბეჟუაშვილი არიან. კიდევ ერთი გვარი, ვისი „შავ სიაში“ აღმოჩენაც არავის გაკვირვებია, ლევან ბეჟაშვილი იყო, კონტროლის პალატის ყოფილი შეფი, რომელმაც არჩევნებამდე, ნახევარი „ოცნება“ დააყადაღა, ახლა კი, ხელშეუხებლობის გარანტია ამ კანონპროექტისთვის ხმის მიცემაში გაცვალა. კულუარული ჭორების გარეშეც ჩანდა კიდევ ორი „მოღალატე ნაციონალი“, რომელიც „ოცნების“ დეპუტატებთან მოურიდებლად „მეგობრობდა“. ესენი მეცნიერი მიშა მახარაძე და ვანის მაჟორიტარი პაატა ლეჟავა არიან.

იმ პირობებში, როცა ე.წ. ბიზნესმენების დამოუკიდებელი ფრაქცია ხმას აპრიორი „ოცნების“ კანონპროექტის სასარგებლოდ აძლევს, „მოღალატე ნაციონალების“ ამ გვარებიანად, ივანიშვილის პარლამენტს საკონსტიტუციო უმრავლესობამდე კიდევ ორი კაცი აკლია. ყოველ შემთხვევაში, ორი კვირის წინ ასე იყო, თუმცა იმ სპეციალური ბრიფინგის მერე, რაც „ოცნების“ 4-მა ლიდერმა სულ 2 დღის წინ, კოალიციის ოფისში ჩაატარა და ოპონენტები დებატებში გამოიწვია, ოღონდ ძველებური რიხის გარეშე, ყველა ძველი განცხადება ეჭვქვეშ დადგა. სამაგიეროდ, ახალი განცხადებებია განხილვის საგანი — თვალებში როგორ უნდა ჩაგვხედონ ამ კანონისთვის ხმის არმიმცემებმაო, მორიდებულად დაინტერესდნენ „ოცნებელები“ და, სხვათა შორის, ამ ბრიფინგის მერე, მასმედიის კითხვებზე პასუხის გაცემა საჯარო ფორმატში აღარ მოისურვეს. „ვერსიისთვის“ კი განმარტება „რესპუბლიკელმა“ დეპუტატმა, დავით ბერძენიშვილმა გააკეთა: **„ჩვენ, ნებისმიერ შემთხვევაში, გავაგრძელებთ საქმიანობას საკმარისი პოლიტიკური ბერკეტების მოსაპოვებლად, რათა სააკაშვილმა ვერ შეძლოს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნა. ამ პოლიტიკური კამპანიის მერე, იმის მიუხედავად, ახლა იქნება 100 ხმაზე მეტი, 2 თვეში თუ ეს საკითხი აქტუალობას დაკარგავს, მაინც, თავისთავად, მიღწეულია შედეგი, რომ მიხეილ სააკაშვილი მთავრობას თავის ნებაზე ვეღარ დაითხოვს! თუ 100 ხმაზე მეტი იქნება, ეს უკეთესია და სააკაშვილს თეორიულადაც აღარ ექნება პოლიტიკური კრიზისის გამოწვევის შესაძლებლობა. სრულიად დარწმუნებული ვარ, პოლიტიკურად გაკოტრებული სააკაშვილის ხელისუფლება, ჩვენი ამ სვლების შედეგად, საერთოდ არაა მთავრობის დათხოვნის შემძლე... რაკი საჯარო განხილვები სრულფასოვნად ვერ წარიმართა და ბოლო შეხვედრებში „ნაციონალები“ აღარ მონაწილეობდნენ, ჩვენ მათ ვთავაზობთ სრულიად დაცულ, უსაფრთხო გარემოს — დებატებს პარლამენტში, ტელევიზიებში, რადიოში. რა ვქნათ მეტი, მათზე ვზრუნავთ, ილაპარაკონ, რამდენიც სურთ, იქ მათ კვერცხებს არ ესვრიან!“**

რაც შეეხება კანონპროექტის მეორე ნაწილს, რომლის მიხედვით, სააკაშვილს პარლამენტის დათხოვა არა ექვს, არამედ სამ თვეში შეუძლია და ამის გაკეთებას, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, ორჯერ მაინც მოასწრებს, „რესპუბლიკელი“ ბერძენიშვილი საფრთხედ არ მიიჩნევს და ვერც „ოცნების“ რიხიანი ტონალობის შეცვლაში ხედავს პრობლემას: **„ამის ენერგია ბატონ სააკაშვილს ნამდვილად აღარ აქვს და პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი ხუმრობა, მისთვისვეა სახიფათო! მან ახლა ისეთი ნაბიჯები რომ გადადგას, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გახდეს საჭირო, მისი პარტია ბარიერსაც ვერ გადალახავს, რასაც არ დაუშვებს თვითონ ნაციონალური მოძრაობა! კაკო ბობოხიძე პრინციპულად შეეცდება, თავად არ განდევნონ პარლამენტიდან! ჩვენ არასოდეს ვამბობდით, არიქა, მხარს 120 კაცი გვიჭერსო. უბრალოდ, ყოველთვის ვამბობდით, დაუჭერენ ამ ცვლილებას ხმას, თავს სასარგებლო საქმეს გაუკეთებენ. არ დაუჭერენ მხარს, მთავრობა მაინც არ გაირეკება და სააკაშვილი ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც განიარაღებულია!“**

მართალია, კაცმა არ იცის, რამ განაიარაღა პრეზიდენტი, მაგრამ ახლა „ოცნების“ ლიდერშიპი უფრო ემოციური ჩანს. როგორც „ვერსიას“ ფრაქცია „ოცნების“ ლიდერი, ზაქარია ქუცნაშვილი უცხადებს: **„საპარლამენტო გამოსვლაში მიშა ეცდება, თავისი გუნდის ნარჩენებს გაუგზავნოს გზავნილი, რომ მიშა ისევ მაგარია, სინამდვილეში, მიშა უკვე წასულია. ასე რომ, „მიშა მაგარია“ „მიშა წასულია“-თი შეიცვლება“.**

6 თებერვალს, ქუთაისის პარლამენტში სააკაშვილის უფლებების შეკვეცასთან დაკავშირებული დიდი დებატები გადაიდო — „ნაციონალები“ განხილვაში არ მონაწილეობდნენ და იმიტომ, თუმცა დიდი მკითხაობა სულ არაა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ „ოცნება“ დროის მოგებასა და დეპუტატების ხმების მოგროვებას ცდილობს. ამასობაში, სააკაშვილი პრეზიდენტის რანგში, უკანასკნელად მიდის პარლამენტში, საანგარიშო მოხსენების ჩასაბარებლად. კენჭისყრაცა და დებატებიც, მისი უფლებამოსილების დასუსტების თემაზე, ღია იქნება და ყველანი ვნახავთ, რომელმა „ნაციონალმა“ დაუჭირა მხარი ივანიშვილის პარლამენტს. ასე რომ, ახლა ის უფრო საინტერესოა, „ოცნების“ ენაზე რომ ვთქვათ, საკუთარ პრეზიდენტს როგორ ჩახედავენ თვალებში „მოღალატე ნაციონალები“.

„პროცესი ბადრიმ დაიწყო და ბიძინამ გააგრძელა“

რუსუდან შელია
პოლიტიკა

2013 წლის 13 თებერვალს ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ხუთი წელი შესრულდება. ამ წლების განმავლობაში, ბევრი დაიწერა იმაზე, როგორ დაიწყო მისი ბიზნესკარიერა, ვინ აიძულა პოლიტიკაში ჩართვა და რატომაა ბურუსითმოცული მისი გარდაცვალება. ბადრი პატარკაციშვილის დედა ნათელა პატარკაციშვილი „ვერსიას“ ბიზნესმენის ცხოვრების დეტალებს უმხელს, გარკვეულ ფაქტებს ახსენებს, ეჭვებს უზიარებს, აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მისი შვილის მიერ დაწყებული პროცესი გააგრძელა და იმაზეც საუბრობს, მართლა იყო თუ არა დაპირისპირება პატარკაციშვილ-ივანიშვილს შორის.

როდის მოითხოვს ოჯახი ბიზნესმენის გარდაცვალების საქმის გამოძიებას, რა იყო ბადრი პატარკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა და რისთვის უხდის მადლობას სააკაშვილს ნათელა პატარკაციშვილი

— ბადრი თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ კი „მაუდკომბინატში“ მლესავად დაიწყო მუშაობა. მაშინ ასეთი წესი იყო, უმაღლესში ჩასაბარებლად ექვსთვიანი მუშაობის სტაჟი უნდა გქონოდა. 16 წლის იქნებოდა, როცა ჩემმა ნათესავმა მურმანსკში წაიყვანა, სადაც საზღვაოსაინჟინრო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

კარგად მახსოვს, 31 ოქტომბერს, ბადრის დაბადების დღეს, მე და ჩემი მეუღლე მის სანახავად მურმანსკში ჩავედით. თავის ოთახში არ დამხვდა. როცა მისი ადგილსამყოფელი ვიკითხე, მითხრეს, საპირფარეშოებს ალაგებსო. რამდენიმე საათს ველოდებოდი და როცა ვნახე, ვიტირე. მან კი დამამშვიდა, დედა, ნუ ნერვიულობ, რადგან სასწავლებლად აქ მოვედი, ვალდებული ვარ, ჩემი მორიგეობისას, საპირფარეშოები დავალაგოო. სასტუმროში შევამჩნიე, რომ ქალების უმეტესობას შავი ტანსაცმელი ეცვა. აღმოჩნდა, რომ ზოგს მეზღვაური მეუღლე გარდაეცვალა, ზოგს — ძმა, მამა... ვიფიქრე, ჩემ შვილსაც ასე მოუწევს-მეთქი,

ექვს თვეში მურმანსკიდან თბილისში წამოვიყვანე, რის შემდეგაც, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა და საინჟინრო ფაკულტეტიც წარმატებით დაამთავრა. სწავლის პარალელურად, „მაუდკომბინატში“ მუშაობა დაიწყო, იმდენად მონდომებული იყო და ყველაფერი აინტერესებდა, რომ მალე დაწინაურდა. მახსოვს, „მაუდკომბინატში“ აღებული პირველი ხელფასით, 130 მანეთით, კოჯრის ბავშვთა სახლისთვის ტკბილეული იყიდა, მკურნალ ექიმს, პირველ მასწავლებელსა და ბებიას ხუთმანეთიანი სუნამო „სიპრი“ აჩუქა, დანარჩენი თანხით კი, რაღაც-რაღაცები სახლში მოგვიტანა, თავისთვის მხოლოდ ორი მანეთი დაიტოვა. ბავშვობიდანვე ცელქი იყო, მაგრამ — უსაზღვროდ კეთილი.... შემდეგ რუსთავის ქარხანაში მუშაობდა, რომელიც მომავალში, თავად შეიძინა.

— რატომ წავიდა რუსეთში და როგორ დაიწყო წარმატებული ბიზნესკარიერა, რომელზეც დღემდე ლეგენდები დადის?

— ბადრი რუსეთში საკმაოდ უცნაურად წავიდა. თბილისში, 30 წლის იუბილეს იხდიდა. ერთმა ადამიანმა, რომლის გვარსაც ახლა ვერ ვიხსენებ, დაურეკა და უთხრა, მოსკოვში ჩამოდი, ექვსი ენა ისწავლე და შენთვის საკმაოდ მაღალ თანამდებობას ვინახავთო. ბადრი რუსულსა და ინგლისურს კარგად ფლობდა, მოსკოვში ჩასვლის შემდეგ კი, რეპეტიტორებთან მომზადება დაიწყო და ექვსი ენაც შეისწავლა. მოგეხსენებათ, რამდენიმე წელიწადში ტელეკომპანია „ორტ“-ის, მალე კი „ტვ 6“-ის გენერალური დირექტორი გახდა, რომელსაც, დაახლოებით, 4-6 წელი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, ბერეზოვსკის დაუახლოვდა და დაუმეგობრდა. წარმატებული კარიერის მიუხედავად, ბადრი საქართველოდან შორს ერთი კვირის განმავლობაშიც ვერ ძლებდა. ხშირად ჩამოდიოდა. ბოლოს გადაწყვიტა, აღარ წასულიყო. ქველმოქმედი გახლდათ. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს განსაკუთრებით ეხმარებოდა... ვცდილობ, ბადრის კვალს მივყვე... არ ვიცი, რამდენად გამომდის...

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ბადრი პატარკაციშვილი საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ქართულ პოლიტიკაში...

— აი, აქ დაუშვა ბადრიმ ყველაზე დიდი შეცდომა, თუმცა... ამ გზამდე ზეწოლით მიიყვანეს. მას პოლიტიკა არ უნდოდა და არც აინტერესებდა, მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობაში წვლილის შეტანა სურდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი შვილი იყო, იგი მართლაც, ასეთი პიროვნება გახლდათ.

— ვინ ახორციელებდა მასზე ზეწოლას?

— პოლიტიკაში შესვლის შეცდომა მაშინდელმა მთავრობამ, ნაციონალურმა მოძრაობამ დააშვებინა. ალბათ, გახსოვთ, პრეზიდენტი ტელევიზიით რამდენჯერმე გამოვიდა და მუდმივად იმეორებდა, ბადრი პატარკაციშვილი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებსო. არადა, ბავშვსაც რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ ეს აბსურდია. ძალიან გავმწარდი, აღარც ძილი მქონდა და არც მოსვენება. პრეზიდენტს საჯაროდ მივმართე, ბადრის სახელმწიფო გადამტრიალებლად ნუ მოიხსენიებ-მეთქი. მადლობას ვუხდი მას, რადგან ჩემი თხოვნის შემდეგ, ამ კონტექსტში აღარ უხსენებია.

სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა ბადრის, პოლიტიკაში აქტიურად ჩართულიყო. სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური პროგრამაც ჰქონდა, რომელშიც დეტალურად იყო განერილი ქვეყანაში თითოეული ადამიანისთვის უკეთესი პირობების შექმნის გეგმა. საერთოდ, რასაც ჩაიფიქრებდა, ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა საქმე. სამწუხაროდ, ოჯახის წევრებისთვის არ უთქვამს პოლიტიკაში თუ მიდიოდა. ხელს ნამდვილად არ შევუწყობდით.

— პოლიტიკაში ოფიციალურად ჩართვამდე, მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან. ქვეყნის პირველი პირები მასთან გარკვეულ საკითხებსაც ათანხმებდნენ. რატომ დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა?

— ვერ გეტყვით, ბადრი ოჯახში არაფერს ამბობდა... დარწმუნებით იმის თქმა შემიძლია, რომ მასზე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებამ საშინლად იმოქმედა. როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა პრემიერ-მინისტრი, ჩემი გასარკვევი არ არის, მაგრამ ვიცი, ეს ბადრისთვის შოკი იყო. თანამებრძოლებმაც უღალატეს, რადგან ძალიან ალალი იყო, ყველას ენდობოდა. მახსოვს ერთხელ, დამ, მზიამ უთხრა, ვერ ხედავ, ყველა გატყუებსო. ის მოუტრიალდა და, მატყუებენ თუ არა, შენი საქმე არ არის, ალბათ ვიღაცას უჭირს და იძულებულია, ასე მოიქცესო, უპასუხა. ერთადერთი, ვინც ბადრის ძალიან უყვარდა, ზურაბ ჟვანია იყო. ორივე საქართველოს აღმშენებლობაზე ფიქრობდა, ამიტომ როგორც 13 თებერვალი, ასევე 3 თებერვალი, ზურას გარდაცვალების დღე, ჩემთვის უმძიმეს ტრაგედიასთან ასოცირდება.

— ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს აღნიშნეთ, დღემდე მაწუხებს კითხვა, რა ვითარებაში დაიღუპნენ ბადრი და პრემიერ-მინისტრიო...

— დიახ, დღემდე გაურკვეველია, რა ვითარებაში გარდაიცვალა ჩემი შვილი. ხუთი წლის წინ, 2008 წლის 13 თებერვალს, ლონდონში, ბადრი საკუთარ ოფისში წავიდა, მაგრამ სახლში მალევე დაბრუნდა. მეუღლემ შესთავაზა, ვისადილოთო. ბადრიმ უთხრა, ინა, ხუთი წუთით ბაღში გავივლი, შემოვალ და მერე ვისადილოთო. რამდენიმე წუთის შემდეგ მართლაც მობრუნდა. რძალმა მითხრა, სადილობისას ბადრის ქმედებები არ მესიამოვნა, ძალიან ცოტა ჭამა და ისიც ჩემი ხათრითო. როგორც კი ინამ ბადრის გარდაცვალების დღეს მისი მდგომარეობის შესახებ მიამბო, მაშინვე ვიფიქრე და ახლაც დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი მოწამლეს! ბრიტანეთის ექსპერტიზის ბიურომ დაასკვნა, რომ ბადრი გულის დაავადებით გარდაიცვალა, მაგრამ ამ ვერსიის არ მჯერა, მით უმეტეს, მის გარდაცვალებამდე, ორთვენახევარი ლონდონში ვიყავი და თბილისში ტრაგედიამდე ათი დღით ადრე წამოვედი. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი შვილი სიკვდილის წინა დღეებში იმდენად კარგად გამოიყურებოდა, 16 წლის ბიჭს ჰგავდა. როგორც დედა, გეუბნებით, შინაგანად ვგრძნობ, ჩემი შვილი ვიღაცამ მოწამლა.

— ვისზე გაქვთ ეჭვი. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მას ბერეზოვსკი ემუქრებოდა მოკვლით. ისიც საინტერესოა, საქმის გამოძიებას რატომ არ ითხოვთ?

— ეჭვი ბევრზე მაქვს, მაგრამ ხმამაღლა ვერ ვიტყვი! ვიღაცას დავაბრალო და სიმართლე არ აღმოჩნდეს, ცოდვას ვერ დავიდებ.

ჩემთვის ვიცი, რომ ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა. ბადრის გარდაცვალების შემდეგ, საქმის გამოძიება არ მოგვითხოვია... ამის დროც მოვა. ჯერჯერობით, ველოდები, ვინმე გამოვა და რამეს იტყვის ისეთს, რომ ჩემი ეჭვები დამტკიცდეს. ღმერთმა ქნას, ჯერ ზურაბ ჟვანიას საქმე გამოიძიონ. ეს ადამიანი სიკვდილის ღირსი არ იყო... ვნახოთ, გამოძიება რა შედეგით დასრულდება და ალბათ, ამის შემდეგ ვიღაცას ჩვენც შევაწუხებთ.

რაც შეეხება ხმებს, თითქოს ბერეზოვსკიმ მოკლა ბადრი, ვერ დავიჯერებ. ბადრის და ბორიას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, კარგი მეგობრებიც იყვნენ.

— ადასტურებთ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, ბადრი პატარკაციშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის უთანხმოება იყო?

— როგორ გეკადრებათ, აბსურდია. ეს ინფორმაცია რომ რეალური იყოს, აუცილებლად მეცოდინებოდა. ხალხს ჭორაობა უყვარს... ვიცი, მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონდათ, მაგრამ თუ სადმე შეხვდებოდნენ, ერთმანეთს თბილად მოიკითხავდნენ. ბიძინა ძალიან კარგი ადამიანია და უფალს ვთხოვ, მისცეს მას ძალა, ქვეყანა განვითარების გზაზე დააყენოს. ეს პროცესი ბადრიმ დაიწყო და ბიძინამ გააგრძელა.

— ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, თქვენ ოჯახზე ზეწოლა დიდხანს გრძელდებოდა. ქონება დაგიყადაღეს, დავა დაიწყო თქვენი შვილის ბიზნესწილებზეც, თუმცა მათი უმრავლესობა უკვე დაგიბრუნდათ, მათ შორის ტელეკომპანია „იმედი“...

— მართალია, ჩვენი ოჯახის წინაშე ბევრი არასწორად მოიქცა, მაგრამ რაც ჯოზეფ ქეიმ გაგვიკეთა, უპატიებელი იყო. შინაური თუ ასე მოგვექცა, უცხოს, რომელმაც მას მიბაძა, რა მოვთხოვო?! რაც შეეხება ტელეკომპანიას, ბადრი ყოველთვის ამბობდა, „იმედი“ საკუთარი შვილივით მიყვარს, ამიტომ არასოდეს დავთმობო. ვიცი, ტელეკომპანიის სანაცვლოდ, რკინიგზასაც სთავაზობდნენ, მაგრამ მაინც ვერ დაითანხმეს.

— ვინ ითხოვდა მისგან „იმედის“ დათმობას და რატომ?

— ვერ დავაკონკრეტებ. რაც შეეხება „იმედის“ დაბრუნების საკითხს, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, საინფორმაციო გამოშვებიდან შევიტყვეთ, „იმედი“ პატარკაციშვილის ოჯახს უბრუნდებაო. ბიძინასთვის ამ საკითხზე არაფერი შეგვითავაზებია. ეს მისი ინიციატივით მოხდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. კარგი იქნება, თუ ამ ადამიანს ცოტა დროს მისცემენ, რადგან ქვეყანა ერთ დღეში არ შენდება. 80 წლის ქალი ვარ, ბევრი მინახავს... დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი არ ტყუის და ქვეყნის უკეთეს მომავალზე რეალურად ფიქრობს.

ვერსიანიუსი

ნიკა სანოძე დავით საგანელიძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს

„ქართული ოცნების“ ხონის ორგანიზაციის ყოფილი წევრის ნიკა სანოძის განცხადებით, დავით საგანელიძის „დამსახურებით“, ხონსა და ბევრ რაიონში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შორის განხეთქილება მოხდა, ასევე საგანელიძემ ცილი დასწამა, თითქოს „ნაცმოძრაობის“ მიერ იყო „ჩანერგილი“ „ქართულ ოცნებაში“. სანოძის თქმით, პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს მიმართა, რათა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც გამოიძიებს დავით საგანელიძის საქმიანობას, იგი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს და პარტიიდან, ყველას დაუკითხავად, წევრებს რიცხავს.

„ინტერპრესნიუსი“

„ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი უნდა დაიკითხონ“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გოგლა ჟვანიას განცხადებით, ექსპრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შს და იუსტიციის ყოფილი მინისტრები ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი უნდა დაიკითხონ.

ჟვანიას თქმით, 8 წლის განმავლობაში, ეს საქმე გაყინულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ დღეს, ვითარება შეიცვალა და პროკურატურა აქტიურად მუშაობს.

„არის ახალი დეტალები და უახლოეს თვეებში გამოძიება დასრულდება. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 8 წელი გავიდა და მე ვთქვი, რომ ეს იქნება ბოლო წლისთავი, როცა საქმე გამოძიებული არ არის. ჩვენი ოჯახის პოზიცია არაერთხელ დავაფიქსირეთ, რომ ეს იყო განზრახ მკვლელობა, მაგრამ ამას სჭირდება არგუმენტები და ყველაფერს გამოძიება დაადგენს“, — განაცხადა ჟვანიამ.

„პირველი“

ერუსუდან შელია
პოლიტიკა

პოლიტპატიმრები დეპუტატებს სთხოვენ, პარლამენტში სააკაშვილი არ შეუშვან!

რა 9-პუნქტიანი მიმართვა გაუგზავნეს პარლამენტს, სად იგეგმება „წამების მუზეუმის“ გახსნა და იღებს თუ არა პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭებაში ფუღს ნანა კაკაბაძე

პოლიტპატიმრები 4 თებერვალს კინოს სახლში შეიკრიბნენ, საინიციატივო ჯგუფი შექმნეს და პარლამენტს ცხრაპუნქტიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებით მიმართეს. ამნისტიით გათავისუფლებული პირების ძირითადი მოთხოვნა, მათ საქმეებზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნაა, რომელსაც სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც“ უერთდება. პოლიტპატიმართა თემებზე მომუშავე კომისიის ერთ-ერთი წევრი ნანა კაკაბაძე „ვერსიასთან“ საუბრისას განმარტავს, რომ აღნიშნული საქმეები მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პიარისთვის დაგეგმილი სიცრუე იყო, რადგან მასში დანაშაულთან მიახლოებული მტკიცებულებები არ არსებობს.

საქმეების გასაჯაროებასთან ერთად, პოლიტპატიმრების მიმართვაში ნათქვამია: **„საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიენიჭოს იმ პირებს, რომლებიც ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ცნობილები იყვნენ ამ სტატუსის მატარებლად, მაგრამ 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ“ კანონის მიღებამდე გათავისუფლდნენ პატიმრობიდან სხვადასხვა ფორმით, სასჯელის ვადის ამოწურვით, პირობით-ვადამდე გათავისუფლებით, შეწყალებით...“** აღნიშნულ მოთხოვნას ნანა კაკაბაძე სამართლიანად მიიჩნევს, რადგან 2013 წლის 13 იანვრამდე გათავისუფლებული პოლიტპატიმრები, როგორც მორალურ, ასევე მატერიალურ კომპენსაციას იმსახურებენ: **„არასამთავრობო ორგანიზაციები არ ველოდით, რომ ხელისუფლება შეიცვლებოდა, ამიტომ ჩვენ მიერ პოლიტპატიმრებად გამოცხადებული ადამიანები, საპატიმროებს სტატუსის გარეშე ტოვებდნენ. არადა, მათ სასჯელი პოლიტიკური ნიშნით მოიხადეს. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მხოლოდ იმ პირების სია გადავეცით, რომლებშიც ციხეში იმყოფებოდნენ. შესაბამისად, გამოვიდა, რომ 2013 წლის 13 იანვრამდე გათავისუფლებული პოლიტპატიმრები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, დღევანდელი ხელისუფლებისთვის კომპენსაციის საკითხი არანაკლებ მტკივნეულია, ეს არც ერთ მთავრობას არ აწყობს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ამ ადამიანებმა პოლიტპატიმრის შესაბამისი კომპენსაცია მიიღონ“.** მისი განცხადებით, სტატუსის აღდგენას 70-75 ადამიანი ითხოვს.

მიმართვის მესამე პუნქტში საკანონმდებლო აქტის შემუშავების მოთხოვნაა, რომელიც პოლიტპატიმრების სრულ რეაბილიტაციასა და მათი ღირსების აღდგენას შეუწყობს ხელს. მას მოსდევს მოთხოვნა: **„თბილისის №1 საპყრობილეს შენობა, რომლის ლიკვიდაციისა და დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია წინა ხელისუფლების მიერ, შენარჩუნებულ იქნეს არსებული სახით და მასში წამების მუზეუმი განთავსდეს, სადაც აღბეჭდილი იქნება ანტიდემოკრატიული რეჟიმის მიერ პენიტენციურ სისტემაში დანერგილი ფორმებისა და მეთოდების ამსახველი ფოტოები, ვიდეო და სხვა სახის მასალები“.** რა გავლენას მოახდენს მსგავსი მუზეუმი სასჯელაღსრულების სისტემაზე და არის თუ არა ეს პრევენციის ეფექტური ფორმა? ნანა კაკაბაძე ფიქრობს, რომ სირცხვილის ჩამორეცხვას ქვეყანა მხოლოდ პატიმრების წამების ამსახველი ვიზუალური დოკუმენტაციის გამოაშკარავებით შეძლებს. **„ნაციონალური მოძრაობა ხშირად ადარებდა ქართულ საპატიმროებს გუანტანამოსა და კონცლაგერს. მართლაც, ასე იყო, მაგრამ სანამ საზოგადოებამ ვიზუალურად არ დაინახა, რა ხდებოდა რეალურად საპატიმროებში, დარღვევის ფაქტებზე რეაქცია არ ჰქონდა. აღნიშნული მუზეუმით გვსურს, ყველას დავანახოთ, რა იარაღებით აწამებდა პატიმრებს წინა ხელისუფლება. ვინ იყვნენ დამკვეთები და შემსრულებლები და ა.შ. მუზეუმში წამების მსხვერპლთა მოგონებებიც განთავსდება. აუცილებელია ამ საზარელი ფაქტის მუდმივი შეხსენება, რათა მისი ავტორები გასამართლდნენ“.** „ვერსიის“ კითხვაზე, როგორ იმოქმედებს მსგავსი მუზეუმი ქვეყნის იმიჯზე, ამასთან, რას ნიშნავს ქვეყნისთვის ორასი პოლიტპატიმარი, რომელსაც ახალი სია დაემატება, ნანა კაკაბაძეს მაგალითად გერმანული ფაშიზმი და ნიურნბერგის სასამართლო მოჰყავს. მისი მტკიცებით, ქვეყნის იმიჯის აღდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საზოგადოება უსამართლო ქმედებებს აღიარებს და ავტორებს გაასამართლებს.

რაც შეეხება პოლიტპატიმართა რაოდენობას, უფლებადამცველი ზუსტ ციფრს ვერ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ახალ სიაში, დაახლოებით, 150-მდე პოლიტპატიმრის სტატუსის მაძიებელი შევა: **„პოლიტპატიმართა სია, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ, ნაციონალური მოძრაობის იმიჯისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა, ამიტომ როცა ვამბობთ, პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანები, რომლებიც ასობით არიან, ქვეყნის იმიჯზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, არასწორია. ჩვენ სწორედ ახლა ვახდენთ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს რეაბილიტაციას. თუ ასე არ მოვიქცევით, მომავალი ხელისუფლება იგივე გზას გაიმეორებს“.**

ნანა კაკაბაძე მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებსაც პასუხობს. ითქვა, რომ უფლებადამცველი პოლიტიკური სტატუსის მინიჭებისთვის გარკვეულ თანხას ითხოვს, ამიტომ პოლიტპატიმრებად გამოცხადდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებსაც პოლიტიკაზე სიტყვაც არ უთქვამთ. მისი განცხადებით, მსგავს ინფორმაციებს ნაციონალური მოძრაობის წევრები ავრცელებენ, რადგან მთავარ მტრად ნანა კაკაბაძეს მიიჩნევენ. უფლებადამცველი მსგავსი ინფორმაციების მოსმენისთვის მზადყოფნასაც გამოთქვამს.

საქმეების გასაჯაროებასა და ორიგინალური მუზეუმის შექმნასთან ერთად, პოლიტპატიმრებს კიდევ რამდენიმე მოთხოვნა აქვთ, მათ შორის პოლიტპატიმართა საქმეებში მონაწილე პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების შეჩერება. ამასთან, პოლიტპატიმართა საინიციატივო ჯგუფი პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას ეხმიანება და პარლამენტს მოუწოდებს, მიხეილ სააკაშვილი სხდომაზე არ დაუშვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პიკეტირებით იმუქრებიან: **„პოლიტპატიმრები ფიქრობენ, რომ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი მიხეილ სააკაშვილის მსგავს პრეზიდენტს არ უნდა უსმენდეს. აღნიშნულ მოწოდებაში მათ ბოლომდე ვუჭერ მხარს, რადგან სააკაშვილის პოლიტიკამ ათასობით ადამიანი აწამა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მართალია, არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა. სწორედ საზოგადოებამ მოახდინა აჯანყება საარჩევნო ყუთებთან, ამიტომ მოსახლეობის აზრი დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია“.** „ვერსიის“ კითხვაზე, პოლიტპატიმართა მოთხოვნა დესტაბილიზაციის ნიშნებს შეიცავს თუ არა, ნანა კაკაბაძე პასუხობს, რომ **„მიხეილ სააკაშვილის მსგავსი უღირსი ადამიანი სწორედ მსგავს მოპყრობას იმსახურებს“.**

ლალი მოროშკინა ციხეში დანით დაჭრას გადაურჩა

როგორ აღმოაჩნდა სამუდამო პატიმრობაში მყოფ გიორგი კიკნაძეს ბასრი იარაღი და რაში ადანაშაულებს სასამართლოს სასჯელაღსრულების თანამშრომელი

ნელი თორდია

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ლალი მოროშკინა პატიმრის დანით დაჭრას სასწაულებრივად გადაურჩა. 31 იანვარს მას და №1 საპყრობილეს დირექტორის მოადგილეს, ციხის დირექტორების „ყურების მოჭმისკენ მიდრეკილი“ პატიმარი თავს დაესხა. ინციდენტი ციხის სამედიცინო ნაწილში მყოფი სამუდამო პატიმრობამისჯილი გიორგი კიკნაძის დედასთან პაემნის დროს მოხდა. დედა-შვილის გარდა, ოთახში მოროშკინა და საპატიმროს დირექტორის მოადგილე ივანე ლეჟავა იმყოფებოდნენ. პატიმარმა მოულოდნელად, თვითნაკეთი დანა ამოიღო და დედისკენ გაიწია. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა და ციხის დირექტორის მოადგილემ სიტუაციის განმუხტვა და აგრესიული პატიმრის შეჩერება სცადეს, რა დროსაც, მოროშკინას დანა მილიმეტრებში ასცდა, ხოლო ლეჟავა სხეულის დაზიანებას სქელმა ქურთუკმა გადაარჩინა.

გოდერძი კიკნაძეს სამუდამო პატიმრობა მკვლელობისთვის აქვს მისჯილი. აგრესიულობასთან ერთად, პატიმარი შიდსითაა დაავადებული და გარშემომყოფებს ინფიცირებით ემუქრება. ერთ-ერთი ვერსიით, თვითნაკეთ დანაზე, რომლითაც კიკნაძე ჯერ დედას და შემდეგ, გამშველებლებს თავს დაესხა, შიდსით ინფიცირებული სისხლი იყო. სამუდამო პატიმრობამისჯილის, გოდერძი კიკნაძის შესახებ საზოგადოებისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მან მე-6 საპყრობილეში ყოფნის დროს, ციხის დირექტორის, გოჩა გიგანის ყურის მოჭმის სურვილი გამოთქვა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, კიკნაძე მეექვსედან პირველ საპყრობილეში გადმოიყვანეს, თუმცა ამჯერად, მისი აგრესიის მსხვერპლი საკუთარი დედა და სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები გახდნენ.

ლალი მოროშკინა მიიჩნევს, რომ 31 იანვარს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რადგან საპატიმროში მუშაობას ანალოგიური რისკ-ფაქტორები ყოველთვის ახლავს. ქალბატონი ლალის განმარტებით, მის სამსახურეობრივ მოვალეობებში გოდერძი კიკნაძის მსგავს პრობლემურ პატიმრებთან ურთიერთობაც შედის, ამიტომ 31 იანვრის პაემანზე კიკნაძის თხოვნით მოვიდა. **„ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. როცა გოდერძის პრობლემა ჰქონდა, ყოველთვის ვუგვარებდი, რისი გაკეთებაც სამართლებრივ ჩარჩოებში იყო შესაძლებელი. როცა მომხდარ ინციდენტზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პატიმრებმა გაიარეს მკაცრი რეჟიმის პირობები და მათი ფსიქიკა შერყეულია. ამასთან, ბევრი მათგანი გადის ინტერფერონის კურსს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული აღგზნებადობით და ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნამდვილად არ მინდა, პატიმრების მიმართ აგრესია წამოვიდეს. კონკრეტულად, კიკნაძის შემთხვევაში პრობლემა ისიცაა, რომ პატიმარი დაავადებულია შიდსით და ამით ადამიანებს აშინებს. ზოგს ყურის მოჭმით, ზოგს დანის შერჭობით... მედპერსონალმა პროტესტიც კი გამოთქვა, რომ მასთან აღარ შევლენ“.**

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ პირველ საპყრობილეში მომხდარი ინციდენტი სუბარის უწყების სერიოზული ხარვეზია და უსაფრთხოების სამსახურის სისუსტეზე მეტყველებს. **„არანაირი ხარვეზი არ გაპარულა და არაფერი მომხდარა ისეთი, რაც ჩვენი სისტემისთვის უცხოა. უბრალოდ, პატიმარს აღმოაჩნდა ხელში დანისმაგვარი საგანი, უფრო სწორად, ალესილი კოვზის ფრაგმენტი. იქიდან გამომდინარე, რომ შეხვედრა მოხდა ე.წ. ბალნიჩკაში, ანუ საავადმყოფო ნაწილში, პაემანი შუშებისმიღმა არ ყოფილა. მე წინააღმდეგი ვარ, რომ ფსიქიკურად დამძიმებულ ავადმყოფს ბორკილები დაადო და კიდევ უფრო აწვალო. დარწმუნებული ვარ, გოდერძიცა და დედამისიც ამ ფაქტს ძალიან განიცდიან, რადგან ინციდენტი აფექტის მდგომარეობით იყო გამოწვეული. ეს იყო ნერვულ ფონზე მიმდინარე აშლილობა, იქიდან გამომდინარე, რაც პატიმრებმა გადაიტანეს წლების განმავლობაში“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბარში ლალი მოროშკინა და მიიჩნევს, რომ სასამართლოებმა უნდა დააჩქარონ მძიმე კატეგორიის პატიმრების საქმეების განხილვა. ქალბატონი ლალი დარწმუნებულია, რომ ბევრი მოსამართლე განგებ აჭიანურებს მძიმე ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში მყოფი პატიმრების საქმეების განხილვას, რომლებიც ამნისტიას ელოდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის, შესაძლოა, საზოგადოებისთვის საშიში პირებიც იყვნენ, საბჭომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე უნდა იმსჯელოს.

„სასამართლოები კრიჭაში გვიდგანან და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანების საქმეების განხილვას ხელოვნურად აჭიანურებენ. ქალბატონმა თეა წულუკიანმა აბსოლუტურად სწორად თქვა, რომ სასამართლოები ოპოზიციაში გვიდგანან და ამის მაგალითი იყო ჩემი დაჯარიმება. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია კონკრეტულად ჩემ მიმართ იმიტომ, რომ მე ვაგრძელებ იმ სისტემურ გადმონაშთებთან ბრძოლას, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა საქართველოს“.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკურად დაავადებული პატიმრის დანას სასწაულით გადაურჩა, მოროშკინა შეშინებული არაა და მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს. სუბარის უწყებაში კი აცხადებენ, რომ სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მომხდარი ინციდენტის გამოძიებას აწარმოებს და დეტალების შესახებ საზოგადოებისთვის მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სკანდალური დოკუმენტები „სითი პარკის“ საქმიანობის შესახებ

„კომპანია ყაჩაღური გზით აკეთებს ფულს და კვაღს მერიამდე მივყავართ“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

სამართალდამცავი ორგანოები მალე კომპანია „სითი პარკის“ საქმიანობას გამოიძიებენ. ოთხშაბათს, 6 თებერვალს, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში, ვაჟა ოთარაშვილი საზოგადოებას იმ დოკუმენტურ მასალებს წარუდგენს, რომლებიც სერიოზულ კითხვებს ბადებს. საინტერესოა, რა ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე გაიზარდა „სითი პარკის“ მომსახურების წლიური გადასახადი მძღოლებისა და ავტომობილების მფლობელებისთვის 25-დან 50 ლარამდე? რატომაა დედაქალაქში მხოლოდ ერთი კერძო კომპანია პასუხისმგებელი „პარკინგის“ სისტემაზე, რის გამოც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ირღვევა?

ვაჟა ოთარაშვილმა **სკანდალური დოკუმენტები „ვერსიას“ ექსკლუზიურად გადასცა.**

დოკუმენტებით ირკვევა, რომ კომპანია, რომლის წლიური მოგება, მინიმუმ, 32 000 000 ლარია, მხოლოდ 200-ლარიანი საწესდებო კაპიტალის საფუძველზე შეიქმნა. რაც მთავარია, კომპანიის დამფუძნებლები ისრაელის მოქალაქეები არიან, რომლებსაც საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობა აქვთ. ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ სერიოზულ ეჭვს ბადებს ფაქტი, რომლის საფუძველზეც, „სითი პარკის“ დამფუძნებლებში ფიგურირებს შპს „შოჰარ პარკინგ სერვისი“ (50%) და შპს „ამაგონი“ (50%). ამის შემდეგ, სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერში ჩნდება შპს „პარკინგ ინთერნეიშენალი“, რომელიც კომპანიის 100%-იან წილს ფლობს და აფუძნებს „სითი პარკს“. კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები არიან ისრაელის მოქალაქეები ნათან შორერი და პილა დავიდი, რომლებიც კომპანიის დირექტორებად არიან რეგისტრირებულები, მაგრამ აქაც ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ „სითი პარკის“ საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელები პერიოდულად იცვლებიან. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ისრაელის მოქალაქეებს, საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელობაზე მინდობილობა აქვთ გაცემული, რაც გასაკვირი არ არის. ეჭვს მხოლოდ ის ბადებს, რომ საკმაოდ მომგებიანი და სერიოზული კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარ წილს კი არ ყიდის, სხვა პირებს მფლობელობაში გადასცემს:

„კომპანია „სითი პარკის“ საქმიანობით იმიტომ დავინტერესდი, რომ არაბების ბატონობის შემდეგ, თბილისის მოსახლეობა ისე არავის



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 59262
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10051107
ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/04/2010 17:58:59

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
51-179969-4, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შოჰარ პარკინგ სერვისიზ, , ქ. N1,	50.0000%	204543770-SH-00002
51-161593-2, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ამაგონ, , თელავივი, ჰაბარზ ელის ქ. №34,	50.0000%	204543770-SH-00003

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. http://public.reestri.gov.ge გვერდი: 1(2)

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 259710
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11033862
ამონაწერის მომზადების თარიღი: 04/03/2011 16:49:24

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
514051283, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პარკ-კინგ ინთერნეიშენალი, ისრაელი, , , ,	100.00000000%	204543770-SH-00004

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. http://public.reestri.gov.ge გვერდი: 1(2)

გაუძარცვავს და დაუყაჩაღებია, როგორც ამ კომპანიას. არ მეგულება ისეთი თბილისელი, რომელიც „სითი პარკისგან“ არ „დასაჩუქრებულა“, ვგულისხმობ საკმაოდ სოლიდურ ჯარიმებს. საინტერესოა, ვიდრე დედაქალაქში „სითი პარკი“ გამოჩნდებოდა, სპეციალური განცხადება თბილისის მერმა გიგი უგულავამ გააკეთა. არადა, რა შუაშია თბილისის მერია, როდესაც ქალაქში მანქანების ავტოსადგომების, იგივე პარკინგის მოწყობით, ან თუნდაც ტრანსპორტის მოძრაობის წესების დაწესებით შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს დაკავებული. თუკი საჯარო რეესტრის ამონაწერს ყურადღებით გაეცნობით, აუცილებლად ნახავთ პარტნიორის წილზე გირავნობის უფლებას, სადაც წერია, რომ კრედიტორია „რესპუბლიკა ბანკი“, მესაკუთრე — შპს „სითი პარკი“, გირავნობის საგანია არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი, კერძოდ, საღებავის

ვეკითხები „სითი პარკს“, თბილისის მერიის გადაწყვეტილების გამო, რატომ გაიზარდა მომსახურების წლიური გადასახადი? რა შუაშია აქ თბილისის მერია და საერთოდ, სად მიდის ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადები?

გამომფრქვეველი — 6 ცალი, საბურღი ხელსაწყო — 2 ცალი, ავტოსადგომის შლაგბაუმი — 1 ცალი, ავტოსადგომის შლაგბაუმის ნაწილები — 2 ცალი, გენერატორი — 1 ცალი, ცისტერნა — 1 ცალი და პროჟექტორი — 1 ცალი. არადა,

დედაქალაქში 650 000 მანქანაა და თითოეულის მფლობელის წლიური გადასახადი 50 ლარია. ეს იმას ნიშნავს, რომ „სითი პარკის“ წლიური შემოსავალი 32 500 000 ლარი გახლავთ. როდესაც „სითი პარკს“ ავტომობილი საჯარიმო სადგომზე გადაჰყავს, მის მფლობელს 60 ლარს ახდევინებს და ადმინისტრაციული ჯარიმის სახით, დამატებით 10 ლარის გადახდაც აუცილებელია. სოლიდური ჯარიმების მიუხედავად, ეს კომპანია ჩვენ, ავტომობილის მომხმარებლებს, სანაცვლოდ არაფერს გვთავაზობს, რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებით სამართალს არღვევს“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას ვაჟა ოთარაშვილი.

მისი თქმით, ვალდებულებითი სამართალი იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ვალდებულება ერთმანეთის მიმართ, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს. თუკი რიგითი თბილისელი კომპანიას გარკვეულ თანხას საკუთარი ავტომობილის უსაფრთხოების მიზნით უხდის, მაშინ მისი მანქანა აუცილებლად დაცული უნდა იყოს:

„სამწუხაროდ, „სითი პარკის“ ფუნქცია მხოლოდ ისაა, თბილისში, სპეციალური თეთრი საღებავით შემოსაზღვროს ტერიტორია, სადაც მანქანის გაჩერებაა შესაძლებელი, თუმცა თუ ვინმემ თქვენი მანქანა გაკაწრა, სარკე მოგლიჯა, შუშა ჩაამსხვრია ან მაგნიტოფონი მოიპარა, „სითი პარკი“ ამაზე პასუხისმგებელი არ არის. იმის გამო, რომ წელიწადში 50 ლარს ვიხდი, არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩემი მანქანა სადგომზე დაზიანებული, გაკაწრული, მინებ-ჩამსხვრეული ან სარკემოგლეჯილი ვნახო, რაც არაერთხელ მინახავს. გარდა ამისა,

დასასრული მე-10 გვერდზე

„შეიცვალა ტონი, რომლითაც თბილისში საუბრობდნენ რუსეთზე და რუსეთში — საქართველოზე“

ამ განცხადებას, რუსი პოლიტოლოგი ნიკოლაი სილაევი აკეთებს.

თბილისში რუსი პოლიტოლოგები იმყოფებიან, რომლებიც საქართველოში რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩებიან და კოლეგებს შეხვდებიან.

„ჩვენ შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა, რა შეიცვალა საქართველოში 2012 წლის ოქტომბრის მერე და რა შესაძლებლობებია დღეისთვის ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგებისთვის. კარგად გვესმის, რა უთანხმოებებია მოსკოვსა და თბილისს შორის, მაგრამ ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, არსებობს გარკვეული შესაძლებლობები ტონის შეცვლის, არაპოლიტიკური და ჰუმანური ურთიერთობების, ექსპერტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა. ვფიქრობ, დღეისთვის, შესაძლებელია, უარყოფითი ფონის შეცვლა, ამისთვის კი საჭიროა, სურვილი და ნება, რაც მოსკოვსა და თბილისში არსებობს, რადგან უკვე ბევრი რამ შეიცვალა. მათ შორის შეიცვალა ტონი, რომლითაც თბილისში საუბრობდნენ რუსეთზე და რუსეთში კი – საქართველოზე“.

ექსპერტი ყურადღებას აპრილში დაგეგმილ შეხვედრაზეც ამახვილებს, როდესაც რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის პირდაპირი აუდიენცია გაიმართება.

იქამდე კი, ქართულ საზოგადოებას მოხსენებას გააცნობენ თემაზე – „საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივები“. მასში ყურადღება გამახვილდება ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და იმაზე, როგორ შეიცვალა ურთიერთობები ხელისუფლებს შორის. კერძოდ, საუბარია, ორმხრივ სურვილზე, რომ რუსეთ-საქართველოს ხელისუფლებებს შორის დაიწყოს მოლაპარაკებები პრობლემატური საკითხების ცივილიზებული გზით მოგვარებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

„ნაციმოძრაობას“ თავის დამკვიდრების შანსი მხოლოდ სააკაშვილისგან გათავისუფლების შემდეგ აქვს“

„კარგი იქნება, თუ სააკაშვილი პარლამენტში გამოსვლისას მხნედ იგრძნობს თავს და თავიდან ბოლომდე დარჩება სხდომაზე. არ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება კომფორტული მისთვის, რაც უნდა თქვას სააკაშვილმა, ქართველი ხალხი მას ნეგატიური დამოკიდებულებით პასუხობს. ჩემი ღრმა რწმენით, მიხეილ სააკაშვილი არის წარსულის პოლიტიკოსი და მისგან გათავისუფლებულ ნაციონალურ მოძრაობას აქვს შანსი, იპოვოს ადგილი ოპოზიციურ სპექტრში, თავიდან ის იქნება ბურჯანაძის, კუკავას კონკურენტი, მაგრამ ესეც არის შანსი და არა გარანტია“, — განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ, დავით ბერძენიშვილმა.

მისივე თქმით, **„ვინც გადაწყვეტს, მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ მოუსავლეთში გაჰყვეს, გაიზიარებს იმ ხვედრს, რაც ასლან აბაშიძის „აღორძინებისა“ და „მოქკავშირის“ წევრებს ერგოთ“.**

„ინტერპრესნიუსი“

ანი მიროტაძე: „ბიძინა ივანიშვილი სხვების მოსაზრებას ისმენს, მაგრამ აანალიზებს და თავად იღებს გადაწყვეტილებას!“

ეკა სეხნიაშვილი

„ეროვნული ფორუმი“, როგორც ყოველთვის, ქართულ პოლიტიკურ წრეებში მძიმე არტილერიად აღიქმებოდა და მხოლოდ გუბაზ სანიკიძის ფაქტორის გამო არა. პარტიის თავმჯდომარე კახა შარტავა ბიძინა ივანიშვილის აუღებელ „ციხე-სიმაგრედ“ იქცა — პრემიერ-მინისტრმა აღიარა კიდეც, კახა აქტიურ პოლიტიკაში ვერ შემოვიტყუეო. კოალიციაში შექმნილი პრობლემების პარალელურად „ეროვნული ფორუმის“ თემაც გააქტიურდა — „ვერსიამ“ 2012 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა ექსკლუზიური ინფორმაცია, „ფორუმისა“ და „ოცნების“ შერწყმის შესახებ, რომელიც ბიძინა ივანიშვილმაც დაადასტურა, თუმცა „ქართული ოცნების“ პარტიული რეორგანიზაციის პროცესში სამომავლო გეგმები შეიცვალა და „ფორუმის“ ცალკე პოლიტიკურ სუბიექტად დარჩენა გადაწყდა. „ვერსია“ „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთ ლიდერს, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრს ანი მიროტაძეს ესაუბრა.

ვინ ჩაშალა „ოცნებისა“ და „ფორუმის“ გაერთიანება და იქნება თუ არა კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი კახა შარტავა

— ანი, რა ხდება „ეროვნულ ფორუმში“, დაიშალა პარტია? ასეთი შეგრძნებები გაჩნდა...

— დაშლა გამორიცხულია, უბრალოდ, ნაკლებაქტიური პერიოდი გვქონდა. შესაძლოა, ვინმეს გაუჩნდა ეს შეგრძნება, რადგან ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას „ქართულ ოცნებასთან“, ბიძინა ივანიშვილთან ამ ორი პარტიის შესაძლო გაერთიანებასთან დაკავშირებით. პროცესი გრძელდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში, თუმცა მხარეებმა მაინც მიიღეს გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე, დავრჩენილიყავით დამოუკიდებელ სუბიექტებად. თუ ვინმემ ჩათვალა, რომ იშლება ფორუმი, ასე ნამდვილად არაა. არის ასევე ჭორები, თითქოს „ფორუმიდან“ წევრების გადინებაა. ესეც არაა მართალი.

— ეს რეზო შავიშვილსა და კიდევ რამდენიმე წევრზე ითქვა...

— ვერ დაგიდასტურებთ, ბატონი რეზო ჩვენთანაა და აქტიურად მუშაობს, ისევე როგორც აქ არის და არსად წასულა ბატონი კახა შარტავა. კახა აქტიურ პოლიტიკაშია და ამ ოფისიდანაც შეიძლება ბევრი რამის კეთება. მინდა, დავამშვიდო ყველა ადამიანი, ვინც თანაუგრძნობს ან აღელდა ამის გამო: ამ ეტაპზე, „ფორუმის“ ერთიანობას ნამდვილად არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

— თითქმის გადაწყვეტილი იყო, „ფორუმი“ „ქართულ ოცნებას“ უნდა შერწყმოდა პარტიულად. ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეს კახა შარტავას იდეა იყო. რატომ ჩაიშალა თქვენი გაერთიანება?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ კახა შარტავას იდეა იყო, პოლიტიკაში ასე, ცალმხრივად არ ხდება. კონსულტაციების დროს, გაჩნდა აზრი, ხომ არ შეუშლიდა ეს გაერთიანება ხელს სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს, არათუ მხოლოდ კოალიციაში შემავალთ. „ეროვნული ფორუმი“, მეტ-ნაკლებად, თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე ორგანიზაციაა, მიმაჩნია, რომ გამორჩეულია თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიით. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, როგორც მოგეხსენებათ, ის არის გამარჯვებული ბრენდი და მასზე მოთხოვნა მაღალია, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი უნდა გამხდარიყო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ჩვენი შერწყმით, ვიღებდით დიდ პოლიტიკურ მონსტრს, რომელიც არათანაბარ ვითარებაში ჩააყენებდა სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს. მხოლოდ ეს გახდა ამ ეტაპზე არშერწყმის მიზეზი. დამატებით სახელდება სხვადასხვა მიზეზები, ტექნიკური დეტალები, რაც გამორიცხულია.

— ასევე დასახელდა გუბაზ სანიკიძის გახმაურებული შეხვედრაც საფიჩხიაზე. ამის თაობაზე „ვერსიას“ მოაწოდეს ინფორმაცია. სანიკიძე „ნაციონალებთან“ ფარულ შეხვედრას აწარმოებდა. ამას დაემატა დავით საგანელიძის განცხადებაც, რომ „ნაციონალების“ ჩანერგილი აგენტები „ფორუმშიც“ იყვნენ.

— ჩვენ ვერანაირი აგენტები „ფორუმში“ ვერ აღმოვაჩინეთ, თუ ვინმემ აღმოაჩინა, იქნებ გვითხრას და აუცილებლად გადავამოწმებთ ინფორმაციას.

— ასპინძაში დასახელდა ჩანერგილად თქვენი წარმომადგენელი.

— ასპინძაში გვყავდა ჩვენი მაჟორიტარი კანდიდატი, იქ პარტიული წარმომადგენლობა და ორგანიზაციაც კი არ გვქონია, ასე რომ, ეს სიმართლეს არ შეესაბამება და, შესაბამისად, ვინმესგან ჩანერგილი აგენტები იქ ვერანაირად ვერ გვეყოლებოდა. მუდმივად ვამოწმებთ ასეთი ტიპის ინფორმაციებს, ერთ-ერთი ყველაზე დისციპლინირებული პოლიტიკური ორგანიზაცია ვართ, განსაკუთრებულ კონტროლს ვუწევთ ამ საკითხს, ამიტომ ამ მხრივ, მივიღებთ მხოლოდ დასაბუთებულ საყვედურს. რაც შეეხება გუბაზ სანიკიძეს, ამ ადამიანმა მოხსნა ყველა რეკორდი მასზე გავრცელებული ხმების რაოდენობის თვალსაზრისით. რა ლეგენდებს აღარ თხზავენ ბატონი გუბაზის გარშემო, დაწყებული პრეზიდენტიდან უბრალო მოქალაქით დამთავრებული. ზოგი მის სურათს აფრიალებს და ზოგს რა მოსდის თავში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გუბაზის შეხვედრა „ნაციონალებთან“ არ მომხდარა. გუბაზ სანიკიძე არ გახლავთ ისეთი გამოუცდელი პოლიტიკური პერსონა, მსგავსი რაღაცები გააკეთოს, იმხელა პოლიტიკური გამოცდილება აქვს, ასეთი კონსპირაციული შეხვედრები ქუთაისში და თანაც, ისეთ ადგილებში, რომელიც მერე გახდება სალაპარაკო, წარმოუდგენელი და გამორიცხულია. სულ ვეუბნები გუბაზსაც, როდესაც მის მიმართ არის ასეთი გაცხოველებული ინტერესი, თვით გაგიჟებული მიხეილ სააკაშვილიც კი არ შეიძლება არ შეეხოს თვეში ერთხელ მაინც, ეს ნიშნავს იმას, რომ „ფორუმს“, გუბაზ სანიკიძის სახით, ჰყავს ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა.

— მეორე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაც გყავთ, ოღონდ ბოლო დროს გაუჩინარებული. სადაა კახა შარტავა... იქნება ის თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებზე?

— არ მიყვარს ასეთ თემებზე ნაადრევად საუბარი. ახლა გვაქვს იმდენი საქმე და კოალიციას — იმდენი გეგმა, რომ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

— თუმცა ფაქტია, თუ ცალკე პარტიად დარჩით, თქვენი კანდიდატი გეყოლებათ.

> **— ჩვენ ჯერ არ ვიცით, გვეყოლება თუ არა კანდიდატი და იქნება თუ არა ეს კახა შარტავა. ახლა, ამ მოცემულობაში, ამაზე ლაპარაკი ადრეა. როცა ვანო მერაბიშვილი ამბობს, რომ უნდა დავბრუნდეთ უკან, ამისთვის ჯერ ნაადრევია ზრუნვა. პოლიტიკა არ გახლავთ მხოლოდ მინისტრის პორტფელი ან პარლამენტში რომელიღაც კომიტეტის ხელმძღვანელობა. ჩვენ ბოლომდე გავიმარჯვეთ? მეტი გასამარჯვებელი აღარ გვაქვს?**

— ანუ შემდგომ ეტაპზე უნდა იბრძოლოს კახამ?

— კახა არის და იქნება პოლიტიკაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ პოლიტიკურ რეალობაში, რომელიც დღეს დგას, აქვს პოლიტიკური წონა, არ სურს, ეს წონა წაიღოს სახლში და ბალიშის ქვეშ ამოდოს. ეს ნიშნავს — კახა შარტავა მუშაობს, რომ ამ ქვეყანაში უკეთესი პოლიტიკური სიტუაცია იყოს.

— ივანიშვილს ხვდება?

— ივანიშვილთან ხშირად აქვს შეხვედრები. ის პოლიტსაბჭოს წევრია და პოლიტსაბჭოს სხდომებს აქტიურად ესწრება.

— ამბობთ, რომ არ ერთიანდებით „ოცნებასთან“. არჩევნებამდელ სკანდალურ სატელეფონო საუბრებს გაგახსენებთ. მათ ავთენტურობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ იმ ჩანაწერებიდან ირკვეოდა, რომ არც ირაკლი მელაშვილი ემხრობოდა თქვენი პარტიის „ოცნებასთან“ გაერთიანებას. დღეს ის ბიძინა ივანიშვილის მრჩეველია. ხომ არ მოახდინა მან გავლენა ბიძინა ივანიშვილზე და თქვენი გაერთიანება ჩაშალა?

> **— თქვენ ასე იცნობთ ბიძინა ივანიშვილს, რომ კერძო პირები ასე ახდენენ მასზე გავლენას? მე ასეთ ბიძინა ივანიშვილს არ ვიცნობ და არა მხოლოდ ირაკლი მელაშვილი, მის ირგვლივ მყოფი პოლიტიკური პერსონები ვერანაირი ტიპის ზეგავლენას ვერ ახდენენ მასზე. ივანიშვილი ჭკვიანი ადამიანია, რომელიც, სხვების მოსაზრებას ისმენს, აანალიზებს და გადაწყვეტილებებს თავად იღებს.**

— ამის საწინააღმდეგო კონტრარგუმენტად, მისი თანაკურსელი დარჩიას მონაყოლი გამოდგება. კაცის ერთმა ფრაზამ, ფაქტობრივად, თავდაყირა დააყენა ირაკლი ალასანიას პოლიტიკური სტაბილურობა. თქვენ კი ამბობთ, მასზე გავლენას ვერ ახდენენო.

— ყველა ფრაზა, ადამიანების რჩევა, ვერ მოახდენს გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე. პოლიტიკური ველი სხვანაირი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. ჩვენ არ მოვედით ხელისუფლებაში იმიტომ, რომ აი, მოვედით და ჩავანაცვლოთ „ნაცმოძრაობა“. იმდენად მძიმე მემკვიდრეობა გვაქვს დატოვებული და იმდენად კარგად გვესმის ამის სიმძიმე, კიდევ შეცდომების დასაშვებად არ გვცალია. ვეთანხმები ბატონ ბიძინა ივანიშვილს, როდესაც არ შედის ხოლმე პოლემიკაში „ნაცმოძრაობასთან“, რადგან ეს მოძრაობა წარსულია და წარსულში გაეკიდო ვინმეს, როცა მომავალი გვაქვს ასაწყობი, გაუგებარია.

— „ფორუმმა“ იცოდა, ირაკლი ალასანია რომ საპრეზიდენტო კანდიდატად განიხილავდა თავს?

— ცოტა ხმამაღალი ნათქვამი მგონია, რომ განიხილებოდა ირაკლი ალასანიას საპრეზიდენტო კანდიდატობა. სად განიხილებოდა? თუ ადამიანს ჰქონდა საპრეზიდენტო ამბიცია, ვინმემ აკრძალა? ან პრეზიდენტობის სურვილი რომ ჰქონდეს, აკრძალულია? ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

— იყო თუ არა ირაკლი ალასანიასა და კახა შარტავას შორის ამის თაობაზე შეხვედრა? დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს და ოჯახებით ახლობლობენ წლებია.

— ამის თაობაზე ინფორმაცია არ მაქვს. ასეთი ინფორმაციები ცოტა სასაცილოდაც მეჩვენება. პირველი რიგის ამოცანებია გადასაჭრელი: ამ უმძიმესი სიტუაციიდან როგორ გამოვიდეს ქვეყანა, როგორ ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები... ახლა ისაუბრო საპრეზიდენტო კანდიდატზე, ძალიან ნაადრევია.

— ალასანიამ რომ გაახმაურა?

— ალასანია თავის პოლიტიკურ გუნდში რას ლაპარაკობს, მისი გადასაწყვეტია.

ჩემი აზრით, ჯერჯერობით, ნაადრევია საპრეზიდენტო კანდიდატურებზე საუბარი. ადრეა ლაპარაკი იმაზე, ვინ ეყოლება კოალიციას საპრეზიდენტო კანდიდატად. არა იმიტომ, რომ ვინმე მოგვწონს, ან ვინმეს წინააღმდეგი ვართ, უბრალოდ, ამის დრო ჯერ არ დამდგარა.

— ალასანიას განცხადების შემდეგ, მალევე გაჩნდა ვერსია, რომ „ფორუმი“ და ალასანიას გუნდი ერთიან პოლიტიკურ კონგლომერატს შექმნიდნენ და ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმდებოდნენ.

— მსგავსი რამ ჩემი თანდასწრებით არ განხილულა. ჩვენ მხოლოდ ერთი მოტივით არ გავერთიანებულვართ კოალიციაში, ამიტომაც მიმაჩნია, რომ თუ გამსხვილების მოტივით უარი ვთქვით „ოცნებასთან“ გაერთიანებაზე, მაშინ „თავისუფალ დემოკრატებში“ რატომ უნდა გავერთიანდეთ? ირაკლი არის ჩვენი პარტნიორი. დარწმუნებული ვარ, წინ ბევრი საქმე გველოდება.

მე-9 გვერდიდან

> **საქართველოში საკმაოდ დიდი ავტოპარკია. დავუშვათ, თელავიდან, საგარეჯოდან, ჭიათურიდან, ან ჩხოროწყუდან ჩამოდის მოქალაქე, რომელსაც მეუღლე ან შვილი მოჰყავს რაიმე საქმეზე, სამწუხაროდ, მას უფლება არ აქვს, თბილისის ტერიტორიაზე გააჩეროს მანქანა, თუკი „სითი პარკის“ გადასახადს არ გადაიხდის. ერთი საათის საქმეც რომ ჰქონდეს დედაქალაქში, მაინც ვალდებულია, ერთი კვირის საფასური 4 ლარი გადაიხადოს. „სითი პარკის“ მოღვაწეობის მთავარი მიმართულება თუ მხოლოდ ქუჩების დახაზვაა, განა, რა ჯდება საღებავის 6 მფრქვეველი და ცისტერნა, რომელშიც ეს საღებავი ასხია, რომ ამხელა გადასახადს უწესებენ ქალაქის მოსახლეობას?“**

სკანდალური დოკუმენტები „სითი პარკის“ საქმიანობის შესახებ

ვაჟა ოთარაშვილი „ვერსიას“ უამბობს, რომ „სითი პარკი“ ავტომობილის მფლობელს იმ შემთხვევაშიც აჯარიმებს, როდესაც ეს ავტომანქანა კომპანიის მიერ დახაზულ, სპეციალურ ავტოსადგომზე დგას. სამწუხაროდ, ხშირად, ამ ავტოსადგომებზე ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული არ არის, ასფალტია აყრილი ან პატარა ორმოებია, რის გამოც, მძღოლი იძულებულია, პარკინგის ხაზის ავლით გააჩეროს მანქანა. **ასეთ შემთხვევაში, ავტომობილის მფლობელი აუცილებლად დაჯარიმდება, მაგრამ „სითი პარკი“ არც ავტოსადგომების დაზიანებულ ინფრასტრუქტურაზე აგებს პასუხს:**

„აი, ამის გამო მიჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ეს ქალაქის მერიის მიერ, ხელოვნურად შექმნილი კაბალური პირობებია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიძიონ კომპეტენტურმა ორგანოებმა. მაშინ, როდესაც დედაქალაქში „სითი პარკი“ შემოიყვანეს, ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები განახორციელეს. ვეკითხები „სითი პარკს“, თბილისის მერიის გადაწყვეტილების გამო, რატომ გაიზარდა მომსახურების წლიური გადასახადი? რა შუაშია აქ თბილისის მერია და, საერთოდ, სად მიდის ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადები? თუ ეს თანხები კერძო პირების ჯიბეებში ილექება, რატომ არ შეიძლება, დედაქალაქში, ტრანსპორტის მოძრაობისა და ავტოსადგომების მოწყობის საკითხი სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს? ასეთ შემთხვევაში, ზუსტად გვეცოდინება, ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში შევა და არა კერძო პირების ჯიბეებში, რომლებიც არავინ იცის, ვინ არიან“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ვაჟა ოთარაშვილი იმასაც აცხადებს, რომ „სითი პარკს“ საქართველოში ორი წარმომადგენელი ჰყავს, თავდაპირველად, სოფიო ნატროშვილი და თამარ თევდორაძე იყვნენ, რომლებიც რამდენჯერმე შეიცვალნენ და ბოლო მონაცემებით, „პარკინგ ინთერნეიშენალს“ — უნანა გოგოხია, ხოლო „შოჰარ პარკინგ სერვისს“ — სოფიო ნატროშვილი წარმოადგენენ. ესენი ახალგაზრდა გოგონები არიან, რომლებზეც მინდობილობებია გაცემული:

„მთავარი ისაა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) მიზანი უნდა ვიცოდეთ. სამწუხაროდ, წესდებაში ეს გამოკვეთილი არ არის, მხოლოდ წილებისა და აქციების განაწილებაზეა საუბარი. „სითი პარკი“ ხელოვნურად, ძალიან დიდი ლაფსუსებითაა შექმნილი. არავის ვდებ ბრალს, ჯერ მხოლოდ ვიკვლევ, თუმცა არსებობს კითხვის ნიშნები და ზუსტად ვიცი, რომ დედაქალაქის მოსახლეობას ეს საკითხი აინტერესებს. ფაქტობრივად, „სითი პარკის“ ავტოსადგომებით მთელი ქალაქია დაქსელილი და ლამის, საკუთარ სახლთან, საკუთარ ავტოფარეხთანაც გაგიკეთონ სადგომი, რასაც შენთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს, რადგან არც მანქანაა დაცული და არც საცობები შემცირებულა ქალაქში. იმის ნაცვლად, რომ „სითი პარკმა“, მართლაც, მოაწესრიგოს მანქანების სადგომი, ყაჩაღური გზით აკეთებს ფულს და როგორც ჩანს, ამ ფულის კვალს მერიამდე მივყავართ. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, „სითი პარკი“, ნაციონალური მოძრაობის იმ წარმომადგენლების ჯიბეების გასქელებას ემსახურება, რომლებიც თბილისის მერიასა და საკრებულოში, სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობენ. ვეჭვობ, „სითი პარკი“ მათი ერთ-ერთი და არა ერთადერთი კომპანიაა“.

ვაჟა ოთარაშვილი „სითი პარკის“ საქმიანობის მოკვლევას მომავალშიც განაგრძობს, რადგან მიაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ უშლის საავტომობილო პარკის ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს. მისი თქმით, დაუშვებელია, საავტომობილო პარკი კონკრეტული ჩინოვნიკების შემოსავლის წყაროს წარმოადგენდეს.

„სიმღერით გამთბარი მიწა“ — თემურ ჭკუასელის სცენარის მიხედვით, ფილმს გადაიღებენ

„ეს არის საგა, რომელიც თაობებს გადაეცემა და მიუხედავად ეროვნებისა, ყველასთვის ერთნაირად ახლობელია“

ნათია ვასაძე

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჟურნალისტისა და „ქართული ხმების“ სოლისტის, თემურ ჭკუასელის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში, სახელწოდებით „სიმღერით გამთბარი მიწა“, შესულია ორი ლიტერატურული წერილი და ორსერიანი ფილმის ლიტერატურული სცენარი. თემურ ჭკუასელიც ხომ სწორედ მრავალხმიანი ქართული სიმღერით გაიცნო საქართველომ. იგი წლების განმავლობაში მუშაობს, წერს და აქვეყნებს ქართული სიმღერებისა და მომღერლების ისტორიას, უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული მრავალხმიანობის ღრმად შესწავლასა და პოლიფონიის საგანძურში დაცული ისტორიების საზოგადოებამდე მიტანაში.

ავტორს წიგნის პრეზენტაცია კულტურის მინისტრმა და მისმა მოადგილეებმაც მიულოცეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართველი რეჟისორები, მსახიობები, ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროსწარმომადგენლები. ბურამოდიშარიამ თავის გამოსვლაში ბრძანა: „ქართველები არ ვაკეთებთ თვითმფრინავებს, მერსედესებს... მაგრამ რაც გვაქვს საამაყო, ეს ჩვენი კულტურაა, ქართული ცეკვა, ქართული სიმღერა, რითიც შეგვიძლია მთელი მსოფლიო გავაკვირვოთ. ვულოცავ ბატონ თემურს ამ შესანიშნავ მოვლენას — კიდევ ერთი წიგნი შეემატა მწიგნობარი ერის დიდ ბიბლიოთეკას. რადგან წიგნი იბადება მაშინ, როცა მას საზოგადოებას წარუდგენენ. კარგი იქნებოდა, წაკითხული მქონოდა, მაგრამ აუცილებლად წავიკითხავ და დღეიდან თქვენი ერთ-ერთი ერთგული მკითხველი მეც ვიქნები“.

ეს ავტორის პირველი კინოსცენარი არაა. ბატონი თემურის სცენარების მიხედვით, უკვე ხუთი ფილმია გადაღებულია. მათ შორის, ყველაზე გახმაურებული ნანა ჯანელიძის მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „გალობის რაინდები“, ქართული გალობის გადარჩენას ეხება და ფილმის უდიდესი დამსახურებით, ამ ისტორიაში მონაწილე ორი პიროვნება — ექვთიმე კერესელიძე და ფილიმონ ქორიძე ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. ახალი სცენარის დაწერის იდეაც, სწორედ „გალობის რაინდების“ გადაღებისას გასჩენია.

თემურ ჭკუასელი: „როცა ნანა ჯანელიძესთან ერთად ფილმზე ვმუშაობდი, საფრანგეთიდან ჩემი მეგობარი დამიკავშირდა, რომელმაც თავისი მეგობრის, ქართული წარმომავლობის ებრაელის ალბერტ ბებერაკის მონათხრობი გადმომცა. ალბერტის მამა ახალციხელი ებრაელი, გვარად ბებერაშვილი გახლდათ. სწორედ მამის არქივში მიუგნია ალბერტს იმ ცნობებისთვის, რომელზეც, ფაქტობრივად, აიგო ჩემი ახალი სცენარი. საკმაოდ უცნაური ისტორიაა თუ როგორ გადაარჩინა ქართველმა მიხეილ კედიამ პარიზში, გერმანელებისგან დახვრეტას უამრავი ქართული წარმოშობის ებრაელი. კედიას ეშმაკობა მოუფიქრებია და გერმანელებისთვის განუცხადებია — ქართველი ებრაელები მოსეს სჯულის აღმსარებლები კი არიან, მაგრამ წარმოშობით და სისხლით ქართველები ანუ არიელები არიანო. ნაწარმოები ორ მსოფლიო ომს აერთიანებს და მასში ძალიან საინტერესოდაა მოთხრობილი გურული მამა-შვილის ისტორია, რომელიც ქართველების მომღერალი გენის სიცოცხლისუნარიანობას, მრავალხმიანობის საოცარ ძალას, ქართველი და ებრაელი ერების მეგობრობასა და ურთიერთობას ასახავს. სცენარში გამოგონილი და მართალი ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ წასაკითხად უფრო საინტერესოს ხდის. თუ ამ სცენარის მიხედვით ფილმს გადაიღებენ, მივიღებთ, ქართული მუსიკით, ტრადიციითა და ენერგიით დატვირთულ კიდევ ერთ ფილმს, რომელსაც უამრავი მაყურებელი ეყოლება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც“.

***მრავალხმიანი სიმღერით გაჯერებული ეს ახალი სცენარი, უკვე მოხვდა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო სცენარების კონკურსში გამარჯვებულ შვიდეულში. „ვერსიის“ ინფორმაციით, აღნიშნულ სცენარზე ფილმის გადაღების სურვილი გიორგი ოვაშვილმა გამოთქვა, თუმცა ახალგაზრდა რეჟისორის თქმით, საუბარია დიდ თანხებზე და სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, რთული იქნება, ამ პროექტის განხორციელება.**

გიორგი ოვაშვილი: „სცენარი დიდი ხნის წინ წავიკითხე და მაშინვე დავინტერესდი. ეს არის არაჩვეულებრივი კინომოთხრობა, თავისი შინაარსითა და ვიზუალით. კინომოთხრობა, რომლის ეკრანიზაცია არა მხოლოდ სასურველი, არამედ საჭიროცაა. საჭირო იმიტომ, რომ აქ საუბარია ისეთ უნიკალურ ქართულ ფენომენზე, როგორიცაა ქართული ტრადიციები და ქართული მრავალხმიანი სიმღერა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანურ ფასეულობებზეა საუბარი. ეს არის საგა, რომელიც თაობებს გადაეცემა და მიუხედავად ეროვნებისა, ყველასთვის ერთნაირად ახლობელია. თითქმის ორი წელია, ჩემსა და ბატონ თემურს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და შესაბამისი დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, შეიძლება მივიღოთ ძალიან კარგი სანახაობრივი და ამასთანავე, კომერციული კინო, რომელსაც შეუძლია, საქართველო საუკეთესო კუთხით წარუდგინოს მთელ მსოფლიოს. მოქმედება ხდება რამდენიმე ქვეყანაში — საქართველოში, შვეიცარიაში, რუსეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში... ეს არის უზარმაზარი საერთაშორისო პროექტი, რომლის განხორციელებისთვის სერიოზული პროდიუსერი და ფინანსური წყაროა საჭირო, თუმცა ვფიქრობ, სახელმწიფოსთვის სწორედ ასეთი პროექტები უნდა იყოს პრიორიტეტული. ქართული კულტურა ის უმოკლესი გზაა, რომლითაც საქართველოს მსოფლიო ასპარეზზე თავის მოწონება შეუძლია. ეს გზა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე პოლიტიკა. თუ ხელისუფლება მსგავს პროექტებს ხელს შეუწყობს, ეს წაადგება ქართულ სიმღერას, ქართულ კინოსა და, პირველ რიგში, ქვეყნის წინსვლასა და წარმატებას“.



ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე, შესაძლოა, გაზაფხულზე დაბრუნდეს

რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა რუსეთის მთავარ სანიტართან, გენადი ონიშენკოსთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

„შესაძლოა, გაზაფხულის ბოლოს, ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე შევიდეს“.

რუსეთის მთავარმა სანიტარმაც თავის მხრივ აღნიშნა, რომ ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე გაზაფხულისთვის დაბრუნება რეალურია.

ამასთან, გენადი ონიშენკოს განცხადებით, დაახლოებით 60-მდე ქართულმა სანარმომ გამოთქვა მზადყოფნა, განაახლოს რუსეთის ბაზარზე ღვინისა და მინერალური წყლების შეტანა.

„ინტერპრესნიუსი“

თაბუკაშვილის ქუჩაზე პოლიციის შენობა კერძო პირის ტერიტორიაზეა აშენებული

თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის გამჭვირვალე შენობა კერძო პირის, კოტე ჩიქოვანის კუთვნილ ფართობზეა აგებული და საჯარო რეესტრის მონაცემებით, ეს ტერიტორია დღესაც მის სახელზე ირიცხება. ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ავრცელებს. მისი თქმით, კოტე ჩიქოვანს 300 კვმ სახლი ისე დაუნგრიეს, მისთვის ერთი თეთრიც არ გადაუხდიათ. ვიცე-სპიკერის შეფასებით, თაბუკაშვილის ქუჩაზე პოლიციის ახალი შენობის მშენებლობა მაშინდელი შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე მიუთითებს.

„ვეკითხები მერაბიშვილს, პოლიციის შენობა კერძო პირის, კოტე ჩიქოვანის საკუთრებაში რომ ააგო, ამ ადამიანს 300 კვ.მ. სახლი რომ დაუნგრია და დღეს ეს შენობა რეესტრში ისევ კერძო პირის, კოტე ჩიქოვანის სახელზე ირიცხება, გამცეს პასუხი, რატომ გააკეთა ეს და ხომ არ გადაამეტა მინისტრის უფლებამოსილებებს?! ვანო მერაბიშვილო, ხართ თუ არა მზად, პასუხი აგოთ ამ ქმედებაზე, როგორც მაშინდელმა მინისტრმა, რომელმაც უფლებამოსილებებს გადაამეტეთ?!“ — მიმართავს მანანა კობახიძე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს.

კობახიძის თქმით, შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იყო და ამ საკითხზე სასამართლო პროცესი მიდის.

სოჭის ოლიმპიადისთვის დაახლოებით 1,5 ტრილიონი რუბლი დაიხარჯება

რუსეთის ვიცე-პრემიერის დიმიტრი კოზაკის განცხადებით, აღნიშნულ თანხაში ოლიმპიადის ჩატარებასთან ერთად, ქალაქ სოჭის ინფრასტრუქტურის მშენებლობის ხარჯებიც შედის:

„პრინციპში, ხარჯებმა ამ ციფრს უკვე მიაღწია, თუმცა მინდა, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ამ თანხის ნახევარი კერძო ინვესტიციებია“.

ვიცე-პრემიერის თქმით, საბიუჯეტო სახსრებიდან ამ მიზნით 700 მლრდ რუბლია გამოყოფილი: 200 მლრდ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის, დაახლოებით, 500 მლრდ კი ქალაქის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის.

„პირველი“

ბაიდენი აცხადებს, რომ აშშ არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 2 თებერვალს, აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას აღნიშნა, რომ აშშ არ აღიარებს სეპარატისტულ რეგიონებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. დამოუკიდებელ ქვეყნებს უფლება. აქვთ, თავად აირჩიონ საკუთარი მოკავშირეები. ვაშინგტონსა და მოსკოვს განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ სირიის, ნატო-ს გაფართოებისა და სარაკეტო თავდაცვის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე, მაგრამ ორ ქვეყანას ბევრი საერთო ინტერესიც აქვს, მათ შორის, თავიანთი ბირთვული არსენალის შემცირება, ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდა ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბაიდენი მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციის მეორე დღეს გამოდიოდა სიტყვით. ეს იყო საერთაშორისო შეკრება, რომელსაც ესწრებოდა უმაღლესი რანგის 400 დიპლომატი და თავდაცვის სფეროს წარმომადგენელი ევროკავშირიდან, შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან და კიდევ სხვა მრავალი ქვეყნიდან, გერმანიის სამხრეთ ქალაქში.

„მნიშვნელოვანია, ოპოზიცია პასუხისმგებლობით მოეკიდოს მთავრობის კრიტიკას“

საქართველოში აშშ-ს ელჩმა, რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, რომ **„მთავრობას უნდა ჰქონდეს საშუალება, მართოს ქვეყანა, რადგან საზოგადოება ელოდება შედეგს, ვითარების გაუმჯობესებას. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ მთავრობასა და ოპოზიციას ჰქონდეს თანაცხოვრების საშუალება და კოჰაბიტაცია ეფექტურად გაგრძელდეს. ჩვენ ამ პროცესს ყურადღებით ვადევნებთ თვალს“.**

რაც შეეხება იმას, თუ როგორ აფასებს გასული 100 დღის განმავლობაში მთავრობის მიერ გაწეულ საქმიანობას, ამერიკელი დიპლომატის განმარტებით, საელჩო საკუთარ მოსაზრებას მოგვიანებით, მას შემდეგ დააფიქსირებს, რაც ორი კვირის განმავლობაში, მთავრობის საქმიანობის შესახებ გარკვეულ შეფასებებს მოისმენს:

„გაცილებით საინტერესოა, როგორ შეფასებას გააკეთებს ქართველი ხალხი. სწორედ ამის შემდეგ მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ 100 დღე მეტისმეტად მცირე დროა ნებისმიერი მთავრობისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ რა დასკვნაც უნდა გავაკეთოთ, ეს მაინც იქნება წინასწარი შეფასება“.

„ინტერპრესნიუსი“

ინფორმაცია განსჯისთვის ანუ — ნუ დაემსგავსებით სატმარელ ხასიდებს!!!

ზურაბ მჭედლიშვილი, ნიუ-იორკი

მართალი გითხრათ, დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა ეს წერილი. მაფიქრებდა არა ის, ვინ რა იარლიყს მომაკერებდა, არამედ ის, რომ თვით ჯანსაღ და მიუკერძოებელ ქართულ საზოგადოებასაც კი (თუ დარჩა ასეთი), შეიძლება, სულ სხვა კონტექსტში აღექვა ქვემოთ მოყვანილი ამბები, მაგრამ ის, რაც ბოლო პერიოდში, ერთიმეორის მიყოლებით მოხდა და ხდება საქართველოში, სხვა არჩევანს აღარ მიტოვებს...

ნიუ-იორკში, ბრუკლინის ერთ-ერთ მსხვილ კვარტალ უილიამსბურგში დასახლებულ-დაფუძნებულია ულტრაორთოდოქსი ებრაელების მსოფლიოში უდიდესი თემი. მათი გამორჩევა მეგაპოლისის სხვა დიასპორათა წარმომადგენლებისგან ძალიან ადვილია. მამაკაცები შავ სამოსსა და შავ ცილინდრებში, გრძელი წვერითა და საფეთქლებიდან ჩამოზრდილი და ზამბარისებურად დახვეული თმით. ქალები ატარებენ პარიკებს (გათხოვების შემდეგ მთელი ცხოვრება თმას იპარსავენ) და იცვამენ უაღრესად სადად, ერთმანეთში ლაპარაკობენ იდიშზე და ყველანი, უკლებლივ, სიცოცხლის ბოლომდე, სწავლობენ და ითვისებენ თორასა და თალმუდს! მსგავსი კვარტლები, უფრო მცირე მასშტაბისა არის იმავე ბრუკლინის „ბორო პარკში“ და ნიუ-იორკის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მონსიში, კანადაში, ასევე, ბელგიასა და ინგლისში (ლონდონსა და მანჩესტერში), არგენტინაში, შედარებით მცირე რაოდენობით საკუთრივ ისრაელში, კერძოდ, იერუსალიმში! ამ ულტრაორთოდოქსთა თემში ლიდერობს სექტა სახელწოდებით „სატმარელი ხასიდები“, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც პირწავარდნილი ანტისიონისტები და ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობის დაუძინებელი მტრები!!!

„სიონისტები ცოდვილნი არიან ღმერთის წინაშე, რადგან შექმნეს სახელმწიფო... მესიის მოსვლამდე! ებრაელებმა გაფანტულებმა უნდა იცხოვრონ, ხოლო ჰოლოკოსტი არის ღვთის რისხვა სიონიზმის გამო!“ — ამ „მარგალიტებს“ ასწავლიან და ამ სულისკვეთებით ზრდიან თავიანთ ბავშვებს! ამასთან, მრავლდებიან სწრაფად! ქალები, სანამ ფიზიოლოგიურად შეუძლიათ, აჩენენ და აჩენენ ბავშვებს. 8, 10, 12 და მეტი ბავშვი თითოეული ხასიდის ოჯახში ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი, მოსეს ათ მცნებასთან ერთად, მკაცრად იცავენ უზენაესის აღთქმას — ინაყოფიერეთ და გამრავლდითო! მე, პირადად, წლების მანძილზე მქონდა ხასიდებთან (არასატმარელებთან) ურთიერთობა, ვმუშაობდი კიდეც ერთ-ერთ მათ კომერციულ უწყებაში და ვიტყვი, რომ ადამიანურ თუ საქმიან ურთიერთობებში, მათზე პატიოსანი, გამტანი და ერთგული ხალხი იშვიათად მინახავს. ხოლო რაც შეეხება მათ რელიგიურ მრწამსსა და იდეოლოგიას, მხოლოდ ცოტა რამ თუ გავიგე, გარდა იმისა, რომ ძველი აღთქმის თავგადადებული მიმდევრები არიან (პირად საუბრებში სიტყვაძუნწობით გამოირჩევიან, მით უფრო, არაებრაელთან რელიგიურ თემაზე დისკუსიას თავს არიდებენ). ყველაზე ქარიზმატული, სატმარელი ლიდერი გახლდათ რაბინი ჯიოელ ტეიტელბაუმი (სწორედ მისი ლოზუნგია, „ჰოლოკოსტი არის ღვთის რისხვა სიონიზმის გამო...“), რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ულტრაორდოდოქსებმა სოლიდური წონის ოქროს ფასად გამოისყიდეს საკონცენტრაციო ბანაკ ბერგენ-ბელზენიდან და საამისოდ მოელაპარაკნენ თვით ებრაელი ერის ერთ-ერთ ჯალათს, ადოლფ ეიხმანს (ეს ის ეიხმანია, რომელიც 1961 წელს ისრაელში გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს). მოგვიანებით, გაზის კამერას გადარჩენილმა ამ ტეიტელბაუმმა, საჯაროდ ბრძანა, რომ **„მეორე მსოფლიო ომის დროს, ექვსი მილიონი ებრაელი დაიღუპა სწორედ სიონიზმის შედეგად(!!!)“**. მისგან წამოვიდა და მოვიდა დღემდე ეს მოძრაობა. რადგან ტეიტელბაუმი რუმინეთის ქალაქ სატმარიდან იყო წარმოშობით, სახელიც შესაბამისი დაირქვეს და დაიწყეს ბრძოლა ისრაელის წინააღმდეგ!

ისმის კითხვა, რა ხდება?! ვინ არიან ამ ბიბლიური ერის ეს საეჭვო წარმომადგენლები?! რა სურთ და რა ამოძრავებთ მათ?! სატმარელი ხასიდები იდეოლოგიურად, საკუთარ თავს მიაკუთვნებენ ორგანიზაცია „ნეტურეი კარტას“ (ქართულად ითარგმნება, როგორც — ქალაქის გუშაგნი), ეს უკანასკნელი, ალბათ, გახსოვთ დენ ბრაუნის გახმაურებული რომანიდან „დავინჩის კოდი“, თუმცა გაუგებარი და ბუნდოვანია, რატომ ემხრობიან ხასიდები ამ უძველეს კათოლიკურ სექტას. სატმარელები ხოტბას არ იშურებენ ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასისადმი“. იმ ჰამასისადმი, რომელიც ებრაელი ბავშვებით სავსე ავტობუსებსა და კაფეებს აფეთქებდა, დღემდე ზრდის მომავალ შაჰიდებსა და ტერორისტებს, სარაკეტო დარტყმებს ახორციელებს ისრაელის წინააღმდეგ და კვლავაც ერთგული რჩება სტრატეგიისა, რომ ებრაელები ზღვაში უნდა გადაყარონ, ისრაელი კი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა!

უარესიც, სატმარელი რაბინები, წლების განმავლობაში, იასირ არაფატს კონსულტაციებს უწევდნენ, როგორ უნდა ებრძოლათ არაბებს ებრაელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც, არაფატმა (ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის ამ უპირველესმა მამამთავარმა) შეიმუშავა „ფორმულა“ ებრაელი ერის გადაშენებისა: **„ჩვენ, პალესტინელებს, გვაქვს უფრო ძლიერი იარაღი, ვიდრე ებრაელების ატომური ბომბია! ეს არის პალესტინელი ქალის... საშვილოსნო!!!“** უფრო გასაგებად, ალბათ, ვერავინ ჩამოაყალიბებდა პალესტინელი არაბების იდეოლოგიას, რაშიც სატმარელ რაბინებს ლომის წილი მიუძღვით! დღეს კი, სატმარელები პერმანენტულად მართავენ მიტინგებს თეთრ სახლსა და გაერო-ს შტაბ-ბინასთან, ლონდონსა და მანჩესტერში, მონრეალსა და სხვაგან, ლოზუნგებითა და მოთხოვნებით: „იუდაიზმს არა აქვს უფლება, მართავდეს წმინდა მიწის თუნდაც მცირე ნაწილს!!!“ მისი დღევანდელი ლიდერი რაბინები კი გაჰკივიან, რომ ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჯადი, რომელიც ლამის ყველა გამოსვლაში ისრაელს განადგურებით ემუქრება და უხვად აფინანსებს ლიბანში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰესბოლას“, არანაირი ანტისემიტი არ არის (ანუ, ჩვენ შემთხვევაში, აფსუა და ცხინვალელი სეპარატისტების დამფინანსებელი და მაღიარებელი პუტინი არანაირი ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი არ ყოფილა).

საერთოდ, ყველაფერი შეიძლება თქვას და იკადროს ადამიანმა, მაგრამ რაც ამ სატმარელებმა ჩაიდინეს 2006 წელს (და სჩადიან დღემდე), ამან გამახსენა მოსკოვში მორბენალ ზვიად გამსახურდიას მტრებისა და ქართველ პოლიტიკანთა ანტისახელმწიფოებრივი ვოიაჟები და პრესკონფერენციები, შემდეგ, შევარდნაძის ამფეთქებლების სირბილი და ანტიქართული გამოხდომები „პოდმოსკოვიეს“ კონსპირაციული ბინებიდან, მოგვიანებით კი, სააკაშვილის მოწინააღმდეგების ვიზიტები და რევერანსები პუტინებისა და ჟირინოვსკებისადმი... რომელი ერთი ჩამოვთვალო კიდევ?! მოხდა ის, რომ სატმარელ ხასიდთა ექვსი გავლენიანი რაბინი საგანგებოდ ჩავიდა თეირანში, სადაც იმართებოდა ჰოლოკოსტის უარმყოფელ ორგანიზაციათა საერთაშორისო კონფერენცია 30 ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით. იქ გულთბილად ეხვეოდნენ პრეზიდენტ აჰმადინეჯადს, კუ-კლუკს-კლანის ყოფილ ლიდერს დევიდ დიუკს და სხვა ექსტრემისტული და ანტისემიტური ორგანიზაციების ბოსებს, მადლობას უხდიდნენ ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლისთვის (პუტინს რომ მადლობას უხდიდნენ და უხდიან პოლიტიკანი ქართველები, როგორც ჩანს, ესეც ნორმალურია ახალი ქართული „ისტებლიშმენტისთვის“). კულმინაცია კი მთელი ამ ანტისემიტური ბაკქანალიისა, გახდა რაბინ აარონ კოენის გამოსვლა კონფერენციაზე, რომელმაც მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა, როცა განაცხადა: ორთოდოქსი ებრაელების აზრით, დიახ, ჰოლოკოსტს ჰქონდა ადგილი მეორე მსოფლიო ომისას უფრო გადაჭარბებული დონით, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მაგრამ ეს არ ამართლებს სიონისტთა კრიმინალურ და უკანონო ქმედებებს პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოს შექმნითო (ალბათ, კარგად ეხმიანება ქართველი პოლიტიკანების ყიჟინს, რომ დიახ, რუსეთმა გადაჭარბებული ქმედება განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, ოკუპირებული აქვს ქართული ტერიტორიები და გაჟლეტილ-განდევნილი ჰყავს ქართული მოსახლეობა, მაგრამ ეს ყველაფერი სააკაშვილის კრიმინალური და უკანონო მოქმედებების შედეგიაო!). ჩვენი წმინდა წიგნი თორა გვასწავლის, რომ ებრაელებმა მიიღეს მიწა უზენაესისგან, ხოლო ისინი, ვინც ცოდვას სჩადიოდა, განდევნილნი იქნენ ამ მიწიდან. ჩვენც სწორედ ცოდვების გამო ვიქენით განდევნილნი პალესტინიდან(!!!). ხოლო მეორე რაბინმა, ისრაელ ვაისმა, ტელეკომპანია „ალ-ჯაზირასთვის“ მიცემულ ინტერვიუში სრულად გახსნა „ნეტურეი კარტას“ იდეოლოგია და მისწრაფება..., ჩვენ მოგიწოდებთ ისრაელის ლიკვიდაციისკენ! ჩვენთვის მიუღებელია ოსლოს შეთანხმებების მსგავსი ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, უნდა არსებობდეს ისრაელის სახელმწიფო, რადგან ჩვენ ვმოქმედებთ თორას აღთქმის თანახმად. თორაში ებრაელები გაფრთხილებულნი არიან, არ შექმნან სახელმწიფო პალესტინელი ხალხის ხარჯზე, რომელიც არის კიდეც ამ მიწა-წყლის პატრონი, ამიტომ ჩვენ გვინდა ცხოვრება პალესტინელთა ხელმძღვანელობით...“ დაბოლოს: „ისრაელის სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, რადგან ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. ღმერთისთვის მიუღებელია ისრაელი და ჩვენც შევთხოვთ უზენაესს, მოსპოს ეს ქვეყანა“(!!!).

ჯერ კიდევ სიონიზმის გარიჟრაჟზე აცხადებდა ამ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი ვლადიმერ (ზეევა) ჟაბოტინსკი მთელი მსოფლიოს გასაგონად:

„მოვითხოვთ, აღიაროთ ჩვენი უფლება იმაზეც, რომ გვყავდნენ საკუთარი არამზადები და ნამუსგარეცხილები!“

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ, ქართული ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტ ლიდერებსა და ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, იმთავითვე რომ გამოეცხადებინათ მსგავსი ლოზუნგი, იქნებ ბევრ ქართველ პოლიტიკანს მოეთოკა საკუთარი ამბიციები და ქვეყნის უფსკრულისკენ სვლისთვის ხელი აღარ შეეწყო, მაგრამ არა, ჩანს, ამ მხრივ, დიდი განსხვავება არ რჩება ქართველებისა და სატმარელი ხასიდების ქმედებებს შორის. თუ სატმარელები მხოლოდ თორათი ანუ რელიგიური მოძღვრებით ხელმძღვანელობენ და მათივე რწმენით, უზენაესის ნების განმახორციელებლებად გვევლინებიან — ვისი ნების განმახორციელებლები იყვნენ და არიან საკუთარი ქვეყნის ინტერესების უგულებელმყოფელი ქართველი თუ ქართული გვარების მატარებელი მანქურთები და პოლიტიკანები, აქვს ვინმეს, უწინარესად, ახალ ხელისუფალთ ამ კითხვაზე პასუხი?! ვფიქრობ, არა, რომ ჰქონდეს, მაგალითად, ისეთ მანქურთს, როგორიც ვინმე ხუბუტიაა, რომელიც აგვისტოს ომისას საქართველოს განადგურებისა და დასამარების ლოზუნგებით გამოდიოდა, თბილისში არ ჩამოუშვებდნენ, მაგრამ თუ მაინც ჩამოვიდოდა, ცხვირპირდაუმტვრეველს არ გაუშვებდნენ მშობლიურ მოსკოვში!

თუმცა თბილისელ „კაი და ჯიგარ ბიჭებს“ ვინ მისცა საამისო შნო და თავი (არ მინდა, უფრო მკვახე და პოპულარული სიტყვა გამოვიყენო), ისინი სააკაშვილის წინააღმდეგ არიან „მაგარი ბიჭები“ (ისევე, როგორც ადრე გამსახურდიას მიმართ იყვნენ) და „საქართველოს გადამრჩენი „პატრიოტები“! მალე იგორ გიორგაძეც გეწვევათ, რომელმაც 1995 წლიდან მოყოლებული, თხუნელასავით გამოთხარა „პოდმოსკოვიეს“ კაგებესეული კონსპირაციული ბუნკერები და, შევარდნაძიდან დაწყებული სააკაშვილის პერიოდით დამთავრებული, რუსული ანტიქართული პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალად გვევლინებოდა! ასევე, გეწვევათ პრორუსული მოძრაობის შექმნით აღტყინებული ხაბურძანიაც და ვინ იცის, კიდევ ვინ?! რუსეთის ჯაშუშებიც ხომ გამოაცხადეს პოლიტპატიმრებად და გაუშვეს „ქართული საქმეების“ კვლავ საკეთებლად?! და ამასთან დაკავშირებითაც მსურს, ერთი ჭკუისსასწავლებელი ფაქტი მოვიყვანო, თუმცა მეეჭვება, ვინმე „მეოცნებე“ დააფიქროს მაინც, არათუ ჭკუა ასწავლოს....

28-ე წელიწადია, ამერიკის ციხეში სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის (ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლების გარეშე), აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი ოფიცერი, ეთნიკური ებრაელი, ჯონათან პოლარდი! არადა, ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, მსგავსი დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი ათი წლით პატიმრობაა, საშუალო სასჯელი კი — 4-6 წელი! მაშ, რა დააშავა ამ ამერიკელმა ოფიცერმა ისეთი, პრაქტიკულად, განწირულია ციხეში სიკვდილისთვის?!

ჯონათან პოლარდი დააპატიმრეს 1985 წელს, როცა პენტაგონში, სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვის უწყებაში მუშაობდა და მის ხელში გადიოდა საიდუმლო და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციებიც. მას ბრალად წაუყენეს ისრაელის დაზვერვისთვის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემა! ისმის კითხვა, მაინც, რა ისეთი დოკუმენტები გადასცა პოლარდმა ამერიკის ერთ-ერთ უპირველეს მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოს (რაც ისრაელმა არ იცოდა?), სამუდამო პატიმრობისთვის რომ გაიმეტა ამერიკულმა მართლმსაჯულებამ?!

1980-იან წლებში, როცა ირანსა და ერაყს შორის ომი მძვინვარებდა, ვაშინგტონს, კონგრესის პირით, ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული, სინამდვილეში კი, აშკარად სადამ ჰუსეინს უჭერდა მხარს. მეტიც, სწორედ ამერიკის ხელშეწყობით შეძლო მაშინ ჰუსეინმა, შეექმნა სამხედრო-ქიმიური მრეწველობა („ისტორიის ირონია“, — 2003 წელს პრეზიდენტ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციამ, ერაყის ქიმიური იარაღის საბაბით დაიწყო ომი ამ ქვეყანაში). ინფორმაციას, რომ ამერიკელები ეხმარებოდნენ ჰუსეინს ქიმიური იარაღის შექმნაში, ვაშინგტონი უმალავდა ისრაელს და სწორედ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მოხვდა პოლარდის ხელში. როგორც ეთნიკურმა ებრაელმა და თავისი ოდინდელი სამშობლოს პატრიოტმა (იგი ისრაელის მოქალაქეც გახლდათ), რომელიც კარგად ხედავდა, რა საფრთხე შეიძლებოდა შეექმნა ქიმიური იარაღით აღჭურვილ სადამ ჰუსეინს ისრაელისთვის, მიიღო, მისი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ შეგახსენებთ, 1982 წელს ისრაელის ბომბდამშენებმა გაანადგურეს ერაყში მშენებარე ბირთვული რეაქტორები, რის გამოც, სადამ ჰუსეინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდეს! მოკლედ, პოლარდმა, აბსოლუტურად იდეური მოტივებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალა ისრაელისთვის აღნიშნული დოკუმენტების გადაცემა. შედეგად, თავისივე ინიციატივითა და ძალისხმევით, გავიდა მოსადის აგენტებზე და დაიწყო ამ ინფორმაციების გადაცემა სრულიად უსასყიდლოდ. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ისრაელში შეაფასეს აღნიშნული დოკუმენტების მნიშვნელობა, შესთავაზეს ანაზღაურება პოლარდს, რაზეც თავდაპირველად, უარს ამბობდა, მაგრამ ბოლოს, მაინც ადამიანურმა სისუსტემ სძლია და დაიწყო გასამრჯელოს აღება! ჩავარდა პოლარდი აბსოლუტურად სხვა მიზეზის გამო: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერმა და საბჭოთა დაზვერვისთვის მომუშავე ჯაშუშმა ოლდრიჯ ეიმსმა, სამმართველოს ხელმძღვანელობისთვის წარდგენილ საიდუმლო მოხსენებაში, ჯონათან პოლარდი დაადანაშაულა საბჭოთა კავშირში მოქმედი ამერიკის აგენტურის ჩავარდნაში და უშუალოდ, ორი აგენტის დაღუპვაში. შედეგად, პოლარდს საიდუმლოდ დაუწყეს თვალთვალი და დაიჭირეს მოსადის აგენტებთან კონტაქტისას! არადა, სინამდვილეში, სწორედ ეიმსის მიერ რუსებისთვის გადაცემული ინფორმაციის წყალობით, მოსკოვში გაქაჩეს „კაგებეს“ ათი ოფიცერი, რომლებიც ამერიკელებისთვის მუშაობდნენ. ისინი გაასამართლეს და დახვრიტეს! საკუთრივ, ეიმსი 1994 წელს დააპატიმრეს და როგორც საბჭოთა კავშირისა და შემდეგ, რუსეთის ჯაშუშს, სამუდამო პატიმრობით, უკრეს ციხეში თავი! მაგრამ 1987 წელს, როცა პოლარდს ასამართლებდნენ, ბრალდების მხარე ეიმსის მოხსენებასაც ეყრდნობოდა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ „მწყობრში“ იყო. ერთი სიტყვით, პოლარდმა თავი დამნაშავედ სცნო მხოლოდ ისრაელის დაზვერვასთან თანამშრომლობაში, შედგა საპროცესო შეთანხმება პროკურატურასა და ბრალდებულს შორის, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, სასამართლომ პოლარდს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა! დაიწყო, რაც დაიწყო და რის გამოც, მოვყევი მთელი ეს ამბავი! პოლარდი დააპატიმრეს და გაასამართლეს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს. იქიდან მოყოლებული დღემდე, ისრაელის პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები ამერიკის ყველა პრეზიდენტს ოფიციალურად სთხოვდნენ და სთხოვენ, შეიწყალოს პოლარდი, ხოლო ამერიკის უზენაეს სასამართლოს — საქმის გადასინჯვას და სასჯელის შემსუბუქებას. უკანასკნელად, ასეთი თხოვნით 2011 წელს მიმართა ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტისას ბენიამინ ნეთანიაჰუმ ბარაკ ობამას (დარწმუნებული ვარ, ხელახლა გაპრემიერმინისტრებული ნეთანიაჰუ, უახლოეს მომავალში, იგივე თხოვნით კვლავ მიმართავს მეორე ვადით არჩეულ პრეზიდენტ ობამას). ძალიან აქტიურობენ ადამიანის უფლებების დამცველი, ამერიკული და საერთაშორისო არასამთავრობო და ებრაული ორგანიზაციებიც, თვით პენტაგონის ყოფილი მაღალჩინოსნებიც აღარ მალავენ, რომ სასჯელი არაპროპორციულია დანაშაულისა, მაგრამ არა და არ იწყალებენ პოლარდს! აღარც სადამ ჰუსეინია, აღარც მისი ქიმიური იარაღი და ერაყიც პროამერიკულია, მაგრამ როგორც ჩანს, არსებობს სახელმწიფოებრივი ღირსება, სახელმწიფო ინტერესები, სახელმწიფო საიდუმლოებების ხელშეუხებლობის პრინციპები (ბოლოს და ბოლოს, სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი), რომლის დაცვაშენარჩუნებისთვის დაუნდობლები არიან ყველას მიმართ და მსგავსი სასჯელისთვის იმეტებენ ყველაზე ერთგული მოკავშირე ქვეყნისთვის ჯაშუშურ საქმიანობაში მხილებულ საკუთარსავე ოფიცერს! და კიდევ, რომ არა დიდი პოლიტიკა (უწინარესად, ამერიკის მაშინდელი საგარეო და განსაკუთრებით, შიდაპოლიტიკური პროცესები), ამ საქმეში თითქოს საჯაშუშო არაფერი უნდა ყოფილიყო ამერიკელებსა და ებრაელებს შორის, მაგრამ...

...მაგრამ მინდოდა, კიდევ განმევრცო ეს თემა და ანალოგიც გამევლო საქართველოში მიმდინარე პროცესებთან, თუმცა ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებად ვთქვი და რეზიუმეს გაკეთებაც მკითხველისთვის მიმინდვია...

ვენეციის კომისია და საქართველო შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ საკონსტიტუციო ცვლილებებსა და საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით

საქართველოში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ, ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე, ქვეყანაში დღეს შექმნილ სიტუაციაზე თავისი ხედვა წარმოადგინა.

მას შემდეგ, რაც ბატონი ბუკიკიო შეხვდა საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთ, კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ყველა თანამოსაუბრემ, კონკრეტულად კი პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის სპიკერმა, ახალი კონსტიტუციის მომზადების პროცესში ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობისა და მასთან კონსულტირების სურვილი გამოხატეს. ის მიესალმა იმ ფაქტს, რომ პარლამენტი დანიშნავს მოხელეს, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთობას ვენეციის კომისიასთან.

ბატონ ბუკიკიოს ესმის, რომ ახალმა უმრავლესობამ ამომრჩევლებს უნდა აჩვენოს შედეგები, თუმცა აღნიშნა, რომ ნაჩქარევი რეფორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება, საფრთხეს შეიცავს და ყველას მოუწოდა ფართო კონსენსუსისკენ. საჭიროა კონსტიტუციის ძირეული რეფორმა, რათა გაჩნდეს საპრეზიდენტო ძალაუფლების კონტროლისა და ბალანსის შესაძლებლობა, რაც 2004 წლის კონსტიტუციაში არ არსებობდა და რაც გააკრიტიკა კიდეც ვენეციის კომისიამ. ეს საკონსტიტუციო რეფორმა აუცილებლად უნდა გატარდეს ღრმა რეფლექსის, ყველა პოლიტიკურ ძალასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების შემდეგ: მხოლოდ ასე შეიძლება პროცესის საბოლოო მიზნის მიღწევა ანუ ისეთი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც კი არ გაყოფს ქართველ ხალხს, არამედ გააერთიანებს.

რაც შეეხება მოკლევადიან საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებზეც ამდენი დისკუსია მიდის, ბატონი ბუკიკიო დაეთანხმა იმას, რომ ალბათ, 2013 წლამდე, სასწრაფოდ არის საჭირო ამ ცვლილებების გატარება მთავრობისა და პარლამენტის სტაბილურობისთვის გასული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. მისი თქმით, ის არ ეწინააღმდეგება პრეზიდენტის იმ უფლების შეზღუდვას, რომლის თანახმადაც მას ახალი მთავრობის დანიშვნა პარლამენტის თანხმობის გარეშე შეუძლია, რასაც ვენეციის კომისია ადრეც აკრიტიკებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან საქართველოს ხელისუფალთ რბილი, ღირსეული და პატივისცემით განმსჭვალული კოჰაბიტაციისკენ მოუწოდა, რაც საქართველოს ინტერესებშია.

რაც შეეხება შესწორებებს კანონში სასამართლოსა და ამნისტიის შესახებ, ბუკიკიომ განმარტა, რომ საქართველოს ეწვევიან ვენეციის კომისიის ექსპერტები. ისინი გამართავენ შეხვედრებს კომპეტენტურ სპეციალისტებთან, რადგან ვენეციის კომისია ემზადება 2013 წლის მარტში თავისი დასკვნების გამოქვეყნებისთვის. ამ კონტექსტში ბატონმა ბუკიკიომ ხაზი გაუსვა იმას, რომ სასამართლოს კანონის რეფორმირებისას აუცილებელია კანონის უზენაესობის პატივისცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ იუსტიციის საბჭოს ამჟამინდელ წევრებს მანდატი არ უნდა შეუწყდეთ ვადის დასრულებამდე.

http://foreignpress.ge

„წინა ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილი“ ადამიანების ხელმეორედ „ჩარეცხვა“ ხდება!“

მარგველაშვილმა პედაგოგებს მოსთხოვა, დოკუმენტურად დაამტკიცონ, რომ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს

ნელი თორდია

საქართველოს სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანების აზრით, მარგველაშვილი მათ დასცინის, ზოგადად, პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან გაშვებული ადამიანების საქმეების შესწავლის მიზნით შექმნილი ე.წ. სპეციალური კომისია კი, ჩვეულებრივი სატყუარაა. „ვერსიასთან“ საუბარში, 154-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, ისტორიკოსი პუბლიცისტი გუგა სამხარაძე აცხადებს, რომ რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა, მას და მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულის დამადასტურებელი ცნობა მოსთხოვეს.

„განათლების სამინისტრომ იმის დოკუმენტური დასაბუთება მომთხოვა, რომ თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით ვარ გათავისუფლებული. ახლა ვფიქრობ, ვის მივაკითხო ამ ცნობისთვის, ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივ ორგანიზაციას თუ... ეს არის დაცინვა, რადგან ნაციონალურ მოძრაობას არასასურველი ადამიანის მოსაშორებლად, მიზეზების ძებნა არ სჭირდებოდა და არც დოკუმენტურად ასაბუთებდა, რომ ადამიანი პოლიტიკური ნიშნით იყო გათავისუფლებული“, — აცხადებს სამხარაძე და იმასაც გვიმხელს, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ ამყოფებს მარგველაშვილის უწყება ადამიანებს ილუზიებში, რატომ არ წამოუყენეს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებს მსგავსი მოთხოვნა თავიდანვე. გუგა სამხარაძის თქმით, მარგველაშვილის უწყებამ შესანიშნავად იცის, რომ „ნაციონალები“ პოლიტიკურად სანდო ადამიანებს ნებისმიერ დარღვევასა და გადაცდომას მიუტევებდნენ და სამსახურიდან გაშვება მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა. **„პოლიტიკური სანდოობის შემთხვევაში, ნებისმიერ დარღვევაზე ხუჭავდნენ თვალს. არ მსმენია, შაშკინის მინისტრობის პერიოდში „ნაციონალების“ მხარდამჭერი რომელიმე დირექტორი ან პედაგოგი დარღვევის გამო გაეთავისუფლებინათ. აქედან გამომდინარე, შაშკინის დროს გათავისუფლებული ყველა დირექტორი, მათ შორის ისინიც, ვისაც სერიოზული დარღვევები აღმოუჩინეს, რეალურად მოხსნილია არა დარღვევების, არამედ პოლიტიკური პოზიციის გამო. ვინმეს სჯერა, რომ მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი დირექტორები და პედაგოგები სცოდავდნენ და „ნაციონალების“ მხარდამჭერებს დარღვევები არ ჰქონდათ?“**

სამხარაძე და მის მდგომარეობაში მყოფები თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ მინისტრის ინიციატივა — „ჩარეცხილებსა“ და მოქმედი სკოლის დირექციების კოჰაბიტაციის შესახებ, განნირული იყო, რადგან ქართულ რეალობაში ძნელად თუ მოიძებნება „ნამუსზე აგდების“ გამო თანამდებობისა და სამსახურის დატოვების მსურველი დირექტორი თუ მასწავლებელი. პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან დათხოვნილი ადამიანები მიიჩნევენ, რომ მათთან მიმართებაში განათლების სამინისტროს მიერ წარმოებული პოლიტიკა კრახით დასრულდა, რადგან ერთეული შემთხვევების გარდა, სამსახურში არავინ აღუდგენიათ.

> **გიგა სამხარაძე: „ჩემს ადგილზე დანიშნულ ადამიანს ჩემს გათავისუფლებაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის და ახლა რა უნდა ვქნა? მივიდე და ვთხოვო ადგილი დამითმოს? ეს ხომ აბსურდია? რაღაც გამოსავალი თავად სამინისტროს უნდა მოეძებნა და სამწუხაროა, რომ ასეთ სურვილს ვერ ვხედავ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, წინა ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილი“ ადამიანების ხელმეორედ ჩარეცხვა მიმდინარეობს, რადგან მოლოდინი, რომ ჩვენი რაიმე სახით რეაბილიტაცია მოხდებოდა, საბოლოოდ დასამარდა. დავუშვათ, არ ვარ ამ რეაბილიტაციის ღირსი, მაგრამ ვიღაც მაინც ხომ უნდა იყოს? პროცესი საერთოდ არ იძვრის ადგილიდან“.**

განათლების სისტემიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულები პრივატულ საუბრებში ხუმრობენ, პოლიტპატიმრების საქმეების განხილვა ანალოგიური ტემპით რომ მომხდარიყო, ციხეებს სიცოცხლის ბოლომდე ვერ დატოვებდნენ.

„კომისიის წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოებას“ ხელმძღვანელი ლაშა მკურნალიძე, ოპონენტთა ბრალდებებს უარყოფს და მათ მოთმინებისკენ მოუწოდებს. მკურნალიძის თქმით, შაშკინის-დროინდელი სამინისტროს მსგავსად, „ზემოდან“ ჩამოწოდებული სიებით რომ ეხელმძღვანელათ, საქმეს 2 საათში დაასრულებდნენ. „სამსახურში დაბრუნების მსურველებს დოკუმენტები კი არა, იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ვთხოვეთ, რაზეც წერილში საუბრობენ. მაგალითად, როცა განცხადებაში წერია, პედაგოგი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ მისი ქმარი საარჩევნო კომისიის დამკვირვებელი ან პარტიის წევრი იყო, მინიმუმ, ამის დამადასტურებელი ცნობა უნდა წარმოადგინოს. რა თქმა უნდა, ვენდობით ამ ადამიანებს, მაგრამ გვჭირდება რაღაც მტკიცებულება და სხვა ადამიანები, რომლებიც გარემოებას დაადასტურებენ. ჩვენ არანაირი ინტერესი არა გვაქვს, კომისიაში მუშაობისთვის ხელფასსაც კი არ ვიღებთ და სრულიად მიუკერძოებლები ვართ, მაგრამ ყველაფერს შესწავლა სჭირდება“, — აცხადებს სპეციალური კომისიის წევრი.

ლაშა მკურნალიძესთან საუბარში „ვერსიამ“ გაარკვია, რომ 1000-მდე განცხადებიდან, დღეისთვის, დასრულებულია 500 განცხადების პირველადი შესწავლა. ის განცხადებები კი, რომელთა განხილვაც კომისიის კომპეტენციას აღემატება, სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურს, რეკომენდაციის სახით, შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა. სპეციალური კომისიის წევრის განმარტებით, სამინისტროს მიერ დაგზავნილ წერილებზე პასუხების მიღებისა და დამუშავების შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, პირველი შედეგები დაიდება.

> **„არის შემთხვევები, როცა ადამიანი ითხოვს სკოლაში აღდგენას, მაგრამ კოლექტივი წინააღმდეგია — პოლიტიკური ნიშნით გაშვებული კი არა, „ნაციონალების ამქარში“ იყო და მასწავლებლებს ათავისუფლებდაო. ასეთი სიტუაცია კარგად თუ არ შეისწავლე, შეიძლება, ერთი ადამიანის ინტერესებს უამრავის ინტერესი გადააყოლო. მაშინ მოხდება კომისიის დისკრედიტირება ჩვენი არაკომპეტენტურობის გამო.**

გვესმის, ამ საქმის მიმართ საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს, ამიტომ ვცდილობთ, კომისიის საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს, სამინისტროს ვებ-გვერდზე პერმანენტულად ვაქვეყნებთ ინფორმაციას, ვატარებთ ღია კარის დღეებს... ერთ-ერთი 12 თებერვალს არის ჩანიშნული. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, მარტო განცხადებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში, არასრულია და მოიცავს ისეთ ტექსტს, როგორიც არის გამათავისუფლეს და გთხოვთ აღმადგინოთო, ჭეშმარიტების დადგენა რთულია. ისინი მაქსიმალურად უნდა დაეხმარონ კომისიას და მიაწოდონ ფაქტობრივი გარემოებები თუ კონკრეტული ფაქტები, რომელთა გადამოწმება შესაძლებელია. ჩვენ იმავე მეთოდებით ვერ ვიხელმძღვანელებთ, რითაც ხელმძღვანელობდა წინა ხელისუფლება, ამიტომ ეს პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. „ზემოდან“ ჩამოწოდებული სიების შემთხვევაში, შეიძლებოდა, ყველაფერი ორ საათში გადაწყვეტილიყო, მაგრამ ასე არ გამოვა. შემოსულ წერილებს სჭირდება სელექცია, დაწყობა, გაცნობა, სასკოლო ვიზიტი, განმცხადებელთან შეხვედრა... ამ ეტაპის შემდეგ, პირველადი შედეგები შეიძლება იყოს ერთ თვეში. ამაზე ადრე, ალბათ შეუძლებელია“, — განმარტავს ლაშა მკურნალიძე.

დაბოლოს, განათლების სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისია პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების მხოლოდ იმ შემთხვევებს განიხილავს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე, ანუ 2012 წლის დეკემბრამდე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი განმცხადებელს აწევს.

სასწრაფოს ექიმებიც გაიფიცებიან?!

ნელი თორდია

რას ჰპირდება სასწრაფო დახმარების ცენტრის ახალი ხელმძღვანელი თბილისელებს?

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში ფინანსური სამსახური, დაახლოებით 10 დღის წინ, სასწრაფოს ექიმების მოთხოვნის საფუძველზე შევიდა. სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ყოფილმა უფროსმა, გიორგი თოდუამ და მისმა მოადგილე რუსუდან ბერიაშვილმა თანამდებობები ახალი წლის წინა დღეებში დატოვეს. ხელმძღვანელობის გადადგომას წინ სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომელთა საპროტესტო აქციები უძღვოდა. ექიმები ბიუჯეტის გამჭვირვალობას, ხელფასების გაორმაგებას, ავტოპარკის განახლებას, სამედიცინო ბრიგადების დამატებას, ფინანსური გამოძიების დაწყებასა და ხელმძღვანელობის შეცვლას ითხოვდნენ.

კულუარული ინფორმაციით, წინამორბედების „ცოდვებზე“ პასუხისმგებლობის მოსახსნელად, სტრუქტურაში ფინანსური პოლიციის შესვლა ცენტრის ახალმა ხელმძღვანელობამაც ითხოვა. ცნობილი გახდა, რომ მაკონტროლებლები სასწრაფო დახმარების ცენტრის ბოლო 6 წლის მუშაობას იკვლევენ. დალუქულია რამდენიმე ოთახი და ამოღებულია ფინანსური დოკუმენტაცია. სასწრაფოს ექიმების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, თუ რატომ გაუარესდა მათი მუშაობის პირობები, როცა ბიუჯეტი იგივეა. სურთ გარკვევა, რა კრიტერიუმით ურიგებდნენ საკმაოდ სოლიდურ პრემიებს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მაშინ, როცა ექიმებს პრემიები არ აუღიათ.

> **სტრუქტურაში არსებული ფინანსური პრობლემები და შიდადაპირისპირება, როგორც მოსალოდნელი იყო, აისახა პაციენტთა მომსახურეობის ხარისხზე. არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი კონტროლის ცენტრის“ განცხადებით, 2012 წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტურობა მკვეთრად შემცირდა. ასევე, გაიზარდა დანიშნულების ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადის მისვლის დრო, იმატა მოსახლეობის ჩივილმა არაეფექტურ მომსახურეობაზე... არსებობს სასწრაფოს დაგვიანების მიზეზით პაციენტთა დაღუპვის შემთხვევებიც.**

„ვერსია“ დაინტერესდა, როგორ აპირებს სასწრაფო დახმარების ცენტრის ახალი ხელმძღვანელი შექმნილი პრობლემების მოგვარებას, რა უნდა გაკეთდეს მომსახურეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, არის თუ არა საკმარისი დღეისთვის არსებული რესურსები თანამშრომელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების მძღოლების მსგავსად, გაიფიცებიან თუ არა, სასწრაფო დახმარების ექიმები.

ცენტრის ახალი დირექტორი **კახა ჩიხრაძე**, რომელიც თანამშრომლებს „ლიმონივით გამოწურვას“ ჰპირდება, „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ სასწრაფოს ექიმებს ხელფასები უკვე მოემატათ, უახლოეს მომავალში, განახლდება ავტოპარკიც, ამიტომ სასწრაფოს თანამშრომელთა მხრიდან აქციების მოწყობის საფრთხე არ არსებობს. **„ჩვენთან საათობრივი ანაზღაურებაა. უფროსი ექიმი საათში 6,1 ლარს იღებს, უმცროსი — 5,4-ს, მძღოლი კი — 4,4-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, გამოდის, უფროსი ექიმი 8 მორიგეობაზე, თვეში 1200 ლარს იღებს. ახლახან ხელფასები კიდევ გავზარდეთ და უფროსი ექიმი 4 დღეში ერთხელ მორიგეობაში 1200 ლარს მიიღებს. მგონი, ეს საკმარისია. მით უმეტეს, დანარჩენ დღეებში სხვა სამსახურშიც შეუძლიათ მუშაობა და ამ მხრივ, შეზღუდვა არ აქვთ. რაც შეეხება გამოძახებაზე დაგვიანების ფაქტებს, დღეს არსებული 80 მანქანიდან, მხოლოდ 70 მუშაობს, დანარჩენები გაფუჭებულია და კეთდება. მერია გვპირდება, რომ დამატებით, 5 მილიონ ლარს გამოყოფს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და მანქანების საყიდლად. როგორც კი ძველ მანქანებს 80 ახალი მანქანა ჩაანაცვლებს, დაგვიანებები აღარ იქნება“,** — აცხადებს კახა ჩიხრაძე.

სასწრაფო დახმარების ცენტრის ახალი ხელმძღვანელის განმარტებით, ავტოპარკის განახლებისთვის საჭირო ტენდერი უკვე გამოცხადდა. 3 თვეში, ეტაპობრივად, დაიწყება ახალი მანქანების შემოყვანა და პროცესი 5 თვეში დასრულდება.

ამ დროისთვის უცნობია, რა დრო დასჭირდება სასწრაფო დახმარების ცენტრის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლას და არის თუ არა ამ დროისთვის კონკრეტული შედეგები. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნათია სუხიაშვილის განმარტებით, ამ დროისთვის გამოძიება მიმდინარეობს და ყველა საინტერესო კითხვაზე პასუხს საგამოძიებო სამუშაოების დასრულებისთანავე მივიღებთ.

„უჯარო გენერალ“ ჭიაბერაშვილს რეგიონში გავლენა არ აქვს!

ნილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულ ზურაბ ჭიაბერაშვილს მუნიციპალიტეტის გამგეობებში „უჯარო გენერლად“ მოიხსენიებენ. კახეთის რვა რაიონის ხელმძღვანელიდან ჭიაბერაშვილთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი არც ერთს აქვს, გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები არც ჟურნალისტებთან საუბარში უარყოფენ ამას. ზოგიერთი გამგებელი განსაკუთრებით რადიკალურია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჭიაბერაშვილთან შეხვედრას არც მომავალში აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი თვეა, კახეთის რეგიონში ქართული ოცნების მხარდამჭერებმა დაიკავეს გამგებლის თანამდებობა, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ამ დრმდე არ ჩატარებულა თათბირი. ზოგიერთი გამგებელი ამბობს, რომ შეხვედრის სურვილი არც ზურაბ ჭიაბერაშვილს გამოუთქვამს.

თავად ჭიაბერაშვილს ამ საკითხზე ჟურნალისტებთან საუბარი არ სურს, მისი მოადგილე გიორგი ბოტკოველი კი ამბობს, რომ ყველა რაიონის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობენ და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ერთად მსჯელობენ.

რას ჩივიან კახელები და რაფომ ვერ ხერხდება კოჰაბიტაცია რწმუნებულსა და გამგებლებს შორის

„გუბერნატორს არ შევხვედრივარ და არც შევხვდები. არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს“, — ასეთ კატეგორიულ კომენტარს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი ჯონი ოსიაშვილი აკეთებს და მიიჩნევს, რომ ჭიაბერაშვილთან შეხვედრის საჭიროება არც მომავალში იქნება.

„თუ ჭიაბერაშვილს, რაიმე საქმე აქვს, წინააღმდეგი არ ვარ, ჩვენს მუნიციპალიტეტს ეწვიოს. ჩამოვიდეს, მობრძანდეს გამგეობაში, ჩვეულებრივად, როგორც სხვადასხვა ჯგუფებსა თუ ჩინოვნიკებს ვხვდები, ისე მივიღებ გუბერნატორსაც. მე კი გუბერნიაში არანაირი საქმე არ მაქვს და, შესაბამისად, ჭიაბერაშვილთან შეხვედრის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ერთადერთი, მხოლოდ წერილობითი ურთიერთობა გვაქვს. ოფიციალური წერილები მივიღე და პასუხი დავუბრუნეთ“, — განუცხადა „ვერსიას“ დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა.

ყვარლის გამგებელი დავით ქევხიშვილიც ამბობს, რომ საჭიროება არ ყოფილა, აქამდე არც გუბერნიიდან გამოუთქვამთ შეხვედრის სურვილი და ამიტომ ისინი ერთმანეთს ჯერ არ შეხვედრიან.

ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ თანამდებობაზე 2012 წლის ოქტომბრიდან მუშაობს. მიხეილ სააკაშვილმა კახეთის გუბერნატორად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი მას შემდეგ დანიშნა, რაც გიორგი ღვინიაშვილმა საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

ქართველი ექსპერტებიც მიიჩნევენ, საქართველოში, კოჰაბიტაციის ფონზე, ამ ეტაპზე გუბერნატორის ფუნქციები გამოკვეთილი არ არის და ვითარება დასალაგებელია. ექსპერტი დემურ გიორხელიძე ფიქრობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებელია, თუმცა ახალი ხელისუფლება ცვლილებებისთვის მზადყოფნას ამ ეტაპზე არ ამჟღავნებს.

„დაულაგებელი სიტუაციაა... გამგებელი მაინც აღმასრულებელი ხელისუფალია ადგილზე... გუბერნატორის ფუნქციები არაა გამოკვეთილი და უფრო ხელისუფლების საზედამხედველო სახის ფუნქციით შემოიფარგლება, თუმცა ავტორიტარულ დონეზე. როცა გადაწყვეტილი არ არის ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, როცა არანაირი თვითმმართველობა აღარ არის დატოვებული ქვეყანაში ძველი ხელისუფლების მიერ, ყველა თანამდებობა პირველი დონიდან საშუალოს ჩათვლით, როგორიცაა გუბერნატორების თანამდებობა, ერთიანი ვერტიკალური დაქვემდებარების კონტექსტშია მხოლოდ გასააზრებელი და გუბერნატორებს რაიმე დამოუკიდებელი ფუნქცია, დამოუკიდებელი რესურსი საკუთარი, ავტონომიური ფუნქციის შესასრულებლად, აღარ გააჩნიათ... რაც შეეხება ამ სიტუაციიდან გამოსავალს, თუ კონსტიტუციურად, ანდა ორგანული კანონის დონეზე, არაფერი შეიცვალა, ეს ფუნქცია პრეზიდენტის უფლებებშია, დღეის მდგომარეობით! ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა არის ღერძული საკითხი, მისი გადაჭრის გარეშე, სულ იქნება პრობლემები. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ხელისუფლება მზადაა ამ ფუნდამენტური საკითხის გადასაჭრელად“, — განუცხადა „ვერსიას“ დემურ გიორხელიძემ.

ზურაბ ჭიაბერაშვილი კონტროლის პალატიდან კვლავაც კახეთში გადატყორცნილ გიორგი ბოტკოველთან ერთად, რომელიც მისი მოადგილეა, რეგიონში გამართულ მხოლოდ რამდენიმე ოფიციალურ ღონისძიებაზე გამოჩნდა. გუბერნატორის რანგში, პირველად, იგი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის ეზოში გამართულ ფიროსმანობის დღესასწაულზე ნახეს, მუზეუმს ეწვია და მალევე გაუჩინარდა, თუმცა იმხანად, კახეთის მუნიციპალიტეტებს ჯერ კიდევ „ნაცმოძრაობის“ გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები მართავდნენ. სწორედ მას შემდეგ დაიწყო მასობრივი წმენდა. თავდაპირველად, ერთმანეთის თანმიმდევრულად, გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები გადადგნენ, შემდეგ კი, თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები გაათავისუფლეს, რომელთა ადგილები „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა დაიკავეს.

გადამდგარ გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს თანამდებობიდან წასვლის მიზეზებზე მედიასთან არ უსაუბრიათ, თუმცა გარკვეულ მინიშნებებს აკეთებდნენ: დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას, ჯერ კიდევ გადადგომამდე ორი დღით ადრე აცხადებდა, რომ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრების მხრიდან თვითმმართველობის ორგანოს უზურპაციის მცდელობას ჰქონდა ადგილი, გადადგომის დღეს კი განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მისი თანაგუნდელების უსაფრთხოების მიზნით მიიღო და დასძინა, დანარჩენ დეტალებზე საუბარი ამ ეტაპზე არ მსურსო.

ზოგადად, გუბერნატორის ინსტიტუტი რომ უფუნქციო გახდა, ამაზე კახეთში რიგითი მოქალაქეებიც ღიად საუბრობენ. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ამჯერად, ჭიაბერაშვილს კახეთში მიმდინარე პროცესებზე კონტროლი დაკარგული აქვს და რეგიონის ცხოვრებაში ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს.

კახეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას — მერების, გამგებლებისა და გუბერნატორების პირდაპირი წესით არჩევის შესახებ გამოეხმაურა. ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, იგი მიესალმება ამ ინიციატივას და მხარს უჭერს: **„როდესაც 9 წლის წინ ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინვე დაიწყო დეცენტრალიზაციისკენ სვლა. ამის მაგალითი იყო 2006 წელს თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა. ეს საკითხი მოითხოვს სერიოზულ დებატებს საქართველოს პარლამენტში. პირველ რიგში, არჩევნებამდე ამას სჭირდება პარლამენტში შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რომლის შემდეგაც, უკვე შესაძლებელი იქნება, ვილაპარაკოთ გუბერნატორების არჩევაზე“.**

„შს დაბალ კრიმინოგენულ ვითარებას ინარჩუნებს“

„მიუხედავად უპრეცედენტო შეწყალებისა და განხორციელებული ამნისტიისა, სამინისტრომ შეინარჩუნა დაბალი კრიმინოგენული ვითარება და კიდევ უფრო აძლიერებს ამ კუთხით მუშაობას“, — განაცხადა შს მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით შს სამინისტროა უსაფრთხოების გარანტი და საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფას არ დაუშვებს.

რაც შეეხება, უშუალოდ, უწყების განვითარების მოკლევადიანი სტრატეგიის პრეზენტაციას, სტრატეგია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც შსს-მ დასავლელი მეგობრების რეკომენდაციები გაითვალისწინა: **„გასულ კვირას, ვაშინგტონში ჩემი სამუშაო ვიზიტის დროს, ეს სტრატეგია პარტნიორებს გავაცანი. ამერიკელმა პარტნიორებმა მას მხარი დაუჭირეს და მისი განხორციელების გზაზე მხარდაჭერა აღგვითქვეს. ვსარგებლობ შემთხვევით და სამინისტროს სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო მათ“.**

2013 წლის შსს განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტებია: სისტემის დეპოლიტიზება, ადამიანის უფლებების დაცვა, რესტრუქტურიზაცია, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, პოლიციელებისთვის ქცევის წესების რეგლამენტაცია, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება...

„ინტერპრესნიუსი“

„ქართულმა ოცნებამ“ ინციდენტებში მონაწილე პირთა გვარები შსს-ს გადასცა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც რაიონული ორგანიზაციების დაფუძნების პროცესში დესტრუქციულ ქმედებას განახორციელებს, მკაცრ რეაგირებას აპირებს, — ამის შესახებ სპეციალური განცხადება, პოლიტსაბჭოს სახელით, პარტიის თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ გააკეთა. იგი დარწმუნებულია, რომ მთელ რიგ რაიონებში მომხდარი ინციდენტები იყო მართული და მათ უკან დგას ის პოლიტიკური ჯგუფი, ვისაც არ აწყობს პარტია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბება და მისი სტრუქტურული გაძლიერება.

მანანა კობახიძემ აღნიშნა, რომ გამიზნულად ხორციელდება კონფერენციების ჩაშლა, დარბაზებში შეჭრა და სხვა დესტრუქციული ქმედებები. ამ კონტექსტში, მან პირველ რიგში, აქცენტი გააკეთა ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე და დააფიქსირა, რომ არსებობს ეჭვი — სხვა პოლიტიკურ ძალებში „ნაცმოძრაობის“ მხრიდან ადამიანები არიან ჩანერგილნი, რომლებიც დამფუძნებელ კონფერენციებზე დესტრუქციულ ქმედებებს აწყობენ:

„მივმართავთ მათ, ჩვენ ვიქნებით ძალიან მკაცრნი იმ პირების მიმართ, ვინც შეეცდება, განახორციელოს ასეთი ქმედებები“. მანანა კობახიძის თქმით, რუსთავის ორგანიზაციიდან უკვე გაირიცხა სამი წევრი — ბერიძე, ჯალაღანია და ნანეტაშვილი, ხოლო ხონის რაიონის ორგანიზაციიდან — სანოძე. ამასთან, შს სამინისტროს გადაეცა სხვადასხვა ინციდენტში მონაწილე პირთა გვარები, რათა უწყებამ დაადგინოს, ვინ არიან ეს ადამიანები და რა კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ.

„ინტერპრესნიუსი“

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია 2013 წლის პირველ ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2013 წლის იანვარში გაწეულ ხარჯებს.

პირველი იანვრისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 116183.70 ლარი. იანვრის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 47136.64 ლარი.

ორგანიზაციის მიერ 2013 წლის იანვარში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენილი.

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში) 01.01.2013 – 01.02.2013

შემოსავლები

№	თანხა	შენიშვნა
1.	116183.70	ნაშთი 2013 წლის 1 იანვრისთვის

ხარჯვითი ნაწილი

№	დანიშნულება	ფაქტიური ხარჯი	შენიშვნა
1.	ხელფასები	37131.64	
2.	ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი ხელფასიდან	8000	
4	საშემოსავლო გადასახადი მომსახურებიდან	2000	
21.	ბანკის მომსახურება	5	
	ჯამი	47136.64	
	ნაშთი, 2013 წლის 01 თებერვლისთვის	69047.06	

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
6 თებერვალი

ᲯᲕᲠᲘᲗᲘ — ეს დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჭეშმარიტად მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც ეოველთვის შეუძლია. დღეს სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია — პოტენციურ პარტნიორებს სწორედ იქ შეხვდებით, სადაც გასართობად მიდიხართ. სამსახურში სიურპრიზებიც გელოდებათ — კოლეგასთან რომანის ან მსუბუქი ფლირტის სიტუაცია იკვეთება.

ᲙᲣᲠᲝ — წარმატებას თქვენი უნარის წუალობით მიაღწევთ, რაც უცნობ სიტუაციაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი. ნებისმიერი ადამიანის მოსიბეზდა ადვილად შეგიძლიათ, მაგრამ ეს ხიბლი საეკარელ ადამიანზე არ მოქმედებს. უფრო მეტიც, ის თქვენს ხასიათში ნაკლს ეძებს. ამას იუმორით შეხედეთ, სიტუაცია კამათსა და წუენაში რომ არ გადაიზარდოს.

ᲪᲣᲬᲔᲑᲘ — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ. სამსახურის საქმე დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ და ამ კარგ მაგალითს მიბაძეთ. დღეს დიდია ალბათობა ახალი ნაცნობობისა ან დიდი ხნის უნახავ ადამიანთან შეხვედრისა. შესაძლოა, სერიოზული რომანტიკული ურთიერთობის დაწუებაც. ვისაც საკუთარი არჩევანი ჯერ კიდევ აეჭვებს, სჯობს, პირად ცხოვრებაში ცვლილებებზე დაფიქრდნენ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — თქვენთვის სასიამოვნო დღეა, კომფორტული და მშვიდი. ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა რაღაც ცვლილებები მაინც მოსალოდნელია. შესაძლოა საქმიანი ურთიერთობა საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან, თუმცა შედეგი მაინც თქვენთვის სასიკეთო იქნება. არც პირადი ცხოვრება მოგცემთ შეშფოთების მიზეზს, თუნდაც იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ სფეროში მოსალოდნელი არ არის.

ᲚᲝᲛᲘ — ეკონომიური თვალით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფულოდ დარჩებით. ზედმეტი მფლანგველობის გამო, გარკვეული გეგმების განხორციელების გადადება მოგიწევთ. შეეცადეთ, ამ მდგომარეობამ განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას მიეკვეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, შესაძლოა, დაიძაბოს — ეს მხოლოდ თქვენსა და თქვენს საქციელზე დამოკიდებული.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — არც ისეთი სასიამოვნო დღეა ქალწულებისთვის — მოსაწყენი პერიოდი გელით. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. ბევრი რამის ინტერესს კარგავთ. შეეცადეთ, ახალი სფერო გამოძებნოთ: გაქვთ შანსი, აქაც წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა მოთმინებასა და კეთილგანწყობას მოითხოვს, მოგიწევთ ადიარება, რომ საეკარელ ადამიანს აქვს სისუსტეების უფლება, ზოგიერთი ნაკლი კი — გამოუსწორებელი.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — არც ისე ცუდი დღეა. საუკეთესო შედეგების მისაღწევად ამ ნიშნის წარმომადგენლებს აქტუალური პრობლემებით დაკავება მოგიწევთ. მომავალზე ფიქრის დრო ცოტა მოგვანებით გექნებათ. შესაძლოა წარმატება კარიერაში, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია, მაინც გსურთ ახალი შთაბეჭდილებების მიღება, თავგადასავლებისა და მოგზაურობისკენ ისწრაფვით.

ᲪᲠᲘᲐᲜᲘᲙᲐᲚᲘ — დღეს აღმოაჩენთ, რომ ყველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან კიდევ დიდი ძალისხმევა გეჭიროდათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას, ენდეთ საკუთარ ინტუიციას. მოსალოდნელია უმიზეზო კამათი საეკარელ ადამიანთან, რადგან დღეს ძალიან გიჭირთ ერთმანეთის გაგება. კარგი დღეა მეგობრებთან ურთიერთობისთვის.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ — საკმაოდ წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. ვისაც მსხვილ საეიდლებზე სურს წასვლა, სჯობს, თავი შეიკავოს, რადგან ამ მხრივ, დღეს გაუთვალისწინებელი სირთულეები გელით. ემოციური ფონი სტაბილურია. კარგი ურთიერთობა გაქვთ ახლობლებსა და ნაცნობებთან. კარგი დღეა დიდ კამპანიაში დროის გასატარებლად — არ აქვს მნიშვნელობა, თქვენ მიიღებთ სტუმრებს თუ სხვასთან წახვალთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — ეველანაირად წარმატებული დღეა. არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ, არც ერთი წინააღმდეგობა — გადალახავი. ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ. დასკვნების გამოტანასაც ნუ იჩქარებთ, თუკი დამსახურებული ჯილდო იგვიანებს — თქვენ მას აუცილებლად მიიღებთ. პირად ცხოვრებაში დღე მოულოდნელობებით აღსავსე იქნება. ნუ ეცდებით თქვენი რჩეულთან მანიპულირებას: უფრო მეტს მიაღწევთ, თუკი მას პირდაპირ ეტყვით, რა გინდათ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — საქმიანი ურთიერთობებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. განსაკუთრებით კი მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში ან საქმიან, გასვლით ღონისძიებაზე გაემგზავრება. ხელფასის მომატების მსურველებსაც შესაფერისი დღე აქვთ — ასე რომ, ხელმძღვანელობას დაელაპარაკეთ. კითვალისწინეთ, რომ არც ისე კარგი დღეა აქტიური დასვენებისთვის. მოინახულეთ ძველი მეგობრები, მაგრამ გეიანობამდე ნუ დარჩებით გარეთ. შესაძლოა, ამან დაძაბოს ურთიერთობა ახლობლებთან.

ᲗᲕᲔᲖᲘ — თევზებს დღეს ახალი შესაძლებლობები ეხსნებათ, რომლითაც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლონ. კოლეგები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს დიდად აფასებენ. დღეს შეგიძლიათ საეკარელ ადამიანთან ურთიერთობები გაამყაროთ, მოიპოვოთ მათი ნდობა, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘ

ფოტოსურათების გავრცელების პროგრამა Instagram, რომლის ატვირთვაც სმარტფონებშია შესაძლებელი, ამერიკელებს საკმაოდ უჩვეულო პროექტს სთავაზობს. Cocoagraph — გემრიელი შოკოლადია, რომელზეც თქვენი საყვარელი ფოტოა დატანილი. პროექტის ორგანიზატორები კლიენტის რჩეულ ფოტოსურათს პირდაპირ ამ „ღვთაებრივ“ საკონდიტრო ნაწარმზე ბეჭდავენ. შემკვეთის სურვილი და მოთხოვნა მაქსიმალურად რომ დაკმაყოფილდეს, მათ უფლება აქვთ, სურვილისამებრ, შეარჩიონ რძიანი, თეთრი ან შავი შოკოლადი. არჩეულ დესერტს კი, უმაღლესი ხარისხის ტექნოლოგიებით, მაღალკვალიფიციური პერსონალი ამზადებს. შოკოლადი, რომელზეც თქვენი სამახსოვრო ფოტოსურათია ამობეჭდილი, 8,50 დოლარი ღირს.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ №16Ა
ᲢᲔᲚ.: (5)99 22 98 33
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

3	4	1	6	9	8	7	5	2
2	7	9	4	1	5	3	8	6
6	8	5	3	7	2	1	9	4
8	3	2	9	5	7	4	6	1
1	9	6	2	4	3	8	7	5
7	5	4	8	6	1	2	3	9
9	6	3	7	2	4	5	1	8
5	2	8	1	3	9	6	4	7
4	1	7	5	8	6	9	2	3

რთული

3	4	2	7	8	6	5	1	9
9	1	5	4	3	2	7	6	8
8	7	6	5	1	9	4	3	2
6	5	4	8	7	3	2	9	1
2	3	1	9	6	5	8	7	4
7	9	8	2	4	1	6	5	3
4	6	9	3	5	8	1	2	7
1	2	7	6	9	4	3	8	5
5	8	3	1	2	7	9	4	6

საშუალო

2	8	5	1	9	7	6	4	3
6	7	3	5	4	8	2	9	1
4	1	9	6	3	2	8	7	5
8	4	2	7	1	6	5	3	9
1	9	7	3	8	5	4	2	6
5	3	6	4	2	9	1	8	7
7	2	1	9	6	4	3	5	8
9	6	4	8	5	3	7	1	2
3	5	8	2	7	1	9	6	4

ეჭვიანი

5	4	3	1	7	2	6	9	8
7	2	8	9	6	5	4	3	1
9	1	6	8	4	3	2	7	5
4	7	5	6	9	1	8	2	3
8	9	2	3	5	7	1	4	6
6	3	1	4	2	8	7	5	9
3	6	9	7	1	4	5	8	2
2	8	7	5	3	6	9	1	4
1	5	4	2	8	9	3	6	7

ჰოროსკოპი
7 თებერვალი

ვერძი — დღეს ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების დადებას ან საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღებას. ეს უველაფერი, შესაძლოა, თქვენთვის სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს და როცა ამას მიხვდებით, უკვე გვიან იქნება. დღეს ვარსკვლავები არც ძველი პროექტების წინ წამოწევას გირჩევენ, რადგან ამ საქმეში დაინტერესებული პირები გაცილებით ნაკლებნი იქნებიან, ვიდრე თქვენ ფიქრობდით.

კურო — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ, დაწყებული საქმე ბოლომდე წარმატებით მიიყვანონ, თუმცა არ არის გამორიცხული სერიოზული ინტელექტუალური ბრძოლა. მზად იყავით იმისთვისაც, რომ ახლანდელი მოკავშირეები კონკურენტების ან არაკეთილშესურნეთა ბანაკში გადაბარგდებიან.

ტყუპები — საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ. დისკუსიაში ჩართვის ცდუნება დიდი იქნება, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ და ეჭვიც არ გეპარებათ, რომ თქვენს მოსაზრებას უურადღებას მიაქცევენ.

კირჩხიბი — იმ საქმეებისადმი გაგიჩნდებათ ინტერესი, რასაც აქამდე მხოლოდ ინერციით აკეთებდით. შესაძლოა, ემოციები ვერ შეიკავოთ იმ ადამიანთან, რომელიც თქვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. გაჩნდება ახალი საფიქრალი თემა და ახალი გეგმების დაწყების სურვილი. გუზიარეთ აზრები ადამიანს, რომელიც საქმის მცოდნე და გამოცდილია.

ლომი — ლომებს დღეს თავის კანებიერება შეუძლიათ: ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას ჭბირდებიან. მხოლოდ ახლად გაცნობილ ადამიანებთან ფრთხილად იყავით — არის რისკი, ზედმეტი წამოგცდეთ, რაც უსიამოვნებას მოგიტანთ, თუმცა თქვენი ღიმილი და მომხიბვლელობა უველაზე უკეთესი დაცვაა „კეთილისმსურველებისგან“.

ქალწული — დღეს პრაქტიკულად უველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. ალღოს წუალობით თავს საარიდებთ უსარგებლო სარჯებსა და უპერსპექტივო დაბანდებებს. დღეს სასურველი არ არის კონტაქტები სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სასწორი — შეგიძლიათ სახლში, შინაურებთან ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ უველაფერს და საამოვნებით მოგისმენენ ამ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ. სდამო, სჯობს, რომანტიკულ შეხვედრასა და საუბრებს დაუთმოთ — მიეცით საკუთარ თავს შანსი, სასიამოვნო სიტყვები მოისმინოთ.

ღრიანკალი — სასიამოვნო საუბრები გელით მეგობრებთან ან ახლობლებთან. ოჯახური პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ახლო ნაცნობებთან სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეთ. დღეს შესაძლოა, ინტუიციამ გიდალატოთ, ამიტომ ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას, უფრო მეტად ლოგიკასა და ჯანსაღ აზროვნებას ენდეთ.

მშვილდოსანი — კარგი დღეა შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. გარშემომყოფებიდან ბევრი მიხვდება, რომ ნამდვილად მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ, თუმცა მისი განმარტება ნამდვილად არ ღირს, სჯობს, უფრო შესაფერის მომენტს დაელოდოთ.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის ეს დღე გონებრივი სამუშაოსთვის არის სასურველი. საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწევთ, მოვლენების ორომტრიალში თუ იოდლად გარკვევთ. შეგიძლიათ არა მხოლოდ გეგმების განხორციელების გზას მიაგნოთ, არამედ საქმესთან დაკავშირებით კარგი რჩევები მისცეთ ახლობლებსაც.

მერწყული — თუ თქვენ ზუსტად იცით, რა უნდა გააკეთოთ, ამ საქმიანობის შედეგი აუცილებლად წარმატებული იქნება. შეგიძლიათ ახალი პროექტის წამოწყებაზე იფიქროთ ან ახალ ნაცნობობაზე. მეგობრებისა და ახლობლების რჩევები პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით თქვენთვის დროული და სასარგებლო იქნება.

თევზები — თევზებს დიდი ძალისხმევის გაღება მოუწევთ, გარშემომყოფებს რომ დააჯერონ ის ინფორმაცია, რომელსაც თავად მიაწვდიან. ამასთან, რაც მეტ ენთუზიაზმს გამოიჩენთ და საკუთარ აზრს დაიცავთ, მით ნაკლები შანსი გექნებათ, წარმატებას მიაღწიოთ.

სპერმას ძვლის ტვინისგან მიიღებენ

გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა ადამიანის ძვლის ტვინის ლულოვანი უჯრედებიდან სპერმატოზოიდების წინამორბედი-უჯრედების მიღება შეძლო. ამგვარად, შეიძლება ითქვას, მეცნიერებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნური სპერმის მიღების საქმეში. გამოკვლევა გეტინგენის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში ჩატარდა. გერმანელმა სწავლულებმა მოხალისე მამაკაცების ძვლის ტვინის ნიმუშებიდან აღებული ლულოვანი უჯრედები გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში ეს უჯრედები დიფერენცირდება ძვლის, ხრტილის, კუნთოვან ან ცხიმოვან უჯრედებში. მკვლევარებმა შეძლეს უჯრედების დიფერენციაციის მიმართულების შეცვლა და ისინი სპერმატოგონინად — ჩამოყალიბებული სპერმატოზოიდების წინამორბედებად აქციეს, რომლებიც ქრომოსომათა ორმაგ ნაკრებს შეიცავს. სრულყოფილ სპერმატოზოიდებად გადაქცევისთვის, სპერმატოგონინებმა მეიოზის დაყოფა უნდა გაიარონ, რომლის დროსაც მათში ქრომოსომათა რიცხვი ორჯერ მცირდება. პროცესის ამ სტადიამდე მიყვანა ლაბორატორიულ პირობებში ვერ მოხერხდა. ადამიანის ძვლის ტვინისგან სრულყოფილი სპერმის მისაღებად, როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ, კიდევ 3-5-წლიანი გამოკვლევებია საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცხადი, მსგავსი ტექნოლოგიები დაიმკვიდრებს თუ არა ადგილს მედიცინაში, კერძოდ კი, მამაკაცის უნაყოფობის მკურნალობაში.

მილიონერი სუფთა ჰაერს ჰყიდის

შესაძლოა, ამ პროდუქტმა ვერ შეცვალოს ეკოლოგიური სიტუაცია პეკინში, მაგრამ გამვლელების ღიმილს აუცილებლად დაიმსახურებს. ექსცენტრულმა ჩინელმა მილიონერმა ჩენ გუანბიაომ რკინის ქილებით სუფთა ჰაერის გაყიდვა გადაწყვიტა. რამდენიმე დღის წინ, ჰაერის დაბინძურებამ ჩინეთის დედაქალაქში კვლავ დაუშვებელ ნორმას მიაღწია. როგორც მეწარმე ამბობს, მისი ჰაერი ქვეყნის პერიფერიულ რეგიონებშია მოგროვილი, სადაც კარგი ეკოლოგიური მდგომარეობაა. ბიზნესმენმა მილიონები ნაგვის უტილიზაციით იშოვა, ასევე ქვეყნის მთავარ ქველმოქმედად მიიჩნევენ. მილიონერის თქმით, თუ ცოტა ხანში პეკინში სიტუაცია არ შეიცვალა, სუფთა ჰაერის გაყიდვა არა მხოლოდ ეკოლოგიური აქცია, არამედ რეალობა გახდება. 10 წლის შემდეგ, შეიძლება, აირწინაღებით სიარული დაგვჭირდეს, — აცხადებს ბიზნესმენი. სუფთა ჰაერის თითო ქილა 5 კი იუანი, დაახლოებით, 80 ამერიკული ცენტი ღირს. გაყიდვებიდან შემოსულ სრულ თანხას ჩენი, ტრადიციულად, ქველმოქმედებას მოახმარებს.

ყავა და სიგარეტი იცავს პარკინსონიზმისგან

ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით, პარკინსონით დაავადებული ადამიანები ნაკლებად არიან მწეველები და ყავის გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მოიხმარენ, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები. მკვლევართა აზრით, ყავასა და ნიკოტინს მართლაც შეუძლია, დაიცვას ტვინი ნეიროდეგენერაციული დაავადებებისგან. მოწევის კავშირი პარკინსონიზმის განვითარების დაბალ რისკთან დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისთვის. ამავე დროს, ბევრი ექსპერტი ამ დაავადებას გენეტიკურად მიიჩნევს. ამ ჰიპოთეზის შემოწმება მაიამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გადაწყვიტეს. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო პარკინსონით დაავადებულმა 356-მა ადამიანმა და 317-მა ასაკოვანმა მოხალისემ, რომელთა ახლო ნათესავებსაც ამ დაავადების პირველი ნიშნები გაუჩნდათ. გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პარკინსონიზმით დაავადებულებში მწეველი 40%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ჯანმრთელ მოხალისეებში. გამოკვლევების მონაწილეებს შორის ყავის მოყვარულებიც 40%-ით ნაკლებად აღმოჩნდნენ. როგორც კვლევების ავტორები აღნიშნავენ, მიზეზები, რომელთა გამოც, ყავისა და სიგარეტის მოხმარება პარკინსონიზმის განვითარების რისკს ამცირებს, ჯერჯერობით უცნობია. ამავე დროს, ეს კანონზომიერება შეიძლება დოფამინურ ცვლას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ პარკინსონიზმს ნეირონების მასობრივი სიკვდილი იწვევს, რომლებიც სწორედ ამ ნეირომედიატორს გამოიმუშავებს. ყავასა და ნიკოტინს კი შეუძლია, თავის ტვინში მისი დონე ანიონ. გარდა ამისა, ზოგიერთი გამოკვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ნიკოტინს შეუძლია ნეიროტოქსინების ბლოკირება, რომლებიც დოფამინის გამომამუშავებელ ნერვულ უჯრედებს ანადგურებს.



პირველი გამჭვირვალე სმარტფონი

გამჭვირვალე ტელეფონის შექმნა ტაივანის ნაკლებადცნობილმა კომპანიამ Polytron Technologies შეძლო. გამჭვირვალე სმარტფონი, ძირითადად, შუშისგანაა დამზადებული, გამჭვირვალე და დრეკადი ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით, აღჭურვილია სენსორული ინტერფეისით. კომპანიის განცხადებით, ახალი სმარტფონი წელს, ბარსელონას გამოფენაზე Mobile World Congress იქნება წარმოდგენილი. გამჭვირვალე ტელეფონის პროტოტიპის პრეზენტაციისას ფირმის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათი ქმნილება ხელმისაწვდომი უკვე წლეულსვე გახდება, თუმცა ავტორები აღიარებენ, რომ ახალ სმარტფონს ჯერჯერობით, ბევრი ნაკლი აქვს და მასზე მუშაობას გააგრძელებენ. მაგალითად, მომხმარებელს გამჭვირვალე ეკრანზე ტექსტის კითხვა გაუჭირდება, გარშემომყოფებიც უპრობლემოდ დაინახავენ სმს-ს ტექსტს, რაც ცოტა არ იყოს, უხერხულია.

სუდოკუ

ადვილი

			8					
1	3	2					7	
			3				4	9
7	2	8		6				
		4		3		1		
				4		2	5	8
3	6				2			
	9					6	1	2
					9			

სტანდარტი

					8		6	
		7	2			9		3
9		5		4		2		
	5				4		7	
4								6
	7		3				2	
		2		3		8		7
5		8			2	6		
	3		4					

რთული

			7			1		
	8	2	6			3		
	5	1						
			5					4
	3		8		9		6	
4					2			
						6	5	
		4			1	7	2	
		3			7			

ექსპერტი

		5	3	2			4	
		8		9	4			6
9		7		3		1		
	8						3	
		1		6		4		2
3			1	8		6		
	2			4	9	8		



სპორტდარბაზში ვარჯიშს კიბეზე სიარული ჯობს

ამერიკელი სწავლულები ორეგონის უნივერსიტეტიდან აცხადებენ, რომ ლიფტით სარგებლობაზე უარის თქმა და კიბით სარგებლობა სპორტდარბაზში გატარებული დროის ტოლფასია. მკვლევარები აცხადებენ, რომ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლით ნებისმიერი ასაკის ადამიანი ფიზიკურად ვარჯიშობს და სხეულს იმკვრივებს. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვინც მთელი დღე ოფისში ზის. მეცნიერები ადამიანებს ურჩევენ, ბევრი იმოძრაონ. მათი თქმით, სპორტდარბაზში ვარჯიშისთვის ბევრს ფინანსური შესაძლებლობა ან დრო არ აქვს, ამიტომ მსურველებს მარტივ გზას სთავაზობენ — სუფთა ჰაერზე ისეირნეთ, სახლამდე დარჩენილი ორი გაჩერება მაინც გაიარეთ ფეხით და მობილურ ტელეფონზე საუბრისას, ერთ ადგილას ნუ გაჩერდებით. ეს ხერხი ეფექტურიც არის და არც თანხა დაგეხარჯებათ.

ჩვილებისთვის სუნამო შექმნეს

ცნობილი იტალიური ბრენდი Dolce&Gabbana აპირებს, პარფიუმი პატარებისთვისაც გამოუშვას, რომელიც 45 დოლარი ეღირება. ჩვილებს ისედაც სასიამოვნო სურნელი ასდით, ამიტომ მათთვის სუნამოს შექმნის ინიციატივამ გაოცება გამოიწვია. ავტორები კი მიიჩნევენ, რომ ახალი არომატი უფრო გააძლიერებს ბავშვების სუნს და ბევრის გულს დაიპყრობს. სტეფანი გაბანას თქმით, პარფიუმი იმისთვის იქმნება, რომ „მოეფერონ და გაანებივრონ ყოველი პატარა. პატარებისთვის განკუთვნილი ოდეკოლონი ორივე სქესის ბავშვებისთვის გამოდგება. პარფიუმს ნესვის, თაფლისა და ციტრუსების არომატი აქვს, თუმცა ეს ამბავი უკვე გააკრიტიკეს ექსპერტებმა და მშობლებმა. მათი განცხადებით, პატარების ბუნებრივი სურნელი მსოფლიოში საუკეთესოა და ამიტომ არ სურთ, ის გლამურული არომატით გადაფარონ. არც პედიატრები ურჩევენ მშობლებს ჩვილებისთვის სუნამოს გამოყენებას, რადგან ტუალეტის წყალი, შესაძლოა, შეიცავდეს მავნე ქიმიკატებსა და ტოქსინებს, რაც ბავშვებში სუნთქვის პრობლემებს იწვევს.

ბედნიერების მთავარი პირობა საჭელია

როგორც ბრიტანელი მკვლევარები ირწმუნებიან, საკვები არა მხოლოდ უპირველესი აუცილებლობაა ადამიანის სიცოცხლისთვის, არამედ მთავარი პირობაც ბედნიერებისთვის. ამ თემას მიუძღვნეს სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან გამოკვლევა იმის დასადგენად, რა კავშირია მოხმარებულ პროდუქტებსა და ადამიანის განწყობას, კერძოდ ბედნიერების შეგრძნებას შორის. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ პროდუქტს უფრო მეტი გავლენა აქვს ადამიანის განწყობაზე. ამ რეიტინგში ლიდერის პოზიციაზე შემწვარი კარტოფილიცაა, რომელიც ძალიან გემრიელია და მადას აღძრავს, მერე მხოლოდ კუჭს კი არ ანაყრებს, ემოციურ მდგომარეობასაც აუმჯობესებს. მეორე ადგილი სიაში კლასიკურმა ტკბილეულმა დაიკავა — შოკოლადი, ტორტი ან ნამცხვარი. მესამეზე აღმოჩნდა შავი და წითელი ხიზილალა. თუმცა, ამ შემთხვევაში, იმდენად გემობრივი შეგრძნება არ მოქმედებს, რამდენადაც ფსიქოლოგიური. ხიზილალა ხომ კეთილდღეობასა და სიმდიდრესთან ასოცირდება.

დეპრესიას წიგნი ყურნავს

ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ფსიქოლოგიური წიგნები ამ სენს გაცილებით ეფექტურად შველის, ვიდრე ანტიდეპრესანტების მიღება. გლაზგოელი სპეციალისტების გამოკვლევაში 200 მოხალისე მონაწილეობდა, ნაწილს სამკურნალო აბებს აძლევდნენ, ნაწილს კი წიგნებს სთავაზობდნენ, რომელიც პაციენტს ფსიქოლოგიური პრობლემის თავად გამკლავებას ასწავლის. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ „მკითხველთა“ ჯგუფს მკურნალობის უკეთესი დინამიკა ჰქონდა, ვიდრე ანტიდეპრესანტების მომხმარებლებს. ლიტერატურა, რომელსაც ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებს სთავაზობენ, საუბრების მეთოდით მკურნალობის პრინციპებს შეიცავს. ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანს შეუძლია, საკუთარი აზროვნება წიგნების მეშვეობით შეცვალოს, თუმცა აღიარებენ, რომ საუკეთესო ეფექტი კომპლექსური მკურნალობით მიიღწევა.

განქორწინებას უნიტაზზე აფორმებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, განქორწინების ყველა მსურველს, ერთ-ერთი ტაძარი მეტად უჩვეულო ცერემონიას სთავაზობს. არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ოჯახი არ აეწყო, მაშინ სავსებით შესაძლებელია მისი უნიტაზში „ჩარეცხვა“. თავად ცერემონია რამდენიმე ეტაპისგან შედგება. დასაწყისში ცოლსა და ქმარს სთავაზობენ, ქაღალდზე დაწერონ, რამ გააღიზიანათ ყველაზე მეტად ოჯახურ ცხოვრებაში და რატომ გადაწყვიტეს განქორწინება, შემდეგ, ცუდი კარმისგან უნდა გათავისუფლდნენ — დაწერილი „დოკუმენტი“ სტუმრების თვალწინ უნდა დახიონ და კანალიზაციას გაატანონ. სხვათა შორის, ცერემონიაზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. ამ უჩვეულო განქორწინების მესამე ეტაპი კი ოჯახური ურთიერთობების გაწყვეტის მიზეზების „საზეიმოდ“ გახმოვანებაა. უნდა აღინიშნოს, რომ „შორეულ ნაოსნობაში“, ქაღალდის გარდა, შეიძლება საქორწინო ბეჭდები, ოჯახური ფოტოები და სხვა ნივთებიც „გაამგზავროთ“. აქ ყველაფერი უკვე მეუღლეთა განაწყენების ხარისხსა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

ხათუნა ქევხიშვილს!

ჩვენ თბილ, ჭკვიან, კეთილ, საოცარი დადებითი მუხტის მქონე ადამიანს, ულამაზეს ქალს, სამაგალითო დედას და ყველაზე ახალგაზრდა, ენერგიულ ბებიას, ვულოცავთ დაბადების დღეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და შენი საყვარელი ადამიანების კეთილდღეობითა და ბედნიერებით დატკბობას. უფალი გფარავდეს!

„ვერსიელები“

გიგა ხავთასს!

„ვერსიის“ ყველაზე ჩუმ, კეთილ, ალალ თანამშრომელს, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ, ულამაზეს ცხოვრებას, კარიერულ წინსვლას, წარმატებას პირად ცხოვრებაში, დაწყვილებას, გამრავლებას. უფალი გფარავდეს, ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად.

„ვერსიელები“

სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულისფერი გამოფენა“

9 თებერვალს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეგრაფიის მუზეუმში სერგო ფარაჯანოვის გამოფენა სახელწოდებით „ბროწეულისფერი გამოფენა“ გაიხსნება.

გამოფენის ორგანიზატორია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

სომხური წარმოშობის ქართველი და საბჭოთა კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი 1924-1990 წლებში მოღვაწეობდა. მისი ნამუშევრები, ძირითადად, კავკასიის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავს.

ფარაჯანოვის პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ (1964), რომელმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა მისი ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღნერით, ხოლო ნამუშევარი „ბროწეულის ფერი“ (1969) თბილისელ პოეტ საიათნოვას ცხოვრებას ასახავს. ფილმმა საბჭოთა მთავრობა განარისხა, რომლის აზრით, იგი დელიკატურ ნაციონალურ საკითხებს ეხებოდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

მარინა ხავთასის გახსენება

მაშინ მითხრეს, რომ დრო ტკივილს გაანელებდა და ყველაფერს განკურნავდა... ტყუილია! არაფერიც არ იცვლება, დე. თუ მივუყურადე, ტკივილი ისეთივე ძლიერია. არა, ვერც ამ ტკივილთან ერთად ცხოვრება ვისწავლე. უბრალოდ, ის მოვახერხე, ამაზე აღარასდროს ვიფიქრო... და დღემდე გელოდები. საკუთარი თავი დავაჯერე, რომ იმ მივლინებიდან აუცილებლად დაბრუნდები და იმასაც ნახავ, ყველა პირობა რომ მაქვს იმისთვის, ბედნიერი ვიყო, ლუკასაც ნახავ...

მაგრამ არ გამომივიდა ბედნიერება უშენოდ, დე. არავის გამოგვივიდა და არც არასდროს გამოგვივა. არც ის გამომივა, 7 თებერვალს, შენ დაბადების დღეს, ცრემლის გარეშე შევხვდე... ამ დღეს ხომ, მინდა თუ არა, რეალობას ვეჩეხები და... ყველას და ყველაფრის მიუხედავად, უფლის რწმენის მიუხედავად, არ მინდა იმ სამყაროში ცხოვრება, სადაც შენ არ ხარ!

ნინო ლურსმანაშვილი

ზურაბ გვანცელაძის გახსენება

„და ხორციელად თვალის ექიმი,
სულიერადაც იყო ჰკურნალი“.
აკაკი წერეთელი

2008 წლის 6 თებერვალს უდროოდ წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა უზომო ტკივილი და მონატრება. საქართველოს მოუკლეს ახალგაზრდა, ღირსეული, პრინციპული, გულისხმიერი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ექიმი-ქირურგი, ოფთალმოლოგი ზურაბ გვანცელაძე.

ზურაბი იყო შესანიშნავი ექიმი, მკვლევარი და მოსიყვარულე მამა. მან თავისი ნიჭიერებითა და გულისხმიერებით პროფესიულ საქმიანობაში უდიდეს წარმატებას მიაღწია.

სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1994 წელს, ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატურაში, ზოგადი ქირურგიის სპეციალობით, ლაზერული ქირურგიის კურსით. 1995-1999 წლებში მუშაობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიმღები განყოფილების ქირურგად. 1996 წლიდან მოღვაწეობა განაგრძო თვალის მიკროქირურგიის კლინიკა „ოფთალმიჯის“ მთავარ ექიმად.

1998-99 წლებში ზურაბმა სასწავლო კურსი გაიარა რეფრაქციულ ქირურგიაში ქ. მოსკოვის ფიოდოროვის სახელობის თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო ცენტრში, სადაც დაეუფლა რეფრაციულ ქირურგიის სრულ და დახვეწილ ტექნოლოგიას.

იგი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდა და მუდამ ახლის ძიებაში იყო, მუშაობდა საინტერესო თემაზე — თვალის რეფრაქციულ ანომალიებზე, კვლევის შედეგებსაც მალე ელოდა, თუმცა არ დასცალდა.

ზურაბ გვანცელაძემ ბოლო პერიოდში თბილისში დააარსა დამოუკიდებელი კლინიკა „ნასო“, სადაც აკეთებდა ახლომხედველობის კორექციის უნატიფეს ოპერაციებს და ყოველთვის შედეგიანად.

მისი ცხოვრების წესი იყო ადამიანებისადმი ყურადღება. იგი ყოველთვის უანგაროდ ეხმარებოდა არა მარტო ახლობლებს, არამედ ყველას, ვისაც იცნობდა.

უსაშველო ტკივილით და დიდი სიყვარულით ვიხსენებთ ადამიანს, რომელიც მარტო თავის ოჯახს კი არ დააკლდა, არამედ მთელ სამედიცინო საზოგადოებას და ქართველ ხალხს.

მეგობრები

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com